მათთა ურჩთა და შემკადრთა მიწანი უკვანიან,
და ორგულთა მკლავი შემუსრეს, ერთგულნი აგულოვნიან.

1806. ყოვლთა სწორედ წყალობასა ვითა თოვლსა მოათოვდეს ***)
ობოლ-ქვრივნი დაამდიდრნეს და გლახაკნი არ ითხოვდეს,
ავის მქნელნი დაეშინეს კრავნი ცხვარსა ვერა სწოვდეს,
და შიგან მათთა საბრძანისთა თხა და მგელი ერთად სძოვდეს.

ანდერძი ტარიელისა ოდეს მიიცვალებოდა მის ჭამის ნათქვამი.

1807. არ მოგესმას სოფლისა საქმენი თავით თქვენამდი,
მოგვიგონენით ყოველნო, ბერველ ყოფილნო თქვენამდი
რა გესმას ძნელი ანდერძი დაწვთა ტირილით ქვენამდი,
და ყურად იხვენით რაცა ვთქვა მე სულთა ამოფრქვენამდი,

*) იხილე 1662 ტაეში. = 1666.
**) იხილე 1653 ტაეში. = 1653.
***) იხილე 1664 ტაეში. = 1654.

1808. გავედი ოთხლნო სულდგმულნო, ხვეწნითა გეთაყვანებით,
ხილვად აწ ჩემსა საქმესა თქვენ აქა მონაყვანებით,
სული განიყოს ხორცთაგან მძლავრებით არ წაყვანებით,
და მეწყალვის ვხედავ გლახ მისი მოგლა და მონაყვანებით.

1809. ყამ ერთ გაუშვით ოთვლთა სოთელისა უბან დაბანი,
მიმოქცეთნითა გაჭრანი სიტილით მდერა და ბანი,
წესია ესე სოთელისა, ძმას ადარ ამმობს და ბანი,
და ისმინეთ ჩემი ანდერძი, ტუდია დაბდაბდაბანი.

1810. შემომერტყენით მიდამო, მოსხედით მომეკრენით,
ზოგთავე მზირი მიყავით ერდოთ სარგმლით და კარენით,
ნესტან-დარეჯან მეოტნიდი ბაგითა მაგა კარგენით,
და ჯვარს ვატმევინებ სოთელსა, ურია მომეკრენით.

1811. გულის-ხმა ჭვენით, ადმოვსთქვამ მე თქვენსა შესაძინელსა,
საუნჯებელსა გულთასა არ კარგით არ საძინელსა,
მდგიმრად ოთნასა, სწავლასა, არ ლულსა არ საძინელსა,
და ტრემლსა ადენდით ტანელებსა არ ყინვით არ საყინელსა.

1812. მე ვიყავ მეფე ეგეთი ვითა მოგითხრა წერილმან,
ბოლოს დამადგა სოთელმან ნავთმან, ფისმან დაწერილმან,
საჭმლად მიშოვნა მიწამან, ბუზმან და ძალის მწერილმან,
და ვაი თუ დასაჯნეს მიჯნურნი მამამან ამოწერილმან.

1813- ადამის თესლი სხვა ერთი მე ვერა მჯობდა ვერითა,
ვერ სახით, ვერც ახოვნებით, ვერ დამდგეს სიავე რითა,
აწ მომეახლა სიკვდილი მოლამის თვალთა ბდვერითა,
და შემიპყრა, ვერვინ ვერ გამერის ვერ გაზით, ვერცა ბვერითა.

1814. ნუ მიეხლობით სოთელსა საქმეს იქმს მეტად მუხთალთა,
არვის მიგინდობს რაგინდვინ კარგსა უფოვდეთ უთვალთა,

ბოლოს ყაჰ დაგცემს, შეგიბურობსთ თვრსთა და ძალთ საკუთალთა,
და ყველასა ერთად მოგვიყრის მის დღეში დასასუთალთა,

1815, ესე დღე ყოველთა ზედა გვაც ქვეყანას ვინცა იშობა,
მუსთალსა ცრუსა სოფელსა სჯირს კაცთა ზედა იშობა.
არ ადირიცხვის სიცქვითე, მისი ვით ზღვისა ქვიშობა,
და ბოლოს ასრე იქმს ცუდია ცქვითვა და მისგას შიშობა.

1816. ყველანი დავისოცებით კრებულნი სრულად და რამად,
მით დაიტეობთ მცნებასა მოენდვნეთ მუნ ცუდ არამად,
იტყვის მუსთალსა სოფელსა ცრუ და მიუნდო და მარად,
და წყეულმა ნასეთ რა მიყო ქმა ადარ მაქმო და რამად.

1817. ვერათ მორჩებით უწყოდეთ ვერ სვეწნით ვერ მუდარითა,
ვერ გარდასვეწით, ითრენით და მთათა დაბუდარითა,
ციხის-ციხისა აგებით ცათამდის შესაწვდარითა,
და მაშინ მოგვონდეს ყოველი ოდესცა ისუდარითა.

1818. ადრას გარგებს ტირილი, სულთქმიდეს, მაშინ ასვედეს,
სჯობს იუნჯებდეს მუნასა, აქ არას შეინასვედეს,
ერთი მეორეს უჭვრეტდეს, გლასა არავიჩ არ ნასვედეს,
და გარეთ მისცემდეს, უსვობდეს, ატლასთ შინ არა დასვედეს.

1819, თქმულ არს სიკვდილი უფალა სორცთა და ანაგებისა,
არ ეშინიან მძლეთაგან, ნივთთა და მონაგებისა,
არ შეიწყალებს ჭაბუკსა, გლასა არ ეძაგებისა,
და არც უკვირდების თავალ-წარბი ჭაერი ღაწვ-ბაგებისა.

1320. სოფელი ამად გვაბრუნებს, გვლებავს ფერად და მინისა,
ყამდვე მოგვცის რაც ვთხოვით, ესე მთნავს ეს არს მინისა,
ანაზდად გაგვტეხს, რა გვადროთ, ჭიქისა ან რამინისა,
და ჩემსა არ სჯერსართ სასედ გიც ვისისა და რა მინისა.

1821. არ გაგებთავდეს არავის ესე სოფელი წამიერ,
ისწრათვის მუნვე მიქცევად მოკვდავი ეს მიწამიერ
მას ნეტარ ვენმცა სიმართლით წავიდა უბიწამიერ,
და ცუდია აქა მეფობა სრულობით იმიწამიერ.

1822. ვეღარ სულ-ვქმნიდობ ჩემებრივ, აშიფნო, მე აწ არ ენით,
თანა მამეგით, მიჯნურნო, სათელავად არე წარენით,
ცრემლი დასთხიეთ თქვენ ჩემთვის გლახ თავი გაიმწარენით,
და სათელავი სრად და საწოლი სუდარა მიზეწარენით.

a ბ

1823. თქვენცა ისმინეთ, მეფენო, მთავარნო და დიდებულნო,
არ ძალით თქვენით რის მქნელნო, ღვთისაგან გადიდებულნო,
თვისნო, არ თვისნო მშვინვნო, ძმანო და გადიდებულნო,
და აწ გაუფავით გლახაკთა ღარი აქამდის დებულნო.

1824. იფენით მართლა რჯულითა, თვით ღვთისა მიმსახველობით,
ღვთის შიშთა რჯულთა მტკიცობით, ცრემლითა დამარხველობით,
ქვრივთა, ობოლთა წყალობით გლახაკთა გამკითხველობით,
და არ ბნედით, არ აშიკობით, არ გაგრეთ, არცა ხელობით.

1825. მიუნდობელო სოფელო, რას ბრუნავ რას მუსანათობ,
ოდეს მე ვსწუსვარ ბნელებ, ოდეს არ ვწუხვარ ანათობ,
არვის მიგვინდობ წამ ერთცა, ყმთა არ ვაებ, ხანათობ,
და დაგვწი კომლურად ბნელითა, არ ვითა ხე მუსანათობ.

1826. უსუაიშნო, წყეულო, მოდი, სიკვდილო, მომკალო
მომზადე ცული, გალესე, ჩემო უყაზად მომკალო,
თქვენრაის შეგიქმენ საჯმელად, ჭიანო მოდით მომკალო,
და ჩემი გაგლეწე, დავაგდე ამ სოფელს უყაზომკალო.

+ ვაიმე [illegible]

1827. მოდით მიჯნურნო მოიზდეთ, ცრემლი რომ მიისესხენით,
მიჯსურნო ერთობ ტურფანო, ჩემებრ სხვასა ვის ესხენით,

გაშლილად ბოლოდ ყორნისებრ თმისაგან სხვასა ესხენით,
და ალალი მელნისა ტბაო, გიშრისა ტყისა ესხენით.

1828. აწ მშვიდობით არს რომელმან რჯული მიდგა მადინაო,
მშვიდობით ტურფავ მეჩიტნო, მაქავ და მამადინაო,
სოფელმან მზგავსად წყაროსებრ ცრემლი რუდ დამადინაო,
და გული მით წითლობს მამინდე შენ არად ამადინაო.

1829. თქვენცა მშვიდობით, მშობელნო, მსაჯულნო, ჩემებრ მეფენო,
თავადნო, სცანით მტერთათვის, ლომებრ მებრძოლნო სეფენო,
სასელმწიფონო ჯურჯელნო, ოქსინოვ, ქვეშე მეფენო,
და სპანო მტირობდით საბრალოდ, ჩემთვის ცრემლისა მჩქეფენო.

1830. თქვენცა მშვიდობით პატრონნო, აწ ჩემთვის ჯმუნვით გასულნო,
თვისნო ტომნო, ძმანო, შვილნო, ძენო, ყოველნო ასულნო,
იარალნო და მონანო, აწ ჩემგნით სხვაგან წასულნო,
და აწ მიიბარეთ გლახს სული ზეცისა ძალთა დასულნო.

1831. ესე მისმინეთ ყოველთა სოფლისგან ჩემნი რჯანია,
ცუდ იქმნენ მკლავნი მაგარნი, მტერთაცა მემაჯანია,
მკლავნი, რომელსა ვერ ბრძოდენ იგი ვერც ქაჯმაჯანია,
და ალმოესალმა გაუშვა ქვე მდგომმან სორცთა ჯანია.

1832. ანდერძი სრულად გათავდა, გულს არ ჭქონდა დანარჩომი,
თვით არ შესწოანს რაცა ავი, თქვა მართ სხვათა დანაგმობი,
ნესტან-ჯარს ესმა ანდერძი, სულ ჭყო მისგან დანალმობი,
და ვარდის მელნითა ღელვიდა, მორწყო ველი და ნალმობი.

1833. მტირალთა პირ-დასოკვიდთა მსართა იტვირთეს აიდეს,
იგ უსახლო მიჯნურნი, თაბუთისაკენ წაიდეს,
ორნივე ტურფავ რამთნი გლახს მისთანავე წაიდეს,
და ცისა მნათობნიც სტირდენ, სული ალარა დაიდეს.

1834. მდუღრად ტირდეს შვილნი და მათნი ძენი და ქალნი,
მოსთქმიდეს: „მზეო, სოფელმან ვითა მოგვსადა ყალნი,
ესრად უთქვენოდ ეოველი ციხე და ნარიყალნი,
და დაგვწვი და ცეცხლი გვედების უწყალოდ ჩვენ ალნი.“

1835. ძე მამას მწუხრად მოსთქმიდა ცრემლი სდიოდა სალმე:
„ვინ გაგეყარე გმირო და დათხოვნით მოგესალმე,
თავს დაიდეწა კაბარწი, გული ეოდად ქონდა სალმე,
და ვინ ეკვრი შენი სოფელო, მაჭამე რა სამსალა მე.“

1836. მოღორებულსა მუსთალსა სოფლისა წესი ბარესა,
ეოველთა მოაწყენს ბოლოს ყამს ტებილსა და სალმობარესა,
იგი სოფლისა ეკვარი სათელავსა მიაბარესა,
და ზედ მიწა გარდაეყარეს, მინიჩბეს, მიაბარესა.

სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა ნესტან-დარეჯანისა.

1837. რადგან სწორედ გარდასდების ავი, ანუ კარგი ვინა,
მაშ წამიერ რას ვის გავა, გარეთ იყოს გინდა შინა,
ქათ ბარგსა რათ ვინ ზიდავს—რადგან წასვლა სხვაგან გვინა,
და სამარე და თუნდა ტასტი სწორეაო ბრძენთა წინა.

1838. ამა ჩემსა გაზრასულსა იკითხოს ვინ, ანუ სწერდეს,
თუ მას კაცსა, რომელიცა სოფლისაგან არ შესეარდეს,
ტარიელ და ცოლი მისი სიბერითა დაუშვერდეს,
და დაეგნეს წელნი ოთხმოცნი, დაბრმეს, დაღრეკეს, დაცაბერდეს.

1839. ღმერთმან მისცა ესე შვილად საჭვრეტელად შვენიერნი,
ერთი ემა და ერთი ქალი მათ ორნივე შესაფერნი,
ელვანი და შვენებანი მათცა ქონდათ მათ მიერნი,
და მზგავსი მზგავსსა წარმოშობენ ციერნი და მიწიერნი.

1840. დღენი მათნი წაიარნეს, დაბერდეს და დაუძლურდეს,
ტარიელის ლომნი მკლავნი მეტად დაუუსუსურდეს,
ბედისაგან მადლიერნი სოფლისაგან მოუმდურდეს,
და ამ სოფელსა გაბრწყინებითა ბრძენთა წიგნი დადასტურდეს.

1841. სოფელს მოოფსა ყველაკასა ეს ასრე არ აუცილდეს,
მათ სოფლისა შეენებითა სიტურფენი გაუცუდდეს,
მათ ორთავე დაუსუსტდა გონებანი მოუძლურდეს,
და სიყვარული გარდუარდათ, ერთმანერთსა უკუჭქარდეს,

1842. ტარიელ და ცოლმან მისმან ტასტოსნობა მოიწყინეს,
სარიდან დაკვდა ტასტეზედან, ნაცვლად მათთა დაადგინეს,
ერთსა წელსა დაიხოცნენ, მიწვნენ, მიწად მიიძინეს,
და მზესა ლომი არ გაჭყარეს მასვე თანა მიაწვინეს.

ანდერძი ავთანდილისა სიკვდილის ჟამსა.

1843. ისმინეთ ძენო კაცთანო, ანდერძი ავთანდილისა,
ვიტყვი „მსგავსია სოფელი ეს მუსანათი ჩრდილისა,
სწორეა ყაბი მწუხრისა კრულთანი ღამე დილისა,
და ადრე დალეშების, გაცვდების, ვით ქსელი მართ მანდილისა.

1844. რა მიეახლა სიკვდილად, დაუწყო ხდომა სულითა,
ხელთა ისრიდა, კვდებოდა, სიტყვით და იმა სულითა,
თქვე ვედარ მისსნის ძმანი და ვერცა ლა და მოსულითა,
და მუნ შემიწყალოს რომელმან მიწა დამბადა სულითა.

1845. რაზომც გამეფდა ცად ვინმე, თქვენ კაცია შთამოსრული,
ცუდია აქა დიდება ვარდი აწ ვსჩანს დანასრული,
უსვაიშნოა ესე დღე, მე რადეს მარგებს, ასული
და მიწა მიიქცეს მიწადვე, სორცი მოკვდების, გან სული,

1846. სიჭაბუკისა უკაცილი, დასჭკნა ავად სჩანს კარდია,
პირველ მტერზედან სიმაღლით მე ვსჩანდი მონავარდია,
აწ წაველ მზგავსი გმირისა და ფერად მინავარდია,
და თანა წამომყევ თინათინ, ჩემს უკან ნუ დაკარდია.

1847. იგიმცა კაცი კრულია, კინცა მიენდოს სოფელსა,
მოლიზღარსა და მუსთალსა, სიცილის კოცნის სოფელსა,
პირველ ღიმილის მქადესა ბოლოს უარის მეოფელსა,
და მუნ დამკარგავსა კაცთასა, აქაც სან დაუფოფელსა,

1848. შეიწყალენით სული და ღმერთი არ გიზამთ არ აკსა,
ნუ მიჭყოლიხართ სოფლისა ქცევასა მართ კით მსარავსა,
მუნ იუნჯებდით სად ღმერთი დასდგამს სიმართლის კარავსა
და სადა კერ უგბენს მღილდა, კერ ძალუც ბარკა მბარავსა.

1849. მიჯნურობისა სასმილმან დამწვა, ამაგზნო ცეცხლმანდა,
მე მოგკვდე თავის გამოლმა შენ დამიტირე მზემანდა,
სხვამ ჩემოდნობა კერა ჭმენას, ფოკვლმან მონაზემანდა,
და ცუდ შეთად მიქეც მანათი, აწ რადას ჭფოფენ მზემანდა.

1850. მტირონდით თქვენთვის დამწვარსა, მიჯნურნო ჩემთვის ურვილნო.
გამზრდელნო, თქვენცა გაზდილნო, ტურფად ისპად ჭურვილნო,
სასნო, ანიზად ნაზარდნო, თავნო ნაზობით ბურვილნო,
და სულთქმით მოსთქმიდით მაგ ენით და აუბნებდით სურვილნო.

1851. თინათინს პირველ სურვილი და პირსა შვენისა მარე,
აწ ლომმან თავი გაგრიდე და მზეო შენ მასაძარე,
აქა ნარბენთა სწორად კვლოთ, უვიცი გიცი სამარე,
და ერთად წავიდეთ, აჭა მზა ჩვენთვის თაბუთი სამარე.

1852. უჩემოდ დასჭკნი კარდო და იაო ფერ-მკრთალ რა მიყავ,
ვითა დაგითმე ლალო და ბროლო ძაწ სათო რა მიყავ,

კვლავ იაგუნდო ნალველი გატეული და შუა გამიუვე,
და შენ მარგალიტო მოგრილო ნუ მტირ და ბაგე დაიუვე.

1853. ჩემი გარდამსდა სურვილო, რას გარგებს რაზომ ინანო,
იდინთ სისხლის რუები, გაწვრთნიით ვარდნო და მინანო,
ჩემთანა ცისა მნათობნო, რანო და ანუ ვინანო,
და მზე მზეთა მოგვედე, მტირონდით გულ-კლდოვანნო და რვინანო.

1854. აწ ეს ვითხოვო ღვთისაგან, სააჯო დიდად ძნელია,
სად არის ჩემი სავანე, შენ განმინათლოს ბნელია,
მისის ელვითა მაკრთობდეს, არ მცხინვარე ჭეოს ბნელია
და ანგელოზთ თანა ვეფრინვიდე, ვადიდო ჩემი მსსნელია.

1855. სული აწ ჩემგან უტეუვრად, წმიდად არს დანასულები,
მუნ დამამკვირეს სადაცა ჭეანან მართალთა სულები,
შორს ქნას ნაწილთა, რომელთა არს დამზრალ-დანასულები,
და რომელსა თანგნად უწოდენ, არს მარცხნივ წანასულები.

1856. ამ სააჯოსა ღვთისაგან კვლავ ვედარ ვითხოვ აროსა,
ცოლს სულსა დასსნას ბნელი და ნათლისა გზასა აროსა,
მართალნოა თანა შერცხოს, ცოდვილთა მოაშორეს
და ედემს ბუნაგი აუგოს, სამოთხეს დაავანოს.

1857. აწ გაისვენეთ სატირლად, ტურფა გაქვთ ან ახლებანი,
ოთალნი მზგავსი ედემთა, კარავნი ქნილ ნახლებანი,
თავსა იცემდით მხარ-დასრეთ მონანი ჩემ ნახლებანი
და ჩვენ დაგვმარხენით, შთაიცვით, წახვიდეთ შინ ნახლებანი.

1858. ესე წესია სოფლისა საბრალოდ არა მცალს წამისად,
ამად არ გეტყვით მიენდოთ, არცა ერთისა წამისად,
უწყალოდ შესცვლის ჭაერი ტურფისა თვალ-წამწამისად
და ბოლოს უმუსთლოდ ვერ მორჩეთ, თუნდ თავი წაუწამისად.

სიკვდილი ავთანდილისა და ცოლისა მისისა თინათინისა.

1859. ზღამა არ არის სოფლისა, სადამო, არცა დილისა
სიზმრისა უფრო სიზმარი, ჩრდილისა უფრო ჩრდილია,
არ ამოკრეფენ მსწავლელნი მით მათგან გამოცდილია
და ავი და კარგი სწორედ სჩანს, სიცოცხლე გინ სიკვდილია.

1860. ავთანოილ და ცოლმან მისმან, დაუყენ წელნი სამოცდათი,
გაუნდოდა საჭვრეტელად ბრალ ბაღანში მინა სათი.
ღმერთმან მისცნა ორნი ძენი სიტურფითა მზგავსი მათი
და სიბერემან გაუცუდა მათ გლახ მათი ხასიათი.

1861. ავთანდილ და ცოლმან მისმან სულნი ზეცას გაგზავნესა
გაეყარნეს სორციელსა, იგი მათსა სინაზესა
სორციათცა შეუერთდენ მათ წყაროსა ზესთა ზესა
და მზე მრავალთა დაუტევეს, მიეასლნენ ერთად ზესა.

1862- ვინცა კრავი გაკრავა და თიკანნი გაათიკნა
მანვე თხანი თიკანთაგან გაარჩიენა, გააბლიენა
გონიერნი გაამაღლნა, სულნი მათნი მოირიგნა
და ერთმანეთსა ეზიარნეს, რად ვინცადა გადაჩხრიენა.

1863. მითქვამს და კვლავ ვსთქვა, სოფლისა სიცრუე კვლავ და კვლავ ბოლითა,
იგი გარდასდა, გაისმა ოდენ ამბავი მათ ბოლითა
სად არის კბილთა სითეთრე, ანუ ღაწვთაგან მნათობითა
და მტკვრად შეიქმნა, წაუსდა, მათ მათი ხასიათობითა.

1864. გასრულდა მათი ამბავი, ვითა სიზმარი ღამისად,
გარდასდა გავლო სოფელი, არის მისთვისცა წამისად,
(1589.) ვის გრძლად ჰგონია სოფელი, არის მისთვისა წამისად,
და მე მესმან ვინმე დავსწერე, რუსთაველისა დაბისად.

მოსვლა ფრიდონისა და ტირილი ძმობილთა მისთა ტაგრუცსა ზედა.

1865. მოვიდა ფრიდონ ტირილით, ზესილით თავსა მცემელი,
ისოკს და იგლეკს სმა მაღლა, არ უნდა გარდამცემელი,
მოიდო მეტად მრავალი გლახაკთა მისაცემელი,
და უნდოდა თუმცა ეშოვა, ლახვარი დასაცემელი.

1866. ტაგრუცს მოსთქმიდა ამ სმითა და მითვე შვენიერითა,
იგლეკდა თეთრსა თმა წვერსა, გაჭურის ბრალისა ხელითა,
იძახდა მაღლა ვაგლახსა, ტირალით არ სიმღერითა,
და მართ წმინდა გაგლეკილიყო ერთად თმითა და წვერითა.

1867. თქვა მეტად კარგი სიტყვები ფილოსოფოსთა ცნობისა,
რომე ხორხითა იტყოდა, მსგავსი დავითის ძნობისა,
მე გლახ ვით მოვთქვა სიკვეთე თქვენისა ცხენოსნობისა
და ანუ ვით მოვსთვალო მოკლული თქვენისა მშვილდოსნობისა.

1868. რაზმთა მეერეწელნო ყოველთა, მებრძოლთა თქვენთა მძლეველნო,
კვლავ ასპარეზად ტურფანო, თქვენთა სწორთავე მძლეველნო,
თქვენ კაცის ძებნა უბძანოთ, უცხენო შესამძღვეველნო,
და აწ ჩემის ტრემლის დენითა ხამს ვითა დაუძღეველნო.

1869. თქვენებრ ტასტსა ვინ მოჭაზმავს, ვინ დაჯდების ხრასა ხრულად,
ან ნადიმად ვინ განათლდეს, ზნე უკლებლად ჯავარ ხრულად,
ვითმცა კიდევ მე ტოტხალი ვიგონებდე ამას ხრულად
და მე უთქვენოდ რა ვიქნები, გაკიცხული გაბისრულად.

1870. თინათინ ნესტან-დარეჯანს თვით მოუთქვა სინამენი,
ბრალ ბალახში ალვის შტონი, მარგალიტი შენათხზენი,
ალვის შტონი, ტანი მჭკვარი, ჰირი მჭკვრეტთა ამაზრზენი,
და ხუბარი სიტყვა ტკბილი ვერ მჭვრეტელთა გასაზრზენი.

1871. თრიდონ მოსთქმიდა ორთავე, ორსა და ორსა ტირონდა,
მაღლად იძახდა ვაგლახსა, მართ ვითა ლომი ყვირონდა,
თქვენის ბირისა ჯავარი, ალარა ლალად ბჭვირონდა,
და იტყვის თუ მოგვკვდე რა მგამა რადგან დამაგდეთ გმირონდა.

1872. ნურადინ თრიდონ ტირონდა ორთავე მისთა ძმობილთა,
სისხლისა ცრემლთა ადენდა, უკლებლად და უშრობილთა,
უქო სიუსვე ჯავარი, მარგალიტითა წყობილთა,
და ავსებდა სიბრალულითა ყოველთა შემოსწრობილთა.

1873. თინათინ ნესტან-დარეჯან კვლავ მოსთქვა ბევრითა ბევრი,
ბირი მზისა უნათლესი თმა გიშერი ვითა ტევრი,
აწ ვაგლახმე ვით დამალეთ შუქთა სსივნი თმისა ტევრი,
და ჭაი, ჭაი ჩემსა თავსა რა მოგვესწრა მოსაწყენრი.

1874. ამისთანისა სიტყვითა, გრძელად და გულ-მდუღრად ტირონდა,
მერმე ადგა და თქვა ვითა, ასრე სულთქმითა ყვირონდა,
ტასტებსა გაესალამნეს ტანთ ძაძას იცმენ გმირონდა,
და თავსა ნაცარსა იყრიან, არა გაირგვინსა ირქმოდა.

1875. შინა მოვიდა მოცაკვდა თრიდონ მათითა სევდითა.
მათ უკან ალარ ვარგიყო არცა კარგისა ბედითა,
თვალნი დაუდგა ბედ-კრულსა საგონებლითა მეტითა,
და ნურადინ იყო მორჩმული საქონელ ოქრო-მკვდითა.

1876. ქართველთა ღვთისა დავითის ვის მზე მსასურებს სარულად,
ესე ამბავი დავლექსე მე მათდა საკამათებლად,
(1590.) ვინ არის ალმოსავლეთით დასავლეთს მათდა მარებლად,
და ორგულთა მათთა დამწველად, ერთგულთა მაგულოგნებლად,

1877. მე ვთქვი ქება თამარისა ხმელთა შიგან მნათობისა,
ვთქვი ქება მათი მიზეზად მქონდა ქებისა მათისა,

რომანულისა თუალისა მისი ბრწოლისა სათისა,
და მეტცა ვით მექო ვერ ავქებს ბრძენი შემოგრბეს მათისა.

1878. დავითის ქნარი ვითა ვთქვა სიჩალხე სისათვეთანი,
ესე ამბავი უტხოანი, უტხოთა სულმწიფეთანი,
(1591.) ბირველ ზნენი და სქმენი ქებანი მათ მეფეთანი,
და ვ[illegible]ბოვე და ლექსად გარდავსთქვი, ამითა ვილაუბეთანი,

1869. ესეა ესე სოფელი არ ვისგან მისანდობელი,
წამია კაცთა თვალისა და წამწამება მსწრობელი,
(1592.) რასათვის ეძებთ, რას აქნევთ, ბედია მაყივნობელი,
და ვის არ შეგიცვლის კარგია ორისავ იყო მსლებელი.

1880. დასრულდა ესე ამბავი მათ სულმწიფისა დიდისა,
ამად სასმენი ბოლოს ყარ საბრალო არსთა კიდისა,
მოუკრენი ვინც იყურებთ არა ჩავარდნა ხიდისა,
და ნასეთ გასინჯეთ სიტრუე სოფლისა ამა ფლიდისა.

1881. ამირან დარეჯანის ძე მოსეს უქია ხონელსა,
ბადულ მესია შავთელსა, ლექსი მას უქეს რომელსა,
(1593,) დიდარგეთს სარგის თმოგველსა მას ენა დაუშრომელსა,
და ტარიელ მისსა რუსთველსა, მასთვის ტრემლ შეუშრობელსა.

მათიკო

დრამა ხუთს მოქმედებათ

აქსენტი ცაგარლისა.

მომმედნი პირნი:

ანეინა მარიამ უშტვინაძისა, ქვრივი (50 წლისა).
მათიკო, ქალი ამისი (20 წლისა).
თ. თორნიკე უშტვინაძე, მათიკოს ბიძა (55 წლისა).
გაბო თავხელაშვილი, აზნაური, ნათესავი უშტვინაძისა (25—28 წ.).
ბოლიევეტოს ბრძენაძე, მათიკოს საქრმო (26—30 წ.).
კოლა ფიცხელაძე, მეზობელი უშტვინაძეებისა, შვეიცარიაში ნამყოფი (25—26 წ.).
ლიზა, მათიკოს ბირის თვრეში (მოსამსახურე), (17—18 წ.).
ექიმი, (30 წლისა).

თორმა, ქეთევანა, ზაქარა, ასეფა, გლეხები,	გაბოს ნათლი-მამა (45 წ.). ამის ცოლი (28—30 წ.). (30 წლისა). მიკიტანი (45 წ.).	გლეხები.

მოქმედება პირველი.

(მოქმედება სწარმოებს სოფელში. სცენა წარმოადგენს მდიდრულად მორთულს ზალას მარიამის სასახლეში: მარჯვნივ სდგას ტახტი სალიჩებით დაფენილი და ზედ მუთაქები აწყვია; მარცხნივ სტოლი კრესლოებით და სკამებით. სამი კარი: შუაზედ და გვერდებზედ. მარჯვნივ მარიამის და მათიკოს ოთახი, სოლო მარცხნივ — კაბრიოსი.)

კამოსვლა 1.

ლიზა.

(თარდა აიხდება, ლიზა ასუფთავებს მებელს და თან მღერის).

ას, ლიზაჯან, იხრუკე,
იხრუკე და მახრუკე!
ლიზა მიდის ბაღშია,
მაკოცნინებს თვალშია!
ას, ლიზაჯან, იხრუკე!....
ლიზა არის კასელი,
გაუწყდება სასელი!...

(გაჯავრებული საქმეს თავს ანებებს). ი! მეხი კი დავაკარე ამ ფექსის მამგონს!... სასელიც გაუწყდეს და თვალიც დაუდგეს!.. არა, მე რადა სალექსე ქალი ვიყავი, იმ თვალ-დამდგარს რომ მოუგონია! სალექსონი ჩვენი კნიაზენები არიან, რომ თეორ-წითლათ ღაყლაყი

გაჩქვთ და ხვერდის შუბებში ჩაფუთვნულები დადიან!.. ეჰ, გენაცვალეთ, არც მეტი სიმდიდრე ვარგებულა: მეტის-მეტის სისუქნისაგან კისერი გვერდზედ ვერ მიუღია, მგლებივით გაშეშებული დაჩქვთ!.. რომ არ შეიძლება ამისთანა უსაქმო და უძრავი სიცხი! ჭამა-სმისა და უმაწვილ-ყაცებზედ ლაპარაკის მეტი საქმე არა აქვთ რა. შეიურებიან, ბატონო, რამდენიმე ქალი და სულ იმათ ჩხრეკაში არიან! (აკვავრებს.) „სოფიკო! როგორ მოგწონს ლევანი?“—ეჰ, გენაცვალეო, ცხვირის ნესტოები მეტათ დაღრენილი აქვს!—იოსები?—იოსები კარგი უმაწვილია, მაგრამ ცალი წარბი შეტრუსული აქვს. ამბობენ, პატარაობისას ძიძას თონეში ჩაკარდნიაო!.. ზაალი? უი ქა, ზაალი რადა სასსენებელია: თავი მოკალულ ქვაბს მიუგავს, ერთი თმა ადარა აქვს თავზედა; ამასთანავე მეტის-მეტი გაუთლელია!.. ნიკო, ქალოკვან?—ზურაბის კაკი?—ნეტა რა სათქმელია! ცხვირიდგან ხელცარიცი ვერ მოუშორებია, ნიადაგრივით ჩამოსდის ცინგლები; გარდა ამისა არც თამაშობა იცის არც სიმღერა!.. კაკალრობა ხომ იცის?! ისემც გაგისარია! იმ დღეს ზურაბიანთას კაბის ქობაზედ თვესი დამადგა და ნაოჭი სულ ერთიანათ ჩამოამრღვია!.. (გაიკისკისებს.) აი, ბატონებო, ჩვენი კნიაკუნების საქმე! ერთი კაცმა ჭკითხოს, თითონ რადა არიან, რომ სხვის კიდეში ამოსდით სული?! ერთია, ჩემო ბატონო, დიდ-ცხვირა გოგიას მიუგავს თავ-პირი; მეორეს ასე დასივებია სახე, გეგონებათ, მთელი ქვეყნის კრაზანა და თუტკარი ამას დასვეგია; მესამეა და ერთი ბეწო, გადღრენილი, გატენილ მათრაშასა ჭგავს,—და მაგათ კიდევ სხვაზედ უნდა იდაპარაკონ?!.. (აკვავრებს.) „ეს არ ვარგა, ის არ ვარგა,“ და ამასობაში ჭარხლის წნილივით რო მყავდებიან სახლში—ეს ხომ კარგია?!..

გამოსვლა 2.

იგივე და მათიკო.

მათიკო. (შემოდის) ლიზა! დედა სად წასულა?

ლიზა. (იქით) აი კიდევ ერთი ჭკუის კოლოფი! (იმას.) რათ

გნებავსთ დედა? ჟუჟუ სოდ არ მოგინდა? დროც არის ბებია ჩემისა! (იცინის.)

მათიკო. რას ტუტუცობ, ქალო! მითხარი სად წავიდა?

ლიზა. (სიცილით.) სად წავიდა და...ბუაბ მოიტაცა!..

მათიკო. რას ამბობ, შე სასიკვდილე, ბუაბ შენ მოგიტაცოს!..

ლიზა. მაშ რა ძალიან მკითხავ? რა ძალიან ფეს-მარდი დედაშენია, რომ შორს წასულიყოს სადმე! ე მანდ ბალში ბატის ჭუჭულებს დასდევს!

მათიკო. (ქოქოლას აურის.) მასხარათ დაგაბერა ღმერთმა!.. გაბო სადღა არის?

ლიზა. დიდას ბრძენაძე და ტუტუცი ფიცხელაძე მოუცვივდნენ და სათევზაოთ წაიყვანეს!..

მათიკო. (დაჯდება ტახტზედ.) რა დროს თევზაობაა?! ე მანდ არათერი აიტეხონ და ამ წყალ-დიდობას!... გაბოს მაინც არათერი მოუვიდეს და იმათ კისერიც მოუტეხნიათ!

ლიზა. რათა, ქალო? ისინი რადა გაბოზედ ნაკლებები არიან? ბრძენაძის ერთი თეთხილი მირჩევნია შენ გაბოს!

მათიკო. ბრძენაძე არა შენმა მზემ, ახლა სულელი ფიცხელაძეც დაადარე გაბოს!

ლიზა. ისე შველა მე მქონდეს, რომ ორივენი გაცილებით სჯობიან! არა, რა ძალიან ცხარობ? გაბო რომ შენი ნათესავია იმიტომ? დიდი რამ გახდა იმის სიმდერა და თარი!

მათიკო. გინა ეგრე ათვასებ გაბოს? რით არ არის ის საქებარი?! იმისი ერთი ვაჟ-კაცობა მირჩევნია მთელ ჩვენ უმაწვილ-კაცებს! რაში გინდა, რომ იმან თავი არ გამოიჩინოს: მშვენიერ თარის დაკვრას და სიმღერას ნუ ვიტყვით; ვინ უდრის იმას ლაბარაკში, ქეიფში, ლხინში, ჯიერითში!! რომელ კამპანიაშიაც ეი გაბო არის, ის კამპანია ბედნიერია!...

ლიზა. (დაცინვით.) დიახ, დიახ, ბედნიერია! როცა დათვრება და იბრობს ხოლმე სანჯალს!

მათიკო. მაგასაც ვაყ-კაცობა უნდა! იმ დღეს არ იყო ექვსი ყმაწვილი-კაცი—თავადის შვილები იყვრინა!.. მაგრამ ეს ყველამ იცის, რომ თუ მოთმინებიდგან არ გამოიყვანეს, გაბო თავის დღეში ავ-კაცობას არ ჩაიდენს!..

ლიზა. ეგ ძალიან კარგი! მაგას თავი დავანებოთ! ზურაბიან-თას რა ამბები ჩაგიდენიათ შენ და გაბოს?! ასეთია დედა შენი, კბილებს იმტვრევს!... არა, რადა უცხო სახლში მოგინდათ ჩურჩული?!

მათიკო. რას ამბობ, თვალი ზურაბიანთაც დაუდგათ!... სადაც მინდა გაბოს იქ ვეღაპარაკები, იმიტომ რომ... (შესდგება და თავს ჩაღუნავს.)

ლიზა. რა იმიტომ?

მათიკო. ისა რომ ჩემი ნება ასეა!..

ლიზა. როგორ თუ ასეა? უცხო სახლში რომ შისაურს არ ელაპარაკო, აქ კი ტოტა დრო გაქვს? მერე, დედა შენი ამბობს, მთელი სადამო სულ ჩურჩულობდნენო!.. მასპინძლებს ეგონებოდათ, რომ იმათზედ ლაპარაკობთ! როგორ შეიძლება!

მათიკო. ეგონებოდათ და ჯანიც გავარდნიათ! რაც მე მესიამოვნება, იმას მოვიქმედებ...

ლიზა. მერე რა გესიამოვნება?

მათიკო. გაბო და იმასთან ლაპარაკი...

ლიზა. (ეჭვით.) როგორ?

მათიკო. ისე, რომ მე მიყვარს ისა!... (სელტასოტს იყვრებს თვალებზედ.)

ლიზა. (გოტებით სელს მოჭიდებს.) ვინა, ქალო?

მათიკო. (აღელვებული ადგება) ვინა და გაბო, გაბო! (გაიღიმის.)

ლიზა. (გოტებით.) რას ამბობ, ქალო?

მათიკო. იმას ვამბობ, რომ მე მიყვარს გაბო და იმის სიყვარული სამარის კარამდის გამყვება....

ლიზა. (ორ თითს ტუჩზედ მიიდებს.) ჭა! ეს რა მესმის? ეგ

რა სთქვი, ქალო? დედამ არ გაგიგონოს, თორემ სიცოცხლეს ჩაგამწარებს!..

მათიკო. მე ესლა დედა აღარ მახსოვს, რაც მომიკვდა, მომიკვდ!.. ოხ! ღმერთო! (ტირის.)

ლიზა. შენ შენი ღმერთი შენ ქერქში დადექი! აბა ეგ რა სათქმელია?! გულში რომ გედოს, როგორ უნდა გამოსთქვა! გაბო რა არის შენი?!

მათიკო. რაც უნდა იყოს!..

ფიცხელაძე. (გულისებში.) რომ იცოდეთ, კნეინავ, როგორ დავიდალენით!..

ლიზა. წავიდეთ, ქალო, აი ისინიც მოდიან! და ღვთის გულისათვის ეგ ჭაზრი გულიდგან ამოიღე და არსად გაახსენო?..

მათიკო. არა, მეტი აღარ შემიძლიან!..

ლიზა. კარგია, წავიდეთ, არ შემოგვასწრონ. (გადიან მათიკოს ოთახში.)

გამოსვლა 3.

მარიამი, ბრძენაძე და ფიცხელაძე. (შემოდიან.)

მარიამი. (თაიგული უჭირავს) მობძანდით, გენაცვალეთ. დაბძანდით. (ტასტზედ დაჯდება) რა მშვენიერი თაიგულია! (სუნავს.) იჭ! რა მშვენიერი სუნი აქვს!

ბრძენაძე. (ყვავილები უჭირავს. დაჯდება.) არ შეიძლება, კნეინავ, რომ ჩვენ სამშობლოს კაცი არ დანატრიდეს!.. დაკვესით ვიტყვი, რომ ამისთანა მდიდარ ბუნებას ბევრი ქვეყანა არის მოკლებული!.. თვით შვეიცარიაც, რომელიც ამპარტავნობს ყოველი სიკეთით შეზავებული ბუნებით, რომელიც იზიდავს მრავალ-გვარ სალსთ და ჭეშმარიტათაც მართლა აკმაყოფილებს თავის მარგებელი ჭვეითა და მდიდრულის მდებარეობითა,—თვით ის შვეიცარიაც კი, მოგახსენებთ, იჭ-

რის თავს ჩვენის სამშობლოს წინაშე, რომელიც გაცილებით მდიდარია ოქროულ-გვარი სიკეთით...

ფიცხელაძე. **Это дѣйствительно!** უნდა მოგახსენოთ, კნეინავ, რომ იქ, **т. е. въ Швейцаріи,** ე. ი. შვეიცარიაში ბუნებასთან მოქმედობს კაცის ძალაც და მით უმეტესობა ეძლევა, რომელსაც მოგლებულია ჩვენი საქართველო; მაგრამ მაინც კიდევ ჩვენი სამშობლო სჯობს, **даже находясь въ первобытномъ состояніи** ე. ი. თუმცა იმეოთვება ბირველ... ბირველ... ბირველ....

ბრძენაძე. იმავე მდგომარეობაში, რომელშიაც დაარსებულა.

ფიცხელაძე. დიახ! დიახ! რომელშიაც დაარსებულა!.. (აღტაცებით.) ერთი სიტყვით რომ არ შეიძლება... **на каждомъ шагу полная поэзія!..** კნეინავ, უნდა მოგახსენოთ, რომ ჩვენი საქართველო სულ ბოეტურათ არის აშენებული! მაგალითად, წელან რომ თევზებს ვიჭერდით, იქ თავალ-წინ წამოიმიდგა მთელი ბოეზია: (ბოეტურათ.) მალალს ხეებზედ ყვავებს გაუკეთებიათ ბუდე! (ღიმილით) **представъ себѣ Поліэвктъ,** წარმოიდგინეთ კნეინავ, მშვენიერი ბუდე, გეგონებათ კაცის ქუდიაო, ისე ხელოვნურად არის გაკეთებული! (ბრძენაძე და მარიამი იცინიან.) ღმერთს გეფიცებით! რა გგონიათ, მალალ მყვირალი ანგელოზანები ვერც კი შეეკერამენ ისე ხელოვნურად ქუდს, როგორც ჩვენში ყვავები ბუდეს აკეთებენ!.. გარდა ამისა (ისევ ბოეტურად.) ამაკე ხეებზედ სხვადასხვა-და-სხვა ფრინველები და ჭიკჭიკობენ: მოლალურები, გვრიტები, ჭორები, ყვავები, მწყერები ჭოჭოები, ისე მშვენიერათ, **это удивительно!..** (ისევ ბოეტურათ.) ხე გამოთუდრულია!.. კნეინავ, წარმოიდგინეთ გამოთუდრული! იქ დაფრინავენ ბუზები, ბეპეკლები, ფუტკრები, კრაზანები!.. სულ ძირში კიდევ სორო იყო და შიგ ვიალაც ბუტბუტებდა; მგონია მგელი იყო, არა ბოლიკეტ?

ბრძენაძე. მე არ შემიმჩნევია!..

ფიცხელაძე. მაშ ვინ იქნებოდა?

მარიამი. რა ვქნა, უმაწვილო, მარტო ერთი ხე იყო?

ფიცხელაშე. არა, კნეინავ, ბევრი გასხლდათ, მაგრამ ყველაზედ ხომ პოეზია არ იხატება... მაგრამ это просто прелесть!..

მარიამი. ყმაწვილებო! რას ინებებთ, მგონია ჩაის დალევა ბაღჩაში სჯობდეს!

ფიცხელაშე. О! непремѣнно! непремѣнно! (ადგება, დადის, ზუზუნებს და უსტვენს.)

ბრძენაშე. ძალიან კარგი იქნება!

მარიამი. ლიზა! ლიზა! (შემოდის ლიზა.)

ლიზა. რას მიბძანებთ?

მარიამი. სამოვარი ბაღში ჩაატანინე, ჩაის იქ დავლევთ.

ლიზა. ბატონი ბძანდებით! (მიდის.)

მარიამი. მოიცა, ქალო! მათიკომ არ გაიღვიძა?

ლიზა. როგორ არა, გაიღვიძა.

მარიამი. მაშ რატომ არ გამოდის? წადი, უთხარი, გამოვიდეს.

ლიზა. ეხლავე. (გადის.)

ფიცხელაშე, Ваше сiятельство! ერთი მშვენიერი ჯაზრი მომივიდა თავში: მოდით წელს თქვენი ოჯახი, ჩვენები, (ბრძენაშეზედ უჩვენებს.) ამათები წავიდეთ, იცით სად? (ღიმილით) ოქროსკარიანში. საშინლად მინდა, ჩვენებური დღეობები ვნახო!.. ყმაწვილობიდგან ისე მაქვს გულში ჩარჩენილი, რომ როდესაც ჩვენებური დღეობა და დროს გატარება მომაგონდებოდა ხოლმე, სულ თვალიდგან ცრემლები მცვიოდა!.. მეტადრე შვეიცარიაში სულ ვერ ვისვენებდი: Полiэвктъ, представь себѣ; კნეინავ, წარმოიდგინეთ, სულ ის მთები, სულ ის ღელეები და მწვანით შემოსილი ხოლმები, რასაც ჩვენ საქართველოში თვალით ვხედავთ!.. ოჰ, ღმერთო! საშინლება ყოფილა სამშობლოს სიყვარული!.. სულ ტვინი გამილაყდა იმ ოხერ ევროპის ქალაქებში!.. თუ ჩემ წინადადებას მიიღებთ კნეინავ, და წამობძანდებით დიდათ დამავალებთ! მე ეხლა მსურს ჩემი სამშობლო ენა და ხალხი შევისწავლო და მაშინ მიყურეთ! (თავ-გამოდებით.) რას იტყვი პოლიევკტ?

ბრძენაშე. რასაკვირველია, რომ ეგრე უნდა იყოს! ჩვენ არამც

თუ უნდა გვსურდეს ჩვენი ენის და სალხის შესწავლა, არამედ მოვალენი ვართ!

ფიცხელაძე. (თავ-გამოდებით.) **Совершенно справедливо!** მოვალენი ვართ! მოვალენი!.. წარმოიდგინეთ, **Ваше сіятельство,** კაცს ამისთანა სამშობლო ჰქონდეს და არ იცნობდეს კი თავის სალხს და ენას, არ იცოდეს სამშობლოს ისტორია და ვერ შეეძლოს არხეოლოგიური განხილვა ოგეულის.... ოგეულის... ოგეულის ნივთისა, მცენარისა, ქვისა, პირუტყვისა ე. ი. ეველა სამშობლოს სიმდიდრისა და კაცთ-მოყვარეობისა ე. ი. კნიაზეს მათიკო მობრძანდება. (მათიკო შემოდის.)

გამოსვლა 4.

იგინივე და მათიკო

მათიკო. (შემოვა) დიდა მშვიდობისათ! (სელს ჩამოართმევს ფიც. და ბრძენ.)

ფიცხელაძე. (წამოსტებაა.) ნება მიბოძეთ, მშვენიერო ათინავ, დაგიტკბოთ ენოსვა ჩვენი შეუდარებელი სამშობლოს სუნელოვანი ნაყოფით! (აძლევს თაიგულს.)

მათიკო. მადლობელი გასლავართ! (დაკვდება.) ასე ადრე სად შეგიკრეფიათ ეს მშვენიერი ყვავილები? (სუნავს).

ფიცხელაძე. Господи! რადა ადრეა (საათს ნახავს) **скоро 9 часовъ!** მე შვეიცარიაში ვდგებოდი სწორეთ თერთმეტ საათზედ! ჩვენებურათ იქაური 11 საათი აჩვენებს 5-სა.

მარიამი. მერე როგორ გენატვა?

ფიცხელაძე. ისე რომ, როდესაც იქ თერთმეტი საათია, აქ მაშინ სუთია...

ენენა. ახლა ეგრე რათ არის?

ფიცხელაძე. ამიტომ რომ ქვეყანა ბრუნავს!

მარიამი. (გაიკისკისებს.) ეგ რადა მოსაგონი იყო! (იცინის).

ფიცხელაძე. Ваше сіятельство! მაშ არა გეჯერათ?

მარიამი. (ადგება.) ამ სიბერის დროს სულ გადამრეგთ! რა ჩემი საქმეა, თუნდ ბრუნავდეს, თუნდ არა!... მათიკო, შვილო, დრო გაატარებინე უმაწვილებს. მე ტოტა საქმე მაქვს და ჩაიც დავლიოთ. (მიდის.)

ფიცხელაძე. (ღიმილით.) Скажите, пожалуйста, როდი დაიჯერეს!... (დადის, უშტვენს და ღიღინებს.)

მათიკო. (ბრძენაძეს.) თქვენც იყავით ამათთან?

ბრძენაძე. დიახ, გახლდით!

მათიკო. მიკვირს, ასე ადრე გაგიღვიძნიათ!

ბრძენაძე. (ღიმილით.) არაფერია გასაკვირველი, მე ყოველთვის ადრე ვიღვიძებ; მეტადრე ზაფხულში.

ფიცხელაძე. თითონ ბარემ არ გამოიღვიძებდა, მაგრამ მე თითონ მივუვარდი სახლში და საწოლიდგან კინაღამ ფეხით გამოვათრიე... Помилуйте, როგორ შეიძლებოდა, გუშინ ერთმანეთს სიტყვა მივეცით, რომ დღეს სათევზაოთ უნდა წავსულიყავით...

მათიკო. მერე დაიჭირეთ რამე?

ფიცხელაძე. ოჭ! ბევრი! მაგრამ ერთი ძალიან კურიოზნი საქმე მომივიდა. აი მოგახსენოთ: მე წყლისა, საწოლე გითხრათ, მაშინიან, თევზის დაჭერა კი მიყვარს. ამისთვის ნავირზედ ვიჯექი და ბურის ნაძცეებით ვიტყუებდი თევზებს; ამ დროს მოვიდა გაბო, ამწია და შიგ მორეში ჩამაგდო; ტოტა გაწყდა, არ დავიხრჩე, ძალიანაც შემეშინდა! ესენი კი დგანან და იცინიან!.. (უკმაყოფილოთ ბრძენაძეს.) Ужасно глупо поступили, როგორ შეიძლება!.. მერე, კნიაგინა, დაღუბული ბუნების კაცი კარ: წყალი თავის დღეში არ ამიტივტივებს, ჩავარდები თუ არა, ტყვიასავით ძირ-ძირ წავალ!...

მათიკო. (იცინის) კარგი საქმე მოგვსვლია!

ფიცხელაძე. ძალიან საქმე მომივიდა!... სხვა წუსანდელს აქეთ როგორ ბრძანდებით?.. მშვენიერი დრო გავატარეთ... მეტადრე გაბომ ძალიან თავი გამოიჩინა, (ადტაცებით) О! молодецъ право!

Чистокровный арабскій жеребецъ, т. е. что я, чистокровный грузинъ! ნამდვილი ქართველია! მთელი კამეჩანაის ღხინი ის იყო! იმის თარი და სიმღერა ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება!.. კარგი დრო გავატარეთ, თითქმის ნაშნობა გადავისადეთ...

მათიკო. ვისი ნაშნობა?

ფიცხელაძე. როგორ თუ ვისი... (ბრძენაძე ანიშნებს, რომ გადასხვაფერობს.).... ნაშნობა კი არა, ნათლობა უნდა მეთქო...

მათიკო. მოსანათლავი ვიდა იყო?

ფიცხელაძე. (ყოყმანობს.) არც ნათლობა, მაგრამ რადესაც კი... (ბრძენ.) ბოდიეგეტ! შენა სთქვი მე ვერ მოვიგონე! (იქით) **вотъ скандалъ!**

ბრძენაძე. მეჯლიში, ოჯახური დრო გატარება.

ფიცხელაძე. დიახ, დიახ! სწორეთ ეგ მინდოდა მეთქვა!

მათიკო. (ადგება.) უკატრაოდ არ გახდეთ ცოტას ხანს მინდა ვი დაგანებოთ: ეს უკვიდები მინდა წყალში ჩავაწყო, არ გახმეს.

ფიცხელაძე. Чертъ съ ними, თუ გახმებიან! ჩვენ მინდვრებში ბევრი არის მაგისთანეები?!

მათიკო. რათა მაინც ათასუსია, რომ გახმეს, მშვენიერი უკვიდები არის! (იქით.) ის კი არ იცით, ჩემს გულში რა ცეცხლი ტრიალებს. (იმათ) მე ეხლავე გიახლებით! (მიდის)

გამოსვლა 6.

იგინივე, მერე ლიზა.

ბრძენაძე. (ადგება, დადის.) როგორ შეიძლება, უმაწვილო, საშინელი წინ-დაუსდავი ლაპარაკი იცი!...

ფიცხელაძე. მართალია ცუდია მომიგიდა, მაგრამ შენ კარგად გასწორე!.. ეგ არაფერი!.. მაგრამ რა ქალია! რა ქალია!.. **Это воплощенная Талія, царица поэтовъ!..** აბა ვინძლო მაღე მოასურსა ქორწილი!..

ბრძენაძე. დღეს საქმეს უთუოთ დავაბოლოვებ!.. ძალიან გული შემოვარდა მაგ ქალზედ, და სწორედ ვსთქვა, ეველანიც მირჩევენ!..

ფიცხელაძე. Желаю успѣха!..

ლიზა. (შემოდის.) კნეინამ მოგასსენათ, ჩაიზე ჩამობრძანდითო.

ბრძენაძე. წავიდეთ, კოლა!

ფიცხელაძე. წავიდეთ! (ლიზას). გაბო სადღაა?

ლიზა. გაბო ერთი საათია ბალჩაში გიცდით!

ფიცხელაძე. ადიო! (მიდიან.) რა მშეენიერი რამ გასდა ეს წუეული ლიზა! (მოუბრუნდება.) ვი ბეჭინდენ ზი ზიჭ, მაინე ლიბენს ვურდიგე ლუიზე? (შესტინებს და გავა.)

ლიზა. თვალიც გამოგეჭეტია რადაც ტუტუცი ფიცხელაძე სარ!.. სულ ამ გასაწეეტების საქმეა, რომ მათიკო ტირილით თვალებს იჩიჩქნის!.. რა ჭირია გენაცვალეთ, ამტელი ტირილისგან გული ადარ არის!.. სწორეთ გაგიყდა ეგ ქალი! რა ეშმაკმა ჩაადებინა გულში გაბო!.. გენაცვალეთ ქრისტიანობა ადარ არის?!

გამოსვლა 7.

იგიეე და მათიკო.

მათიკო. (შემოდის.) ოჭ, ლიზა, შენ აქა სარ? მინდოდა და გნასე... გაბო სად წავიდა, ოთახში არ არის?

ლიზა. რატომ, ქალო, სტუმრებთან არ ჩასეედი?

მათიკო. მე რასაც გკითხავ, იმის ბასუხი მომეცი: გაბო სად არის?

ლიზა. (გაკვირებული.) რას ჩამოსტიებია ამ გაბოს! სულ გაბო და გაბო!..

მათიკო. გამიგონე ლიზავ! მე დღეს მნიშნავს ელიზბარის შეილზედ!

ლიზა. მერე რა არის?... ქუდს რა უნდა და ბნელი ღამეო!.. თქვენი გულის წუხილიც სულ ეგ არ არის?!

მათიკო. (აღელვებული) რას ამბობ, ქალო? მერე შენ ხომ იცი, მე ვინც მიყვარს? მე იმას ვერავიზედ ვერ გავსცვლი, სულიც რომ ამოამხადონ!..

ლიზა. კარგია შენ გაზდას, კოდელი ნინოსავით ქალაგებას ნუ მომიყვები სოდმე!.. შენ დედაშენს გაუგონე და ელიზბარის შვილს მისთხოვდი, ის გიჩჩევნია; ტყუილათ ჭკვას ნუ ნაყავ!..

მათიკო. (აღელვებული.) ლიზავ! თუ ცოტაოდენი ჩემი სიყვარული გაქვს, გამიგონე, რას გეუბნები: ეს წიგნი ესლავე გაბოს უნდა გადასცე! (აძლევს წიგნს, ლიზა არ ართმევს.)

ლიზა. ღმერთო! დამიფარე, ეს რა ჭირია?! ქალო! რას ჩამოსცეებისარ გაბოს? რაში უნდა გამოიყენო ეგ გატლეკილი აზნაურია, რომელსაც ღვთისგან განაჩენი არა აქვს რა და მადლის გულისთვის თქვენს ოჯახში იკვებება!

მათიკო. როგორ არა აქვს რა! საადლაც სოფელში აკი აქვს მამული...

ლიზა. მამული , მე თქვენ მოგასსენოთ, ხოდაბუნები ექნება! ერთი კალო-საბძელი თუ აქვს, ან ერთი ბეწო ბალჩა, ნახევარი მეტი მოგიგვთ!.. აბა, სათქმელი რო ჭქონდეს რამე აქ დაგიდგება სამადლოთ? შენგან არ მიკვირს?! ის არ გიჩჩევნია, შენი ტოლი კაცისშვილს მისთხოვდე და მეფურათ იცხოვრო; შენის თვალით სულავ ელიზბარის აუარებელ მამულს... ემაწვალესაც რა უჭირს: სახით არ არის გონჯი, კარგი ნასწავლია და კარგი კაცის შვილი!.. შენ მე გამიგონე, ჭკვას ნუ ნაყავ მეთქი!...

მათიკო. ლიზავ! ნუღარაფერს მეუბნები, თორემ გულის წუხილი დამემართება!.. არაფერი აქვს, ძალიან ღარიბია, და მე მიყვარს გაბო, რომელსაც სხვაზედ ვერ შევცვლი!..

ლიზა. სხვა არა იყოს რა, გაბო ხომ შენი ნათესავია!!

მათიკო. კიდევ ეგ მაყენებდა ჯაჭმდის და თავს ვიშერდი; მაგრამ ესლა... (მწარეთ.) ოჰ, მღერთო, რა ვქნა!..

ლიზა. გენაცვალე, თითრობა სომ არ არის, თითქმის მამიდაშვილია შენი, როგორ უნდა შეირთო?!

მათიკო. (ტირილის სმით.) ლიზაჯან! გამიგონე! ჩემთან დასვითა სარ შეზრდილი!.. თუ ცოტაოდენი მაინც არის შენს გულში ჩემი სიყვარული, შეისმინე ჩემი ვედრება, მიმეგზავნე გაბოსთან!.. მე გაბოს კატეობ, რომ იმასაც ძალიან უყვარვარ, მაგრამ ვერაფერს მიბედავს, რადგანაც იცის რომ ჩვენი ცოდ-ქრმობა შეუძლებელია! მაგრამ ესლა ჩემთვის ყველაფერი დავიწყებულია!.. აი ეს წერილი გადაეცი და ბესუსიც შემატყობინე, გენაცვალოს ჩემი თვალები, ლიზაჯან!

ლიზა. (წიგნს ართმევს.) რა წყალში ჩავარდე! ქალოჯან! რატომ არა ჭიეიქრობ, რა საქმეს ჩადისარ?!

მათიკო. ლიზავ! შენ სომ კარგათ მიცნობ მე? შენ იცი ყველა ჩემი გულის ბესუსი!.. განა შენ დარწმუნებული არა სარ ჩემ თავ-განწირულებაში? შეისმინე ჩემი უკანასკნელი ოხვრა! გეფიცები სულ ყველას, რაც კი მეფიცება, რომ თუ არ გაბო, მე ჩემ სიცოცხლეში არ ვისიდო ქმარი!.. მაგრამ რას ვისიდავ, რომ ჩემი გაბოსთან შეკავშირების დაბრკოლების შედეგი იქნება ჩემი სიკვდილი!.. შენ ეს მტკიცეთ დაიმარხე გულში, რომ მე გულბარაკები სრულიად განწირული და თავზედ სელ ადებული!..

ლიზა. (იქით.) ეს რა ჭირში ჩავარდი?! ქალოჯან! კნეინამ რომ შემამჩნიოს რამე, მგონია კისერში ტემით გამაგდოს, მერე რადა მეშველება?!

მათიკო. მაგას რას ამბობ, ლიზაჯან? მე ცოცხალი ვიყო, და შენ თავს ვინ მოამაშორებს?! შენ ჩემი გულისთვის გაისარჯე და გადასდა მე ვიცი!., სხვა არა იყოს რა, ათასი თუმნის ნივთეულობა მაქვს; სწორეთ რომ გაგაბედნიერებ,—შენც რომ არ მოგმართოს, სხვა ვინა მყავს?.. შენი ისეთივე იმედი მაქვს, როგორც ჩემი თავისა...

უკანასკნელათ ბეგედრები, ლიზა, შეინანე ჩემი უმაწვილ ქალობა, შენი მოტიკტიკე ენით დაიოხლიე გაბო და მიეც შვება ამ ბედ-კრულს გულს. ხომ გაგიგონია:

„შემოვიქცე შენი ჩემგან ვალი კარგად გარდგისდების
და პატრონისა სამსახური არაოდეს არ წასდების.“

ლიზა. მათიკო! ეს იცოდე, რომ მძიმე საქმეს მავალებ, მაგრამ რა გიყო, როგორ არ დაგესმარო: ჩემი მშობელი არც კი მასსოვს, დაბადებიდგანვე შენთან ვარ გაზდილი!.. ღმერთსა ვსთხოვ, რომ არ მოსტეუდე და ქვეყნის სალაპარაკო არ გასდე!.. რა გაკეწყობა მეც უნდა ავიღო თავზედ ხელი!...

მათიკო. ჭო, ჩემო ლიზიკო! გენაცვალე მაგ თვალებში, მიშველე რამე!... მე ძალიან დასუსტებული მაქვს გული, წავალ პატრას წავიძინებ... დღეს უნდა მოიეკვანოს იმ გამოშტერებულმა ბიძა ჩემმა ვიღაც ოსური ელიზბარის შვილია და მითომ უნდათ იმაზედ დამნიშნონ; ის კი არ იციან, რომ ეს გული მაგ მიწაზედ ეიერო ადრე დანიშნება, ვიდრე იმაზედ!... თუ მიკითხონ, უთხარი, რომ შეუძლოთა ვარ და არ შეძიძლიან გამოსვლა...

ლიზა. გაბომ რომ მოინდომოს შენი ნახვა?

მათიკო. როდესაც ისინი წავლენ და დღეც დაიძინებს სადილს შემდეგ, მაშინ შეგვიძლიან ერთმანეთის ნახვა... აბა, გენაცვალე, შენ იცი, ჩემი სიცოცხლე შენს ხელშია; ორში ერთი აირჩიე: ან მაცოცხლე და ან მომკალ!... (გადაეხვევა და გაკვ.)

ლიზა. (მარტო.) სადღა არის ნათესაობა?! კაი ჩვენი ბრალიცა! მე რომ მათიკოს ამბავი ვიცი, რკინის ჩაქუჩით რომ სცემონ თავში, მაინც ვერ ამოადებინებენ ამ ჭაზრსა... კარგი საქმე წამომაგდეს კისერზედ! ამ მაჯანკოობაში რომ კარგათ გამტეიბონ, ასი კი იქნება ჩემზედ! მაგრამ არა უშავს რა, ასე მოვიკვდარუნებ კნეინასთან თავს, რომ ეგონოს, ამას მჯადიდგან ნახშირის გამოარჩევაც არ შეუძლიანო! (დადის.) რა ბრმა არის ეს დაწყეველილი სიყვარული!.. ასე ვუ-

ბავს კაცს ოვალებს, რომ თითქმის, ჯაბა-სმასაც კი ავიწყებს... ესლა მათიკო რომ მისთხოვდეს მაგ გაბესეკილ აზნაურს, რომელსაც ცარიელი თავის მეტი არა აქვს რა, რითი უნდა იცხოვრონ?! რამდენი რამ უნდათ სახლში, ვინ რას მისცემს?! ნეტავი რის იმედი აქვს მათიკოს?—ეს კარგათ ვიცი, რომ კნეინა არათვერს მისცემს ქალს, თუ მის უნებურათ გათხოვდება!.. მერე ამ ამბის გამგონს, ანთება მოუვა! წაკიდა და დაიღუბა კაცი!... (გაჯავრებული დაიღრიჯება.) ოჰ, სიყვარულო! რა ხარ, შენ ოხერო?! გაუხმეს და გაუქვავდეს იმას გული, ვის გულმაც სიყვარულის გრძნობით თავდაბირველათ ძგერა დაიწყო!.. (გაჯავრებული თვეს დაჭერამს იტაკვზე.)

გამოსვლა 8.

იგინივე და გაბო.

გაბო. (შემოდის სიცილით.) ოჰ, ლიზას ვახლავარ! დიდა მშვიდობისა.

ლიზა. ღმერთმა მშვიდობა მოგცეს, გენაცვა!

გაბო. (დაჯდება ტახტზედ.) მათიკოს ჯერ არ გაუღვიძნია, ლიზა! რატომ სტუმრებთან არ გამოვიდა? ძღიეს მოვიშორე ის ოხრები!..

ლიზა. მათიკომ, ბენაცვა, რამდენი ხანია გაიღვიძა!

გაბო. ე! ასე ადრე, რა ამბავია?.. მერე წუხანდელი კამეჩანიის შემდეგ!.. სწორეთ ღამის სამ საათამდის ვისხედით!.. მე კი ვეღარ შევქელ და გავექეცი, მაგრამ უმაწვილების ყვირილმა მაინც არ დამძინა!

ლიზა. მათიკოსაც თქვენ შემდეგ აღარ დაუცდია, ისიც დასაძინებლათ წავიდა.

გაბო. მიკვირს ღმერთმანი!.. იმას იქ ერთი უმაწვილი ეტრფოდა; ნუ თუ ისეთი გულ-ტკივია მათიკო, რომ იმ ცხარე არშიყმა ვერ შეიკავა?

ლიზა. იმისმა სიცოცხლემ, თუ �tროდა, ბევრ რამეს კი გაგრიგებდა!.. მათიკოს სხვისთვის უტკბს გული!...

გაბო. ეეე! ეგეც კარგია!.. მერე ვინ არის ის ბედნიერი, რომლისთვისაც მათიკოს გული უტკბს?

ლიზა. (დიმილით.) გეტყოდი, მაგრამ ვაი თუ გეწყინოს?!

გაბო. იქნება არ მეწყინოს! (ჩუთიქრდება.) არა, არა! არა მგონია, რომ მეწყინოს, მითხარი.

ლიზა. ძალიან გინდა, შეიტყო?

გაბო. (დიმილით.) სწორეთ რომ ძალიან მინდა!

ლიზა. მაშ კარგი, გეტყვი, მაგრამ მუქთათ კი არა!

გაბო. ო! ქრთამებიც მომინდომე? (დიმილით.) ბოდსაბოლოებს გიუიდი, სწორე კი მითხარი!

ლიზა. ხომ არ მომატყუებთ?

გაბო. არა შენმა გაზდამ! თუ კაცად მაგდებ, დაიჯერე.

ლიზა. (იქით.) რა ცოტა სამაჯანკლოს ვიდებ! (იმას.) აი ეს წერილი წაიკითხეთ და სულ ყველათვერს გაიგებთ. (აძლევს.)

გაბო. (ართმევს.) ეს რა წერილია? თუ მოგიტყუილებია, მოგკლამ!

ლიზა. რა ვქნა, არ წაიკითხავთ? ჯერ წაიკითხეთ! (იქით) რაში ეჭაშნიკება, მაგრამ ის დმერთმა იცის, ამ საქმეს როგორ გადავრჩებით!

გაბო. (კითხულობს, უტბათ წამოვარდება.) ეს რა არის? ვისი მოწერილია?

ლიზა. ყველათვერი მანდ სწერია, წაიკითხეთ!

გაბო. (უყურებს წიგნს და ჩუმათ კითხულობს.) „შესრულდეს ჩემი თხოვნა, თუ არ გინდა, მათიკო ცოცხალი დამარხო!“ (გაოცებული კითხვას თავს ანებებს.) დმერთო! ეს რა მესმის?! მათიკო მე მწერს ამისთანა წერილს?!.. ლიზა! სწორე შემატყობინე, თუ დმერთი გწამს...

ლიზა. რასაც კითხულობ, სულ მართალია! ნამტკიცი სიტყვა არ არის შენმა გაზდამ!

გაბო. მერე როგორ და საიდგან მოუვიდა თავში ეს ჭაზრი?

ლიზა. ი ნამდვილი გითხრა: წუხელის ელიზბარის შვილისთვის სიტყვა მიუცია და დღეს უნდათ მათიკო იმაზედ დანიშნონ...

გაბო. იქნება მართალ?

ლიზა. მოითმინეთ! წელან შემოვიდა ჩემთან მათიკო თვალტრემლიანი, ყველაფერი შემომჩივლა, ეს წერილი მომცა, რომ თქვენთვის გადმომეცა და ამასთანავე მითხრა: თუ არ გაბო, მე ქვეყანაზედ ქმარი არ მინდა და გაბოს უარის თქმა უცბათ მომისწრაფებს სიცოცხლესაო! ესლა კი თქვენ იცით, როგორც გინდათ საქმე მოახერხეთ! მეც, რაც შემიძლიან, თქვენთვის თავს არ დავზოგავ!..

გაბო. (გაოცებით.) ლიზა! ეს რა მითხარი? ანთება მომდის, თავი მისკდება, გულის წუხილი დამემართება! (თავქრს შემდეგ.) ეს რა მესმის? მათიკოს უყვარვარ მე? მე...გაბო? განა შესაძლოა ჩვენში ეს მოვლენა?!.. რომელთანაც სიტყვის თქმა არ შემეძლო ჩემ უზომო სიყვარულზედ, ესლა იმისგან მომდის ეს წერილი! ჩემი დაკარგული იმედები უნდა დამიბრუნდნენ! ჩემი მოუსაზრებელი განზრახვა უნდა შესრულდეს!.. მათიკო ჩემ ცოლობას ნდომულობს!.. (მწარედ იზმორება.) ოო! გული!.. ეს რა იყო? ეს რა ფიქარი დამეცით გულში?! ეს რა მოულოდნელი ტეტლი იყო?!. რითი დაიშრიტება ეს აღგზნებული ჯოჯოხეთის მთუთქველი ტეტლი?! (სულს ამოვა.) ლიზავ! მიშველე!..

ლიზა. (ტასტზედ დასვამს.) ი ცოტა წყალი დალიე. (აწვდის წყალს.) და თვისიდათ იყავით, დრომდისინ არავინ შეგვიტყობს!..

გაბო. (დალევს წყალს და ამოიოხრებს.) ოოოხ! (შუბლზედ სულს მიიდებს და ჩაჭიდებს თავს.)

ლიზა. ყმაწვილო! გონება შემოიკრიფე! ღვთის გულისათვის არავის არ შეამტნევინოთ, თორემ მათიკოს ყელს გამოსჭრით! ისა

სჯობია, სიქმე ჩუმათ გაიგეთოთ! დღეს მართალია დასანიშნათ მოგ-
ლენ, მაგრამ მათიგო არ გამოგა, წელს მითხრა...

გაბო. (წამოდგება მრისხანეთ.) გინ მოგლენ?! გეფიცები მამი
ჩემის სულს, გინც მათიგოს სახელს ასსენებს, არ გაგა ქედგან
ტოტსალი!..

ლიზა. ანა მეც მაგას ვამბობ! რაგორ შეიძლება, უმაწვილო,
ეგრე აშკარათ ამისთანა საქმის დაჭერა? მერწმუნე სულ დაიღუპებით!..
დიდის ვედრებით გეგედრები გულ-გრილათ იყავი, თორემ ხომ იცი
მათიგოს დედის ამბავი, თვალის დასამსამებასაც კი მიგიხედებს!...
სჯობს სულ არ ეჩვენო, და როდესაც მათიგო გამოიღვიძებს, მაშინ
შეგატყობინებ, რაგორც გინდათ ისე დაწყეთ ბლანები...

გაბო. ოჰ, ლიზავ! იქნება ჩემ მეარეულ ანგელოზათ იყო ქვეყ-
ნად დაბადებული!.. თუ განგებამ მოგავლინა ჩემ სატანეველად?! ეს
რა მითხარი? რათ აღმიშფოთე დაწყნარებული, აუშფოთებელი გული?!
რათ მოჰფინე ამ ბედ-კრულს ის ელვარე ნადგერდალი სიყვარულისა,
რომელიც სახმილის სიმწარით სწვამს?!.. რომ არ გამიღიმოს ბედის
ვარსკვლავმა, რომ გამწიროს განგებამ, ბირი მიმარიდოს ქვეყნად მოგ-
ლენილმა ჩემმა მეარეულმა ანგელოზმა,—და არ მოსდეს ჩემი მათი-
გოსთან შეკავშირება;—მაშინ? ხომ მიეცემი საუკუნო ტანჯვას, რო-
მელსაც ჯერ კიდევ შვილის იმედი აგრილებს; ხომ ჩაგუშვდა და ამოგ
გასდა ქალმის მოყრილი ჩემი უმაწვილ-კაცობა!.. არა, (სელს დაუჭერს.)
შენ უნდა სიკვდილამდის დამავალო!... შენ შეგიძლიან და გთხოვ, არ
დაზოგო, ჩემთვის შენი ბატარა ლონე!.. მიშველე სიკვდილამდის
დაუვიწყებელ შენს მეგობარს! ნუ მოსწყმალავ ჩემ უმაწვილ-კაცობას!..
მგონია, საუკუნოთ სათლავში დამინებულსაც კი ადმაშფოთებს ეს
მოგონება!.. შეისმინე, გეგედრები!...

ლიზა. მე თქვენი თხოვნა ადარ მინდა. მათიგოს სიყვარულის-
თვის ვიღებ თავზედ სელს, ოღონდ თქვენ საქმე კარგათ დაიჭირეთ!

გაბო. ანა, ლიზავ, შენ იცი, თხოვნას ვედარ ვასერხებ! (და-
დის ჩაფიქრ.)

ლიზა. კარგი, კარგი, მე ვიცი... სადაც არის სტუმრები მოგლენ. მე დრეს გიპოვით მათიკოსთან მოსალაპარაკებლათ! მშვიდობით! (მიდის მათ. ოთახში.)

გიორგ. შენი იმედი მაქვს! (ჩაფიქრებული დადის, მერე შეაზედ გაჩერდება.) ეს რა დღე გამითენდა!.. რაღაც უსიამოვნო ძალა მიხმუშავს გულს!.. რა მდგომარეობაში ვარ! ღმერთმა ჩემი მტერიც ნუ ამყოფოს ამ მდგომარეობაში!... ათას ნაირი თეიქრი მიხუთავს სულს!.. (ფანჯრიანს.) მე, რომელიც უმაწვილობიდგან გამოგზრდილვარ ამ პატიოსანს ოჯახში, უნდა განვიზრახდე ამ მოუსაზრებელ საქმეს!! მიეგარდეს დასავით ჩემთან შეზრდილი ქალი!!. ოჰ, ღმერთო! მომეცი შეძლება, ეს ავიტანო!.. (თეიქრობს.) როგორ უნდა შევსედო ბირზედ იმის დედას, რომელიც, როგორც თავის ნაშობს, ისე მეპყრობა: მეძახის შვილს და მათიკოს ძმას!.. ოჰ! რა ძნელი გასაგონია ესდა ჩემთვის ეს მოპაკვდინებელი სიტყვაები!... რა განუსაზღვრებელი განცვიფრება უნდა მოხდეს იმის დედაზედ, როდესაც შეიტყობს ამ ამბავს!.. ნუ თუ იმისი აქამომდე ლოცვა-გურთხევა წყევად არ გადამექცეა?! ნუ თუ იმისი შშობლური ალაგი შემერგება?! არა მგონია, მშობლის ერსა სასტიკი მოქმედება არა ჭქონდეს კაცზედ!.. (თეიქრობს.) აქამომდე შეი ლის სახელი სიძეზედ შეიცვალოს, დის სახელი ცოლზედ!!.. არ შეიძლება! კაცი ვარ, სინიდისი მაქვს!.. ჩემ თავს არ მივცემ ნებას! მათიკოს დავტოვებ ამ ჭაზრის გულში ჩადებისათვის!.. გარდა ნათესაობისა სახლის შვილიეთ ვარ გაზრდილი!.. არა! არა! ბირუტყული გრძნობა ვერ დაიმორჩილებს; თავი უნდა გავიტანო, კაცი მქვიან!! (გაექანება თავის ოთახში.)

(ფარდა ხჭარა ეშვება.)

მოქმედება მეორე.

(სცენის მოწყობილობა ისეთივე, როგორიც პირველ მოქმედებაში იყო.)

გამოსვლა 1.

თორნიკე და ბრძენაძე. (შემოდიან)

თორნიკე. (სულების შლით ჩქარ-ჩქარა.) შენ ეი! რა გქვიან? პოლიტო, თუ რაღაც ჯანაბა...

ბრძენაძე. პოლიეკტოს.

თორნიკე. პოლიეტოს რაღა ოხრობაა?.. მოდი, შვილო, მოდი! კეთილი იყოს შენი თვესი ამ ოჯახში.

ბრძენაძე. ჯერ ადრეა, კნიაზო, მაგის თქმა!

თორნიკე. (დაცინვით.) ადრეა, მე შენ მოგახსენო, იშტა არა გაქვს!.. ჭაი, თუ შენც დრძილები გექვება!.. გიცნობთ, შვილო, ესლანდელ ყმაწვილებს!.. ასეთი ჩასუქებულია ჩემი ძმის-წული, როგორც უურთუკის დოშაკი!... რა გიშვირს, შვილო, რა: ნაალთაც გეყოფა და სანნათაც!...

ბრძენაძე. რა ვქნა, კნიაზო, რა ნაირი ლაპარაკი იცით?!

თორნიკე. (ტასტზედ ჩამოჯდება, სიცილით.) ჭო! მე რაში მოგეწონები ბლუ მამა შენთან: თითქო პირში ცხელი კარტოფილი უქევსო!... (აჯავრებს,) ბლუ... ბლუ... ბლუ!.. მე რა გავიგო, ის რა ბლა-ბლას ამბობს?! (სიცილით.) კი არ გეწყინოს, შენ ეი! მე და მამა შენი (თითებს მიატუკებს.) აი ესე ვართ შეზრდილი!.. ჩვენ წინ რომ „ჩასრიალა“ ჩამოდის, მთელ ზაფხულში იქ ტიტვლიკანა

გოჭებივით ვეყარენით სოდომე!.. (მოიკეცამს ცხვირზედ და მუთაქას კალთაში ჩაიდებს.)

ბრძენაძე. (იცინის.) კარგი სანახავებიც კი იქნებოდით! (სკამზე დაჯდება,)

თოხნიკე. რაში მოგეწონებ! ჩვენა, შვილო, რა მაშინ ერთი ბეწოები ვიყავით; მაგრამ თქვენ თავზე იფიქრით ესლანდელმა ხალხმა, რომ არც კაცებშია ნამუსი და არც ქალებში!... რუსობაო! — აი გაცინდეს მაგისთანა რუსობა!.. იქით ყვირას რომ ქალაქს ვიყავი, ეზასისაკენ ავიარე ჩემო ბატონო და ერთიც ვნახოთ, ერთი ჯელგა გოგოები მოდიან, შენ სარ ჩემი ბატონი, რუსები და ქართველები; ერთი რადაც ჭრელი ტანისამოსი აცვათ, ჩემო ბატონო, რომ სწორეთ ფოცხვერებსა გვანდნენ! (ახჩენებს მხრებზედ.) ასე, ჩემო ბატონო, დაშარტული მოსართავებითა; არ გინახამს ჩადგადრის ცხენები, იმერეთიდგან წაბილი რო მოჭონდათ ხოლმე, ჩემო ბატონო, სწორეთ ისე!.. ეს კიდევ არაფერი... მელავები, ჩემო ბატონო, (თავში სელებს შემოიკრავს.) ვაი, სირცხვილო და ნამუსო!.. მამა ჩემი ოორამ არ წამიწყებს, სწორეთ ბეჭის თავებამდინა ჭონდათ გადაშიშვლებული!.. წინ გუდი ს

დია, უკან ლია; ეჭეთ გამოგლეჯილი, იქით გამოგლეჯილი.... აი შარცხვეს იმათი ნამუსი!.. (ეიუურთხებს.)

ბრძენაძე. თქვენ, ბინაზო, სირცხვანს ამბობთ! რათა ეგ დასაძრახისი არ არის, მით უფრო, რომ უფრო განათლებულს ქვეყნებში ხმარობენ, ვიდრე ჩვენ საქართველოში!..

თოხნიკე. (დაცინვით.) ზოგი მამა შენ ყლიზბარსაც ჭკითხე განათლებაა!.. არ გინდა იმასაც იმისთანა ტანისამოსი შაუკერო, რადაც ოხერი სალათვავია?! (ძალიან იცინის.) დღეს თუ შამსვდა სადმე, მივრდები, ჩემო ბატონო, მოდა ასეა, შენმა შვილმა თქო მეთქი! (სარხარებს.) ვაიმე, დედავ, მოგეგდი სიცილით! (სკელას მოაყოლებს.)

ბრძენაძე. Говорите съ этимъ народомъ!

თოხნიკე. რათა შვილო? მე რაფა, ჩემო ბატონო? იმის თავს და იმის ტანს, ვინც ის მოიგონა!

ბრძენაძე. მამგონს ძალიან კარგათ მოუგონია!

თონიკე. რატომ არა, ჩემო ბატონო! თქვენ რა გიკვირთ, გაუგლით შვილისა გვერდზედ და ქორებივით გადასცდამთ შიგ თირკმელებში; ბრალი ჩემი, რომ ასლოსაც ჩავისედო, ვერაფერს დავინახავ!

ბრძენაძე. აბა, კნიაზო, ეგრე რომ სხვასთან იდაბარაგოთ, მასხარათ აგიგდებენ!.. საქართველოს თავადის-შვილი ხართ და თქვენ რომ ეგრე დაბარაგობთ, განათლება ვიდას მოგვითხო?!

თონიკე. განათლება? განათლება, შვილო, მე ქვეყრებით მიდგა; მოგუგდები კულა-ყანწით, ჩემო ბატონო და (მღერის.) „ასწი და დასწი ქართული ყანწი!..“ მაშ!.. აბა მამიფანე, რომელიც ძალიან განათლებული კაცი გეგულებოდეს და დავიწყოთ სმა; ნახამ, თუ ის ჩემზე უარესათ არ გასულელდეს!.. კაცის ჭკვა, თუ მგითხამ, ღვინოში გამოჩნდება!.. მე შვილისა ისე მაინც არ დავთვრები, რომ სუფრის სარისტის მიტემა არ შემეძლოს და ან კიდევ სადღეგრძელოები დავკარგო; მაგრამ ე შენი განათლებულები თუ დათვრენ, მაშინ მე დავიდარა მაქვს: ისეთ ნაირ ბამბულობას მოჭყვებიან, რომ ჩვენი ლოთი ეგნატეც არ ჩაიდენს!.. ზოგი სულ ტირის, ზოგი გიყივით სულ იცრიჭება, ზოგი ერთმანეთს ჭკოტნის და ზოგი რას ჩადის!.. (ეჯავრებს.) ბოყოლუსტა ბოცალული! . განა არ ვიცი, შვილო, როცა მშიერები არიან, მაშინ არიან ხოლმე განათლებულები!.. აბა ერთი გადაჭერან, თუ ჩვენ ჩოჩორზედ უარესათ არ დაიწყონ ლრიალი! მაშა?..

ბრძენაძე. კნიაზო! სუმრობა, რასაკვირველია, სანდისსან კარგია; მაგრამ, როგორც მე ვსედავ, საქმითაც ისა ხართ, რაც სიტყვით! ეს, სწორედ მოგახსენოთ, ძალიან საძწუსარია!.. ეს იცოდეთ, რომ ესდა შეცხრამეტე საუკუნეა—საუკუნე განათლებისა და ყოველგვარი სიკეთეების წარმატებისა!.. ესდა ჩვენ ვსდგევართ, ოიოქმის, იმ წრეზედ განათლებისა, რომელზედაც ოდესმე იდგნენ აქამდისინ დაუვიწყარნი რომაელნი და ელინნი... ეს, იცოდეთ, იშვიათი მოგვნია კაცის ცხოვრებაში!... მაგრამ თქვენ, საზოგადოთ ძველი თაობა,

ჭვმოობთ და თიოქმის ზიზღიით უეურებო ამ ჩვენს ასალ თაობას, რო-
მელიც იდგწვის გავიდეს იმ უზოომო ბნელისგან, რაც აქამდის ჩვენ
მამა-ბაბათ ეთვრავდა...

თონაკე. (სელს გაიქნევს.) ერი ეაააა!.. შენ ჯერ ეს მითხარი,
ერთი თეუთი ბამბა უთერო მმიმეა, თუ ერთი თეუთი რკინა?! (იცინის.)

ბრაკნაძე. (ადელვებული.) თუ ეურს დამიგდებთ, დამცადეთ
ვსთქვა, თუ არა და ..

თონაკე. კარგი! კარგი! იდაბარაკე! (იქით.) სულ წაწეენდილი
ვიეო, თუ ამისი გამეგებოდეს რამე.

ბრაკნაძე. ეს გასაკვირველი არ არის, რომ ძველი ადხი ვერ
ეწეობიო ახალს ადხს, ნათქვამია: ჩვეულება რეულთ უმტკიცესია,
ჩვეულება კაცის მეორე ბუნება არის, ყველას ეკვარება თავის მოწი-
ნააღმდეგე; და რასაკვირველია, რომ თქვენც უნდა გეკვარებოდეთ
თქვენი მოწინააღმდეგე—ახალი თაობა. ეს, ვსთქვათ, ასე უნდა იეოს,
რადგანაც კაცის ბუნება ასე ეოფილა, მაგრამ...

თონიკე. (შეეეეერებს.) ერეეა, ბიძია! შენ რატომ ეგრე გრი-
გოლ დეკანოზიეით ქადაგებას მოეეეი?...

ბრძენაძე (ადგება და დადის.) საქმე ეგ არის, რომ გაგონაც
არაეერისა არ გინდათ!.. (იქით.) სულ ამაოა ამ ადხთან დაბარაკი!..
ღმერთს უნდა შეგეგედროთ, რომ მალე მიიწვიოს იქ, სადაც მართალ-
ნი განისვენებენ, თორემ აქ დასადგომები ალარ არიან; ტეუილად ხო-
რაგს ამვირებენ!.. (დადის.)

თონიკე. (აქამდის თეიქრობდა, სიცილით.) შენ ეი, ბალაბანინო,
მოდი, ჩემთან დაჯექი!.. ბიჭო! მე კიდევ ეს მიკვირს ი ბლუ მამა შენს
ესეი მეტუველი შვილი საიდან გამოუვიდა! შენ რომ ღვდლად წასუ-
ლიეავი, არქიეელობას მალე იშოვიდი ა!... ძალნ მეტუველი ეოფილარ
მე და ჩემმა ღმერთმა! (იცინის.) კარგი! კარგი! მოდი ჩემთან დაჯე-
ქი, ალარ გაგაკვირებ....

ბრძენაძე. მე სულაც არ გკვირობ! ან კი რა მაქვს გასაკვირე-

ბელი: მთელი საუკუნე ვერ მოქმედობს კაცზე და მე რა უნდა ვიმოქმედო! (თორიგესთან ტასტზე ჩამოჯდება,)

თორიგე. (ხელს გადასვევს.) შენ ეი, ჩემო ძმავ, ბრძენსაძისთ გეძახიან, მაგრამ, სწორე უნდა თქოს კაცმა, ერთი ჭკვიანი კაცი კი არ გიორეგიათ მთელ გვარში, სულ ტუტუცები ხართ! (ანჯღრევს.) კი არ გეწყინოს, შენ ეი! (იცინის.)

ბრძენსაძე. რათ მეწყინება, თავიც რომ გამიტეხოთ, სმასაც არ გაგცემთ. (იქით.) მეტი რა ღონეა!

თორიგე. (ტოტა ფიქრს შემდეგ.) არა, როგორ არა თქოს კაცმა, რომ ამოტეხა ხალხი სულ მაიმუნებს დაემსგავსენით და თავი მოგწოლია კიდეც!.. კაცს კიდეგ ჯანი გაგაჩდეს, კაცი ჭკვიან, მაგრამ ქალები!.. ქალები!.. ვაი, საიცხვილო და ნამუსო! ბიჭო! ქვეყნისა როგორ არა რცხვენიათ, რომ ისე ტიტვლი-კანა, ლეკური ქათმებივით გაბდეულიები დადიან! ვაი დედი ჩემის ღმერთსა!... მაგრამ ვისი შერცხვებათ რა! შენისთანა კაცებს ის მოხწოლთ და ჭკვიანი კაცი დღის სავალზეადაც არ გაუვლის!.. (წამოხტება.) შენ ეი, ეური დამიგდე: მამა ჩემი იორამ არ წამიწყებს, მე რომ ლუბუნატარი ვიყო, წამოვაგებ ხელს ერთ კეტსა და ურტყამ და ურტყამ... ურტყამ და ურტყამ!... შეგინია ქალაქი კი არა და ყარაიაზედ ჩაგრეკო!.. (ჯავრობს.) ოქვე საძაგლებო თავენა, წაჭმიდწეთ ქვეყანა და განათლება არისო?!

ბრძენსაძე. კნიაზო! დამშვიდდით, რა გაჯავრებთ?

თორიგე. (ჯავრობს.) როგორ თუ რა მაჯავრებს, თქვე ეურუმსაღებო, სახლში შესაშვები არა ხართ!.. ტოტა მამი შენის სათრი არ მქონდეს სულ გინებით აგიგლეჯდი, მაგრამ ნათელ მირონობას რა უყო?! თქვე ჩამოსახჩობებო თქვენა!

ბრძენსაძე. (იქით.) რაზედ ავსტეხე ეს სულელი! (იმას) კნიაზო! საკმაოთ სიმ გამლანძღეთ, მოდით ესლა შეერიგდეთ! (ხელს აძლევს.)

თორიგე. რაო? (ხელზედ ათუთუბებს.) აი შეგარცხვინათ ღმერთმა თქვე უსვინდისოებო!.. სულ თქვენი გაბრიყვებულები არიან ის

ოჯას დაქცეული გოგოები, რომ ისე ტიტვლი-კანა დადიან!.. არა, უნდა გიჩივლოთ ღრუბენატართან, ნამესნიკოთან, სენატში!.. ვინცხამ თქვენ ბიჭობას!..

ბრძენაძე. ოდონდ ნუ ჯავრობთ და არზას მე თითონ დაგიწერთ!.. დაბძანდით, ჩვენ საქმეზედ მოვიდაბარაკოთ!..

თონიკე. (დადის.) არ დაგბძანდები, ასე უნდა ვიჯავრო!.. იმიტომ მომიყვი ბლაღოჩინივით ქადაგებას ტიკტიკი რომ გისწავლია?! ადარ გაძლევ ჩემ ძმის-წულს, რა გინდა, ჩემო ძმავ, ჩემგან?!..

ბრძენაძე. (სიცილით, სულს დაუშერს.) კარგია, ენიაზო, მაბატივეთ ეს ერთი. რა არის ღმერთმანი ამდენი ჯავრობა?

თონიკე. (დაშოშმინდება, გვერდზე შეხედავს.) შენ ეი! მიოვთსიდდი! (თითს უქნევს.) მამა ჩემი იორამ არ წამიწყდება მამი შენის სათრი რო არა ყოფილიო, აქაურობას სულ დავლეწამდი! (დაჯდება.)

ბრძენაძე. (გვერდზე მოუჯდება.) ეე! დალოცვილო, ეგრე მალე როდი უნდა გაჯავრდეთ!

თონიკე. შვილო, ისე იცხოვრეთ, როგორც მამა-ბაბას უცხოვრია, რაზედ გვარცხვენთ?! განათლებაო! ი შეგირცხვათ განათლება!.. თქვე ოხრებო, ტიტვლა სიარული განათლება არის?!

ბრძენაძე. რა ვქნა, ტიტველა რათ იქნება?

თონიკე. კიდევ! ბიჭო, შვილო, არ მინდა ე თქვენი განათლება, თავს არ დამანებებ?

ბრძენაძე. აკი ადარას მოგასსენებთ!

თონიკე. (ტაშს შემოჰკრავს.) ჰეი! ნუ გაჯავრდებიო! გავჯავრდები კი არა და გბილებს დაგიმტვრევ!

ბრძენაძე. მერწმუნეთ, რომ ტყუილათ ჯავრობთ!

თონიკე. ერთი ამას უეურეთ ე! როგორ არ გავჯავრდე, შე ავო კაცო, რო ეს სალი ქაჯებს დაემსგავსენით!.. იმისი არ იყოს, ენდა კუდ-ბაწარასავით რომ დაათრევენ კაბებსა, ძალიან კარგია? ჰა? ბა მითხარ?... თუ რომ გინდა, მიწაზედ ეთრიოს ის ოხერი და ვე-

რანი, რაღას ჩამოგიკიდნია? თუ არ გინდა ეორიოს და ეძელს რათ იგერამ?.. ახლა კიდევ ათას ფერი ნაჭერების კაბა რომ აცვიათ აკონკილ-დაკონკილები და გაზაფხულის ჭრელ-ბეჭედებსა გვანან—აბა რასა გავს?.. ახლა იმათი რაღაც რომ აქვთ მოჭარილი ძლივს რომ სუნთქავენ და სწორეთ ხუთ შაურიან შამაიებს გვანან—კარგია? რაზედ იჭლექებენ ი ტოდვის შვილები ძალათი თავსა, ერთი კაცი ჭკითხოს?! ახლა იმათ ბათინკებს ნახევარ არშინი ქუსლები, წელ-კვიანი თხებივით რომ ძლივს დადიან—კარგია! (აჯავრებს.) **Что какой нужна, драсти знакомъ, пайдомъ** ბაღში სასეირნოთ!.. ეს არ არის, შვილო, თქვენი განათლება?!.. აბა ახლა, თუ კარგი ქალები არიან, ერთი კრუსი დასხან და წიწილები გამოაჩეკინონ, ან ერთი სადულარი ლობიო მოსარშონ! მაშ!

ბრძენაძე. (დაცინვით.) ჭეშმარიტათ მართალს ამბობთ! მე ისე გეხუმრებოდით, მინდოდა გამეჯავრებინეთ!...

თონიკე. გაგეჯავრებინე და ჯავრობასთან ტოტა წამოსმაც ვეცი და ჩემი არა ბრალია! გაიგე თუ არა?.. თუ ჩემი სიყვარული გაქვს, აღარ გამიხსენო ეგენი...

ბრძენაძე. კარგი! კარგი! აბა ჩვენ საქმეს შეუდგეთ, ან ჭო, ან არა!

თონიკე. (კარებისკენ იყურება.) აი, მგონია, შენი სიდედრიც მოდის და ბარემ ერთათ მოვიდაპარაკოთ!

გამოსვლა 2.

იგინიგე და მარიამი.

მარიამი. (შემოვა, ხელში კრიალოსანი უჭირავს.) დიდა მშვიდობისათ, გენაცვალეთ!

ბრძენაძე. ღმერთმა მშვიდობა მოგცეთ. (მიეგებება და ხელს ჩამოართმევს.)

მარიამი. დაბძანდით, გენაცვალეთ! (თითონ ტასტზე დაჯდება.) სხვა როგორ გიკითხოთ?

ბრძენაძე. გახლავართ თქვენი და ღვთის წყალობით. (თონიკეს ხელს წაჰკრავს.)

თონიკე. (იმას.) ჭაი შე სულ სწრაფო! (თითს უქნევს.) ჩემო რძალო, ყველა კარგი, მაგრამ ჩვენ უნდა საქმე დავიწყოთ! (ადგება.) იგავებით არა გამოვა რა... წუსელის ამის მამა ელიზბარს მოგვაპარაკე და საქმე გავათავეთ კიდეცა!... მამას კარგათ იცნობ, მეზობელია; ამათი ავლა-დიდება—ყველა კარგათ იცი; თითონაც ღვთის წინაშე, კარგი უმაწვილია, განათლებული. (თითს დაუქნევს.) შენი მათიკო მოსწონს და გთხოვს კიდეცა. რას იტყვი ჩემო რძალო? (დაჯდება.)

მარიამი. (ბრძენაძეს.) აი, ჩემო ბატონო, თქვენც კარგათ მოგესსენებათ, ეგ ერთი ქალი მყავს. ჩვენი ოჯახის ბატონი ეგ არის. ვერც სწავლით დაიწუნებ, გენაცვა, ვერც სიდამაზით, ვერც გვარისშვილობით... ოვისთვის მზითევია, თუ თვული საგმაო აქვს... ძალიან ბევრნიც მთხოვდნენ და კიდევაც ბევრნი არიან გადაკიდებულნი, მაგრამ, რა ვქნა, თუ არ ჩემი მიწა-ყლის შვილს სხვას ვერ მივცემ ჩემ მათიკოს!.. ჩემი სიტოტლესაც ეგ არის. მე მინდა, სანამ ტოტსალი ვარ, თვალით ვუყურო ჩემ შვილს. აი გენაცვა ჩემი სიტყვა; მე შენ, შვილო, ვერაფერში ვერ დაგიწუნებ. ასლა კი მათიკომ იცის!..

ბრძენაძე. ბერველი, ენეინავ, გასლავთ ქალის მხრით თანხმობა! კარგათ მოგესსენებათ, ტოლ-ქრმობა ისეთი კავშირია, რომ უსათუოდ ორთავე მხრით, მამა-კაცისა და დედა-კაცისა, სრული თანხმობა უნდა იყოს, თუ რომ უნდა კაცს, სიტკბოებით და ბედნიერად გასვლოს დღენი თავის ცხოვრებისა...

თონიკე. (სიცილით.) დაიწყო ეპისკოპოზმა წერვა...

ბრძენაძე. და ძალიან კარგი იქნებოდა, ენიავენაც აქ დასწრებულიყო!

მარიამი. ესლავე დაუძახე. ლიზა! ლიზა! ქალო! (ლიზა შემოდის.) წადი, შვილო, მათიკოს უთხარი გამოვიდეს.

ლიზა. მათიკო, გენაცვა, შეუძლოთ გახლავთ და ტოტა წაიძინა.

ბრძენაძე. (მარიამს.) მაშ ნუ გაანდვიძებენ, მერეც შეიძლება, ჭკითხოთ!

მარიამი. (თავ-გამოდებით.) ისეთი ქალი არა მყავს, რომ ურჩობა გამიწიოს! ლიზავ! გაბოს მაინც დაუძახე, თუ არ იამება, ხომ არ ეწყინება მათიკოს გაბედნიერება!

ლიზა. (იქით.) საშინლათ იამება, შენმა სიცოცხლემ! (მიდის.)

თონიკე. ჭო, მართლა გაბოს დაუძახე! (იმათ.) ის კი არა და, ოინი ის იყო, მე რომ ჯვარი დავიწერე!.. ოჭ! საწყალი უბრალოთ გაფუჭდა! რა კაცი იყო! რა კაცი იყო! მთა იყო სწორეთ მთა!.. მერე, ჩემო ბატონო, განსვენებულ მამა ჩემ იორამს სიტყვა მიუცია ჩემი სიმამრისთვინა... მე სად ვიყავი! კოჭობასას ვთამაშობდი!.. მაშინ მანდ ვიდექით, თიკალოსთან რომ ძველი დარბაზია; მაგისთანა დარბაზი მთელ საქართველოში არ იყო... მახსოვს, მამა ჩემი იორამიც იქ გადაიცვალა!.. ღმერთმა ანრამის წიალში მიიხსენიოს... ძალიან კაცი იყო!... ჭო, იმას მოგახსენებდით, მამა ჩემ იორამს სიტყვა მიცა ჩემი სიმამრისთვინა... თედუა ერქო ჩემი სოფიკოს მამას!.. შვილის სიკვდილმა კი გადაიტანა ის საცოდავი!.. ჩემი სოფიკო! ჩემი სოფიკო! ოჭ, რა დედა-კაცი იყო ის ცხონებული!.. ღმერთმა აცხონოს! (ტირილის ხმით.) სიკვდილის დროს მითხრა ცხონებულმა, მე ის მენანებაო, რომ მე გკვდებიო და შენ კი ეგრე მარტო რჩებიო; ნეტავი როგორც ერთმანეთი გვიყვარდა, ისე ერთათაც დავსოცილიყავითო! (ამოიოხრებს.) ეჭ! საწყალი! (თავლებს იწმენდს, მერე დამშვიდებული.) მაგრამ ტირილით რაღას უშველით; გული უნდა გავიმაგროთ, არც ჩვენ დავრჩებით ცოცხლები!.. რა ვქნათ, კარგი იყო და ღმერთსაც კარგები უნდა!.. (სულ დამშვიდდება.) ისე ანაზდეულათ კი გამოგვეცალა ხელიდგან ის უბედური!... მართლა და იმ ოჯახს დაჭ-

ტეულს ისე უცბათ ამოსძვრა სული, როგორც სანთელს შეუბერო და გააქრო!...

ბრძენაძე. დალოცვილო! ალარ იტყვით, რისაც თქმა გინდოდათ?

თოანიკე. ცოტას არ მოიცდი? შენ ეი, განათლებულო! (თითს უქნევს.) აბა, შვილო, განათლებულები მაშინ მე და მამა შენი ვიყავით, რომ ბერანგისა და იმის ამსანაგის ამარა—უკვტრალოთ, ჩემო რძალო—დავდიოდით!.. ჰო, იმას მოგასსენებდით, მე და ჩემ სოფიკოს რომ ჯვარი დაგვწერეს ისე შატარეები ვიყავით, რომ სამი წელიწადი ტიკინებს გათამაშებდით!...

ბრძენაძე. (იქით.) იმიტომაც ბევრი ტვინი შეგრჩენია თავში!..

თოანიკე. (ამოიოხრებს.) ჰეი! ჰეი! ჰეი! იმ ერთ წელიწადს ძალიან დავზარალდით!... მამიკვდა ჩემი განსვენებული სოფიკო, ჩემი დედის ძმა ნიკოლოზი, ჩემი სიმამრი, ერთი კარგი ბედაური, ლეკის ტანისა იყო, მაგრამ ჰეი!.. დასწყევლოს ღმერთმა სულ ზედა-ზედ ერთ წელიწადს... მოკვდა მამა ჩემი, იოანმი, ჩემო ბატონო, კიდევ ჩვენი დიდი მურვა და ალაბეშ! აბა ძალიანი იმათ ეთქმით აი! ბუზს არ გაატარებდნენ ჩვენ კარ-მიდამოზედ!...

მთიკო. (მუხლებზედ ხელს დაიკრავს.) უი, დამიდგა თვალი!

ბრძენაძე. აი გაბოც მოდის.

გამოსვლა 3.

იგინიგე და გაბო.

გაბო. (შემოვა, ყველს თავს დაუკრავს და დაჯდება.)

მარიამი. აბა, შვილო, გაბრიელ! სახლის შეიღათა სარ გაზდილი, მთიკოსთან ძმურათ შეზდილი, რას იტყვი, გესაცვალე, ეს უმაწვილი გვთხოვს მთიკოს?

გაბო. (ტიკვთ.) როგორც ბნებავდეთ!...

თორნიკე. ერთი მათიკო მოვიშოროთ და მერე გაბოსაც გადვწეროთ ჯვარი!...

გაბო. (იქით მრისხანეთ.) ოჰ, ბებერო ძაღლო! (ხანჯალს ტოტათი ამოსწევს, ისევ ჩაგებს.)

მარიამი. რა იყო, გაბო?

გაბო. (მითომ არაფერი, დაბნეულათ.) არაფერი ხანჯალს ვცოდიდებდი და ხელი გავიკაწრე. (იშინჯავს ხელს.)

თორნიკე. მაშ საქმე გათავდა რადა? (ბრძენაძეს.) კნეინა მარიამი გაძღევს თავის ასულს მათიკოს; მზითევზედ მოდაბარაკება არ კი დიარს!..

ბრძენაძე. მაგაზედ მე თანახმა ვარ; ვიცი რა მზითევიცა აქვს.

თორნიკე. რას იტყვი, ჩემო რძალო, ამადამ ნიშნობა გავმართოთ!

გაბო. (თით. განრისხებული.) ოჰ, შენი.... (თავს შეიკავებს.)

მარიამი. რა სთქვი გაბო?

გაბო. მე? არაფერი! (დაბნეული.) ქორწილს სარადისოთ ნიშნავთ? მე ტოტა არ შემიძლიან!

თორნიკე. ამ ორ კვირაში უნდა იყოს რადა!

გაბო. (ადგება.) ნება მიბოძეთ, კნეინავ, გიახლოთ! არ შემიძლიან!

მარიამი. წადი, შვილო! (გაბო მიდის, ისინი გაადევნებენ თვალს.)

ბრძენაძე. რადაც ადრეულობა ეტყობა ამ ყმაწვილს! მგონია, არა სურს, რომ მე თქვენი ქალი შევირთო!...

თორნიკე. (ხელს გაუქნევს.) რას ამბობ ერთი შენცა! მაგის ვინ რას ჩეითხავს!

მარიამი. არა გენაცვალე, მაგას რაგორ მოინდომებს; ერთი ბეწო გამიზდია სახლში!...

ბრძენაძე. ეგ ეგრე გახლავთ, მაგრამ სწორე უნდა მოგახსენოთ, სიყმაწვილიდგანვე მე და გაბო ვერ ვეწყობით ერთმანეთს; წუ-

სულისაც თითქმის უსიამოვნება მოგვივიდა!... როგორც გამიგია, გაბოს მათიკოზედ დიდი გავლენა აქვსო... მაგას ადვილათ შეუძლიან დაიოჯახოს თქვენი ქალი და ამით საქმე გამოგვიშალოს... გთხოვ, კნეინავ, სადავიდარბო საქმე არ გამოვიდეს და ამიტომ...

მარიამი. (გულ-მოსული.) რას ამბობთ, გენაცვალეთ? როგორ შეუძლიან!... მე იმდენ ნებას არ მივცემ გაბოს, რომ ჩემ ქალზედ ეგ უფლება ჰქონდეს!...

თინიკე. (მარიამს.) ჩემი სათქმელიც ეგ არის! ჩემო რძალო, მართლა და რატომ ეგრე მიგინებებია თავი! რამტელჯერ მითქომს ერთმანეთს დაეშორე მეთქი! უმაწვილები ხომ არ არიან მართლაც! რიგი არ არის! (ბრძენ.) აბა, განათლებულო, ადე, წავიდეთ; ამალამ ნიშნობა გაუმართოთ და ერთ კვირაზედ ქორწილიცა!

მარიამი. ეგრე იყოს გენაცვალეთ!

ბრძენაძე. (თავს დაუკრავს.) ნახვამდის, კნეინავ!

მარიამი. მშვიდობით!

თინიკე. მშვიდობით, ჩემო რძალო! (მივა ასლოს.) ქალს თვალ-უური ადევნე, ჩვენი დრო ალარ გასლავს! (მიდიან.)

მარიამი. (მარტო.) იქნება მართლა რამე ამბავია და არ მეუბნებიან! კარგი საქმე კი მომივა ამ სიბერის დროს!.. (უძახის.) ლიზა! ლიზა!

ლიზა. (შემოდის.) რას მიბძანებთ?

მარიამი. აქ მოდი, შვილო! მათიკო რატომ არ გამოვიდა? სად არის?

ლიზა. როგორ გამოვიდოდა, შე დალოცვილო, თავი თინესავით უხურს!.. (იქით.) ისემც სიცოცხლით გაძეხი!

მარიამი. ლიზავ! ხშირათ არიან ხოლმე ერთათ გაბო და მათიკო? რაზედ დაპარაკობენ ხოლმე?

ლიზა. არაფერზედ, გენაცვა; რაზედ უნდა იდაპარაკონ?..

მარიამი. აი, შვილო, რა გითხრა: ეგ ერთი ქალი გვყავს, უუ-

რი უნდა უგდოთ! სოდ იცი რომ მზე მაგაზედ ამოდის... თუ ეს არ გამიბედნიერდება, ოსრათაც დარჩეს მთელი ჩემი ქონება!.. ამბობენ, გაბოს ეჯავრება ჩვენი სასიძო, ე მანდ მათიკოს არა უთხრას რა და არ დამღუშოს!.. შენა სარ, შვილო, ერთგული სახლის შვილი, ეველაფერი უნდა გითხრა: წამ და უწუმ ნუ მიიღებთ სოლმე გაბოს მათიკოს ოთახში; თითქმის სიარული აუკრძალე და თუ ილაპარაკონ რაზედმე შემატყობინე სოლმე... შენ იცი როგორც მოახერხებ!..

ლიზა. ის მე ვიცი, როგორც მოვიქცევი! (იქით.) ნეტა ჩემ სულს! (იმას.) მაგრამ, ბატონო, გაბოს რომ მათიკოსთან ლაპარაკი აუკრძალოთ, მაშინ რას იტყვის გაბო?! რას უნდა მიაწეროს ეს ამბავი, ან კი ამაში საშიშო რა არის?

მარიამი. შენ არ იცი, შვილო, მშობლის გული! დედა გარ მშობელი, მათიკოს მოგლაც მე შემეხება!.. მე გაბოს არ დავუშალი მათიკოსთან ლაპარაკს, ოღონდ ბრძენაძეზედ ნურაფერს ეტყვის; ეგ ერთი რიგიანი კაცი ძლივს ვიშოვნეთ და ესლაც რომ საქმე ჩაგვეშლოს, რადა იქნება!... მე ცოტაოდენი რამე მითხრა ჩემმა ბაზალმა გაბოზედ!.. ეგრე, ჩემო შვილო, აბა ვინ ძალო ეური უგდო, შენც თუ გინდა მათიკოს წაჰყვი, თუ გინდა გაგათხოვებ, შენთვის ეველაფერი მაქვს! (აგდებს.) ამაღამ ნიშნობა გვაქვს და ვინ ძალო ეველაფერი სუფთათ იყოს.

ლიზა. ეველაფერი კარგათ გასწორდებათ!

მარიამი. ჰო, შვილო, ეგრე... არ დაგავიწყდეს ჩემი დარიგება! (გადის.)

ლიზა. ნეტავი ვიცოდე, ვის ნიშნობას აბირებენ ამაღამ!.. გაარიგეს რადა საქმე; მათიკოს კი არა ჰკითხავენ!... ღმერთმანი არ ვიცი რა ვქნა! სწორეთ ორ ცეცხლს შუა ვარ! რომელი მსარე დავიჭიროთ? რომელ მხარესაც დავიჭერ მაინც ლხენა არ ექნება ჩემ სულს; ისევ ისა სჯობია ასალ-გაზდეებს მივმართო, ნათქვამია: „თხას თხა ურჩევნია ათას სულს ცხვარსაო!...“

გამოსვლა 4.

იგივე და გაბო.

გაბო. (შემოვა დაღვრემილის სახით, ლიზას ვერ ხედავს.) ბევრი ვეცადე გულიდგან ამომეღო ეს საშინელი ჭაზრი, მაგრამ არ იქნა და არ!... სურვილის ძალა წელში მხრის და როგორც ჭია, ისე მიღრღნის გულს! ვერაფერზედ ვერ გადავაყოლიე გული... ფიქრები ანთებათ გადამექცნენ თავში!.. საქმე გათავებულია, სიყვარულისკენ ვიხრი თავს!.. (ლიზას.) ოჰ! ბატარა მკურნალო, შენ ისევ აქა ხარ? რა იცი ახალი?

ლიზა. ბევრი რამ! ამაღამ მათიკოს ნიშნობა აქვთ!

გაბო. ეგ ხომ მეც ვიცი!... კინაღამ სულმა წამძლია და დავფაშვე წელან ის ღორები!...

ლიზა. აბა მაგას გეუბნებოდით, თავი შეიმაგრეთ მეთქი! ყველაფერი გაგიგებინებია!.. კნიაზს თქვენზე რაღაც უთქვამს კნეინასთვის, და სწორე გითხრათ, კნეინამაც აგიკრძალათ მათიკოსთან ლაპარაკი!..

გაბო. როგორ? მე აღმიკრძალეს მათიკოსთან ლაპარაკი?! (მწარეთ ჩაიცინებს.) ოოო! ამას მოგველოდი!.. თავს გელარ დავიმალავ, აღნობე მათიკოს, რომ მე იმის ნახვა მინდა!..

ლიზა. დაწყნარებით, გენაცვა, თორემ სულ დაგიღუპებით... სანამ კნეინას სძინავს, მანამ ილაპარაკეთ... დრო მიდის... ერთ კვირაზედ ქორწილს აპირებენ. (გავა.)

გაბო. (მარტო.) ოხ, ღმერთო, რა დღეში ჩამაგდე!... რაზედ ვიტანჯები ასე უწყალოთ?!... საღაური სად ვსტირი ჩემს ბედს და იღბალს!.. რამ ჩამაგდო ამ განსაცდელში?! (ნაღვლით.) ოჰ, მშობელო, გეკითხოს ჩემი ტანჯვა!... (დადის, ფიქრობს.) მათიკოს უნდა კვარი დასწერონ და მე კი სეირს ვუყურო!... (ამაყთ.) ვინ გაბედავს ამას? შავთ ამოუვათ დიდს და ბატარას მზე და მთვარე!.. მათიკო ჩემია, თუნდ ეს რჯულის წინააღმდეგიც იყოს!...

მე ვერავინ წამართმევს იმ სურვილის საგანს, რომელიც ასე უწყალოდ მტანჯავს!..

გამოსვლა 5.

იგივე, ლიზა და მათიკო. (შემოდიან.)

ლიზა. ეს ცოდვეთ, დრო ტოტა გვაქვს!.. ვნეინა მალე გამოიღვიძებს... რაც გინდოდეთ, აბა ჩქარა მოიდაბარაგეთ, მე კარებში გიყარაულებთ! (დადგება კარებში.)

მათიკო. (მიუახლოვდება და სიტყვას ვერ ამბობს). გ...ა...ბ...ო!

გაბო. (ვერ შესდავს. მწარეთ.) ოჰ, მათიკო! როგორ უსდ შეიცვალოს ჩვენი და-ძმური სიყვარული?...

მათიკო. მე შენ და-ძმურათ ჩემს დღეშიაც არა მყვარებიხარ! რაც თავი შევისწავლე, მიყვარდი ისე, როგორც სურვილის საგანი!... მე სასოება ალარა მაქვს, ვიდაბარაკო: ან მიშველე რამე, გაბოჯან! ან შეიწირე ჩემი თავი მსხვერპლად!... შენ გენაცვალოს შენთვის თავგანწირული მათიკო!.. უშენოთ ღმერთმა ერთი წუთიც ნუ მატოტსლოს!... ესლა გთხოვ, ნუ მიმიტოვებ ამ დამწვარ დღეში; რაც გსურდეს ის ჩაიდინე!... უშენოთ ჩემი სიცოცხლე მოუსაზრებელია!.. (დაჯდება ტახტზედ, გული მისდის.)

გაბო. (ხელებს დაუჭერს დაჩოქილი.) გონება შემოიკრიბე, ბევედრები შენთან თანა-მგვდარი გაბო!... მე ვერ შემიძლიან გულ-გრილად და უტანჯველად მოგისმინო შენი მომაკვდინებელი სიტყვები!... შენი წერილი წავიკითხე, დიდათ გავკვირდი და შევწუხდი კიდეც.— და მოგისურვე შენგან გამეგო ის ალმაშფოთებელი სიტყვები, რომლებსაც შენ მე მწერდი!...

მათიკო. (გამოერკვევა.) მე უკანასკნელად გევედრები, რომ მიბატრონო!.. შენა ხარ ჩემი მზე, მთვარე, სურვილი, ნუგეში და სიცოცხლე!.. ეს ტეცხლი განა ესლა არის ალგზნებული ამ დამწვარ გულში?! არა შენმა გაზდამ! ღმერთს შევცოდამ და ვიტყვი, რომ ეს

ცეცხლი მედების არა ეხლა,—იმ დროდამ, როდესაც შენ ჯერ კიდევ წმინდის ძმურის გულით „დას“ მეძახდი!... დროებამ მოიტანა და გულმაც ვეღარ შესძლო დამემალა ეს შემაწუხებელი სურვილი, და ახლა გთხოვ, შეიკავო როგორმე ჩემი წუთიერი სიცოცხლე!.. რასაც მეტყვი, ადვასრულებ; წამოგეგები იქ, სადაც მოინდომებ და გაგიყოთ სიხარულს და ტანჯვას!.. მაგრამ ტანჯვას შენთან რა სელი აქვს! დეე მე ვიტანჯო და ვიდაგო, ოღონდ ჩემ სიცოცხლეს შორიდამ მაინც ვუეურო თვალით!.. (თვალებს იწმენდს.)

გაბო. (თვალებში შესტქერის.) ოჰ, ჩემო გამახარებელო და ჩემო მტანჯველო მათიკო! შენგან უნდა მესმოდეს ეს ვედრების სიტყვები?! არა, არა, მე ღირსი არა ვარ, რომ შენ მე ოავს მანაცვლიდე!.. ასე ადმათრთოლა და ადმიძრა გული შენმა სიტყვებმა, რომ მე, როგორც ცოდვილ კაცს, მავიწყდება არა თუ ჩვენი ეხლანდელი დამოკიდებულება, არამედ შენ რომ ყოფილიყავი ჩემი ღვიძლი ნათესავიც. მე განაცვალებ, ჩემო მშვენიერო, თავს, აგისრულებ ყოველ გულის წადილს, თუნდ ეს მიღირდეს მთელი ჩემი სიცოცხლეც!.. მხოლოდ მითხარი რა ვქნათ და როგორ მოვიქცეთ?!

მათიკო. დრო ადარ არის, რომ ლაპარაკს გამოვუდგეთ! ჩვენი აქ დარჩენა შეუძლებელია! შენ კარგათ იცი, დედას ეს ამბავი როგორ გულს შემოჰყრის!.. მაშასადამე უნდა ვუშველოთ თავს და წავიდეთ სადმე! მე შენ არაფერს არ მოგთხოვ, ოღონდ დაატკბე ჩემი სიცოცხლე ერთი-ორი დღე შენის ცქერით!..

გაბო. თუმცა ძალიან სამძიმოა ჩემთვის ეს თავის გამოდება, მაგრამ შენთვის, ჩემო მათიკო, მიდვია კისერზედ ყოველი უმძიმესი ტვირთი. რასან განგებამ ჩაგვაყრა ამ განსაცდელში, დეე ჩვენც ვიტანჯოთ და ვებრძოლოთ შეუწყნარებელ წუთი სოფელს!... დეე წვიმასავით წარმოგვედინოს ჩვენ წყევა მშობლისა და ნათესავისა!.. დეე მოკვდეთ ჩვენ მეგობართა და კეთილის მოოთოთ!.. დეე ქვეყანაზედ დარჩეს მაგალითად ჩვენი სიყვარული და იმის შედეგი!... მე ვიდებ თავს და წაგიყვან ჩემ საწყალ სახლში, რომელიც დამიტოვა დედა

ჩემმა უკანასკნელ ნუგეშად!.. ვიცხოვრებთ, ღმერთი მოწყალეა, როგორც იქნება!...

მათიკო. აბა, გაბოჯან, დრეს უნდა დავეშურეთ!... ამაღამ მითომ მნიშნავენ, მაგრამ მე თავს მოვიავათმყოფებ და არ გამოვალ; მაგრამ როდემდის უნდა ვიმალო თავი?! თუ შემიტყო, ხომ იცი დედი ჩემის ამბავი, ცხრა კლიტულში დამსვამს, სადაც მოისშობა ჩემი სიცოცხლე. ამიტომ გთხოვ, რაც შეიძლება, დაეშურო!..

გაბო. აი ჩემო სიცოცხლეო ჩემი ნაზარი: მე სვალეე გამოვეთხოვები დედა შენს და წავალ ჩემ სოფელში. იქ სასლს დავამზადებინებ ჩემ ნათელი-მამას და აგრეთვე ჩემ ერთგულ მეგობრებს — გლეხებს ვეტყვი ჩემ გულის წადილს. მერე გამოვემგზავრები შენგენ... შენ წინათვე მზათ უნდა იყო, როგორც ჩემი წერილი მოგივა და დანიშნულ დროზედ უნდა გადავწყვიტოთ ჩვენი ბედი და უბედობა: მოგიტაცებ! წერილი მოგივა ლიზას სასელობაზედ... სამ დღეზედ მელოდე!...

ლიზა. რა ვქნა ადრე გაათავებთ? აგერ კნეინაც ამდგარა და ბაღჩისკენ მიდის.

გაბო. მშვიდობით, ჩემო დაუვიწყარო მათიკო! გეკერდეს ჩემი სიტყვები!

მათიკო. მშვიდობით, ჩემო დამმარხველო! გელის შენი მათიკო!... (გადაეხვევიან ერთმანეთს.).

ლიზა. რაკქნა, რადა ესლა გაგიცხოვლდათ სიყვარული!...

(ფარდა უცბათ.)

მოქმედება მესამე.

(სცენა წარმოადგენს დარბაზს. დგას დაფენილი ტახტი, რამდენიმე უბრალო ჩის სკამი. თარეზედ ხორაგი აწყვია. სცენაზედ არიან თომა და ქეთევანა. თომა გუთხეში ზის ჩიბუხს სწევს, ქეთევანა სახლსა ჭგვის.)

კამოსვლა 1.

თომა და ქეთევანა.

ქეთევანა. (ჭგვის.) კაცო! ახლა არ მეტყვი, რა ამბავი არის?

თომა. რა ამბავი უნდა იყოს, რას გატუტუტებულხარ, დედაკაცო? (ჩიბუხს სწევს.)

ქეთევანა. როგორ არა რომ წუხელის გახშამზედ სულ რაღასაც ტუტუნებდით!...

თომა. (გვერდზე შესედამს.) ახლა რომ არ გაიგო, მუცელი წაგისდება? (იქით.) შენმა აშუნებამ შენ რომ ტუუბ-ტუუბი იცი!.. (ჩაიცინებს.)

ქეთევანა. (ცოცხს მიაუდებს და მიუახლოვდება.) ახლა, შე ქოფაკის შვილო, რომ მითხრა, რა იქნება?

თომა. რამ გადარია ე ოჯახ-დაქცეული! ბიჭო! რა უნდა გითხრა?

ქეთევანა. წუხელის ნათლია გაბრიელი რას გეუბნებოდა?

თომა. (ჩიბუხს სწევს.)

ქეთევანა. არ გესმის, კაცო?

თოდმა. (გადასხედავს და ისევ ჩიბუხს დაუწყებს წევას.)

ქეთევანა. რა ჩემმა გამჩენმა შეგიკრა ე კრიჭა, სმას ვერ ამოიღებ?

თოდმა. (გვერდზე შესედავს.) ერთი მაკოცნინე და გეტყვი!..

ქეთევანა. (ქოქოლას აყრის.) უი შენ ქეიფს! მადაზედ მოსულიხარ?

თოდმა. გიყი სარ, დედა-კაცო, მაშ მუქთათ გითხრა?

ქეთევანა. სთქვი ერთი, თვალიც გაგვრა!.. ასლა ქრთამები მომინდომე შენმა სიცოცხლემ!

თოდმა. ასლა რას ინაზები შვილოსა, ხამი ხარ?! სანამ არ მაკოცნინებ არ გეტყვი, ტყუილი არ არის!...

ქეთევანა. ჯანი და სული წაგივიდეს, აჭა! (უშვერს ლოყას.)

თოდმა. (მოჭსვევს ხელს და აკოცებს.) შე ოჯახ-დაქცეულო, შენ რატომ ესე მაყალო ვაშლივით თან-და-თან მაყვდები?...

ქეთევანა. იჭ, თვალიც დაგიდგება! ასლა არჩევანშიაც შეხვალ!.. ალარ იტყვი შე გულ-მკვდრის შვილო?!

თოდმა. დედა-კაცთან რა ითქმის?! სწორეთ ტელეგრაფია ხართ, თქვე ოჯახ-დაქცეულებო!.. (იქით.) გინდ ერთი დედაკაცისთვინ გითქომ, გინდ მთელი ქვეყანა შეგიყრია!..

ქეთევანა. ი, მესი კი დაგაყარე!... (ქოქოლას აყრის.)

თოდმა. ისე შველა ამასა ჭქონდეს (გულზე ხელს იტემს.) ჭომე და ჩემმა ღმერთმა!.. ი დალოცვილი რუს-სემწიფე რომ სარჯსა შვრება და ამოტელა ტელეგრაფიას ბოძებს ურჯობს, ის არა სჯობიან ი ბოძების მაგივრათ თქვენ დაგირჯონ!.. თქვენ უფრო მაღე არ ეტყვით ერთმანეთს ტყუილსა და მართალს! (ჩაიცინებს.)

ქეთევანა. კარგია თვალიც დაგიდგება, საქმე მაქვს! სად წავიდა გაბრიელი?

თოდმა. (გულ-მოსული.) აი დაგწყევლა ღმერთმა! რას ჩამატიე-

და ე ვერანი!.. სად წავიდა და (გაგგძელებს.) ო...სე...თვს დუ...ქნ-...ში!...ეი! ესლა ხომ მოისვენე!...

ქეთევანა. არ მოგასვენა ჩემმა წმინდა გიორგიმ!.. ი, მეხი კი დაგაყარე მაგ წელკავიან თავზე. (ქოქოლას აყრის და მიდის.)

თოშა. (ჩიბუხს სწევს.) აქ მოდი დედა-კაცო! სად მიხვალ, შე რჯულ დაკარგულო! არ გესმის, შენ ეი?! (თავისთვის.) უთხარი ესლა ამას: გავარდება და მგონია მთელ სოფელში ბუბლიკატია დაჭერას ასე სწადიანთო!..

გამოსვლა 2.

იგივე, გაბო და ზაქარა (შემოდიან.)

გაბო. (მოწყენილი.) აბა ჩემო ნათლი-მამავ, მგონი, დრო არის, რომ შევემზადოთ!.. ბიჭები, ვინც წუხელის ვსთქვით, ყველანი მოდიან!..

ზაქარა. (გადაკრულში.) წამოვალთ კი არა და შენი გულითვინ ვინ ბირძალი ლეკის ჯარი რომ იყოს, იქ არ გადავერიო!.. ნესვში მაქვს ჩაფლული ერთი ასეთი იეფნის სახრე, რომ ვისაც გადავერა, სამი ბირი ტყავი აძვრება!...

გაბო. ნათლი-დედა სად არის? იმასაც მინდა უთხრა რამე!..

თოშა. შენი ნათლი-დედა შენი ჭირიმე, სამსარს გვიმზადებს.. ოსეფა სადღა არის, ნათლი? ერთი მოგვეფაბარაკნა, როგორ ჩავიდინოთ საქმე!.. ოსტატი კაცია, რაც უნდა იყოს, ი კაი დარიგებას მოგვცემს!...

გაბო. ესლა უკან მოგვდევდა, ზაქარო! დაუძახე, თუ ღმერთი გწამს!

ზაქარა. ესლავე გენაცვალე (გავა.)

თოშა. ხომ დღეს აბირებთ წასვლას?

გაბო. (დაჯდება.) თითქო გაბირებ და არც ვაბირებ. გზები მესდართება, თავ-ბედისა ადარა გამეგება რა!

თოშა. რა ვქნა, რაღა არა გაგეგება რა! რაცა ბძანე, ყველაფე-

რი მზათ არის: ბიჭები თქვი, სუთი ასეთი ბიჭი მოდის, რომ ერთ როტა სალდათს დახვდებიან; ფურგუნი მზათ არის შენი ჭირიმე და სვგძალი; სხვა რალასა სწუსარ?! რასან მოგიწადინია საქმე ასრულე კიდევაც, ვაჟ-კაცი არა ხარ, რისა გეშინიან?! წელანაც ბრძანებდი, თუ დანიშნულ დროზედ არ მიგედიო, ი ქალი რასმეს აიტეხავსო, რათ უნდა გახდე იმის მიზეზი?! ძალიან კარგი იქნებოდა, რომ ნათესაობაში ეს ამბავი არ მომხდარიყო და რადგანაც მოხდა, თავიც უნდა გაიტანო, რას იზამ?!

გაბო. მე ეს მაფიქრებს, ჩემო ნათელი-მამავ, რომ ვაი თუ ცხოვრება გამიჭირდეს და ჩავამწარო იმ საწყალს სიცოცხლე!.. თავისთვის თავ-შეუტკივარად და შეუჭირვებლათ ცხოვრობს, რაზედ უნდა მოვაკლო იმას ეს ცხოვრება?! მე რა მაბადია: ერთი ბეწო ვენასი იყო, მოუკლელობით და უწყლობით გაოსრებულა, ერთი ძველი ქოხია და ეგეც დღეს თუ სვალ ჩამოწვება; ანა ესლა შენ მითხარი როგორ და რით უნდა ვიცხოვრო?!..

თოგა. ეგ ეგრეა, შენ გენაცვალე, მაგრამ ესლა გვიანლა არის: პატიოსანი სიტყვა მიგიცია ი ქალისთვინ, ვინ იცის დღე და დამ გზისკენ გამაიყურება. ესლა ლალატობა ძნელია!.. ისევ უნდა წამოიყვანო, მეტი გზა არ არის!... იქნება არ გაგიჭირდეს ცხოვრება: ყმაწვილი-კაცი ხარ, გული გერჯის, ჯანი კარგი გაქვს და სწავლა; ზოგი შენ, ზოგი შენმა ცოლმა ხელი გასძარით, გაისარჯენით, წავა ბოლოს და ღმერთი გიშველით!.. არა შენ გენაცვალე, ნათლია ჩემო, ისევ უნდა წახვიდე, რაც მოგივა, მოგივა; სიტყვა მიგიცია სირცხვილია!.. ი მე წავალ და ყველაფერს მოგიმზადებთ! (მიდის, დადგება.) მაგრამ, გენაცვალე, შენ იცი, როგორც გსურდეს, მე რა ძალა შამიძლიან. კიდევ დაუკვირდი საქმეს. როგორც ჭკუა გიჭრიდეს, ისე ჩიდინე საქმე... მეც ესლაგე გაისლები, პატარა საქმე მაქვს. (გავა.)

გაბო. (დგება, დაფიქრებული დადის.) ესეც კაცის სიცოცხლე!.. სულით და გულით გინდოდეს შეასრულო რამე საქმე და არც ძალა და არც შეძლება არ შეგწევდეს!... რა ქნას მაშინ კაცმა?!.. ეს ცხოვ-

რება არის?!.. სიცოცხლე?!.. რამდენით სჯობიან ამისთანა სიცოცხლეს სიკვდილი არამც თუ სახელოვანი, უბრალო სიკვდილიც!.. ოხ! ღმერთო!... (ფიქრობს.) ჩემი შეწუხება და ტანჯვა არ მეკმარება, რომ სხვაც არა ვტანჯო?!.. (აღელვებული.) გარდა იმისა, რომ ნათესაობას ვარღვევ, ვივიწყებ იმ ამაგს, რომელიც ჩემზედ მოხმარებულია თითქმის დაბადებიდგანვე, ქვეყანას ამ ბილწს და მდაბალ მაგალითს ვაჩვენებ, მთელ ოჯახს ვამწუხარებ, ვიჭრი თავს და ვსჭრი იმ უმანკო ქმნილებას, რომელიც დღეგანდლამდე თავის პატიოსნებით ამპარტავნებდა,—გარდა ამისა უნდა წამოვიყვანო, მოვაკლო მშობლის და ნათესავის აღერსს, მედიდურ ოჯახს, იმ ოჯახს, რომელსაც ჩემისთანა უამაგო, ასობით შეუნახავს და აქ კი შიმშილით სული უნდა ამოვართო!!.. განა ეს კაცობა არის? განა ეს უსვინიდისობა და მატყუარობა არ არის?! (დადგება.) რომელი გვარი ავაზაკობა არის უარესი უსვინიდისობაზედ?!.. (ფიქრობს.) რა უფლება მაქვს მე, როგორც ცოდვილ კაცს, სალხი ვტანჯო?! (აღელვებული) მე რაგორ შემიძლიან ადამიანის მსხვერპლი მოვითხოვო?! (შეწუხებული.) მაგრამ რა ვქნა მე უბედურმა, რომ საქმე უთუოთ ესრე უნდა დაბოლოვდეს!.. ამ მდგომარეობაში ჩამაყენა მე განგებამ, ესლა უნდა გავხდე მოვაკრე ადამიანის სიცოცხლისა: ორში ერთი უნდა შევიწირო, ან დედა და შვილი?! ეს არის შედეგი ჩემი ველურის მოქმედებისა!... ოხ! ღმერთო!... (დაჯდება, თავს ჩაჭიდავს და ფიქრობს.)

გამოსვლა 3.

იგივე, თომა, მერე ოსეფა და ზაქარა.

თომა. (შემოდის.) რას ჩაფიქრებულხარ, ნათლია ჩემო?

გაბო. არაფერს!... ორ ცოდვაში ჩადგომას, მგონია, ერთში ჩადგომა სჯობია... გადავწყვიტე და თუ მაღე არ შევასრულე, აუტანამ რამეს ჩემ თავს!...

თომა. რა უნდა აუტანო, შე დალოცვილო? წელანაც მოგასსენეთ, ესლა გვაინდა არის, გითქომს ასრულე კიდევაც!...

გაბო. მეტი გზა აღარ არის, უნდა აღვასრულო!...

ოსეფა. (შემოდის, უკან მოსდევს ზაქარა. ოსეფას ერთ ხელში უჭირავს წყვილი შამაია, მეორეში დოქით ღვინო, ქოშები აცვია, თან მღერის.) „მე მონად შევქნილვარ ერთისა მზისა... ის ჩემთვის კვდება და მე მისთვისა!..“ კამპანიას გაუმარჯოს!

თომა. გაგიმარჯოს!.. ერი ჭა! შენ ძალნ დამბალხარ!...

ოსეფა. (ღვინოს და შამაიებს ზაქარას აძლევს.) გა! დამბალვარ რა, ვისი რა მიჭირია? ჩემსას არა ვჭამ?! გაიგე თუ არა ჩემსას ვჭამ, ჩემსას?!..

თომა. მიირთვი, ძმაო, ღმერთმა შეგარგოს ვინ გაუვედრის?!

ზაქარა. (თომას.) ჭო და მართალს ამბობს მე და ჩემმა ღმერთმა. რათ უნდა დაუვედრო, მითომ რითვინაო?

თომა. ეე! რას მიმცვივდით, კაცო! სომ არ დაძახრჩობთ თქმისთვინა!..

ზაქარა. იმისი არ იყოს, იმ დღეს რომ ამის დუქანში (ოსეფაზე.) ტრაბი დამაჯეგინე! (გაბოს.) ერთი შენ მიბძანე, შენი მირვნი ჭირიმე, ესლა ვთქოთ ჩვენა ვსხედვართ... ვთქოთ სამნი ვართ, შაგეწიოს სამება...

ოსეფა. (ბირჯვარს იწერს.)

ზაქარა. შამოგვესწრო ერთი კიდევ, ვინც იყო ქრისტიანი კაცი; ავდექი და სკამი რო უნდა უთავაზო, ტაქანი დავდგი. ტოლი უცბათ გაანძრიეს, ტაქანი ჩამოვარდა და გატეხა; მე მიუვირის ე თომა, ტრაბი დაღიეო! (თომას.) კარგი კაცი სარ, მაგრამ ხანდისან უსამართლობა მოგდის ხოლმე. (გაბოს.) ესლა შენ მიბძანე, შენი ქრიჭტეს ჭირიმე, ტაქანი რო ტოლიდგან გადმოვარდეს და გატეხეს, მე ტრაბი რაზედ უნდა დავღიო?!..

ოსეფა. ერთი ხელი აიღე, ინდაურო, რა დროს ეგენია?

ზაქარა. რითვინაო, ძმაო! სიმართლე ყველასა სჯობიან...

ოსეფა. ახლა ზაჭლა ნუ წაიღე, მამა გიცხონდა და! ბიჭო! ღვინოს რომ სომთ ხოლმე, პურის მაგიერათ ჭეუას ნუ ატანთ!..

ზაქარა. თუ ეს ტუუილი იყოს და ბირ-ძალი ვიყო, თუ მარ-ჯვენა არ მოვიჭრა!..

ოსეფა. ეგ რომ მარჯვენაა, შენ მამიკვდები!

ზაქარა. რათა, ძმავ! ყველგან ადათი და წესია!.. თამადა სუფ-რის მაძა არის, იქ რომ კაცი წასდეს, თამადას მოეკითხება!.. რო მას-დენ, რათა, შვილო, რითვინაო?! რო მალეკინებ ტრაფეს, რითვინ მა-ლეკინებ?!

გაბო. (ღიმილით.) არა გიშავს რა ბევრ იმისთანას დალევ!

ზაქარა. განა კი რა, შენ გენაცვალე, მაგრამ რითვინაო! დაბ-რიყვება რათ უნდა იყვეს?!

გაბო. კარგი! კარგი! თუ ძმა სარ, რა დროს ეგენია! (ოსეფას.) ბარემ მოვილაპარაკოთ და ამალამვე უნდა წავიდეთ, თუ წავალთ!..

ოსეფა. ვა! მაშ არ წავალთ?! უნდა წავიდეთ მაშ! ფურგუნი სა-ცაა მოვა, ერთი კარგი ვასშამი ვჭამოთ და მოუსოთ! დილას რომ მელაპარაკებოდი, თუ ძმა სარ, იმისთანას ნუდარ მეტყვი! რასა ლნე-ბი, კაცო, ვაუ-კაცი არა ხარ?! როგორი მამი-შენის შვილი ხარ! ერთი რეშიტელნად ვერ უნდა დაიჭირო საქმე? რაც მოგვივა, მოგვივა!... ბიჭო! აბრამო! (შემოვა.) წადი, ბიჭო, დუქანში უთხარ, ეს შამიები გაუფცქვნან, დაზგის ქვეშ რომ ოთრთი არის, ის და პატარა კოლო-ტიდგან ლვინო ჩამაასხან და ჩამიტანე. ფურგუნიც რომ მოვა შაგ-ვატუობინე, გასწი! (მიდის.)

გაბო. მოდი, დასხედით, კაცო, რა ფესზედ დგისართ? (დას-ხდებიან.)

ოსეფა. (გაბოს.) რა დროს უნდა წავიდეთ ან იქ რა დროს მივალთ, შაგიტუობინებია?

გაბო. ამალამ რომ წავიდეთ ჩემის ანგარიშით იქ ვიქნებით ხვალ ტოტათი ამაზედ გვიან! მე წიგნი გავგზავნე, ისინი მზათ იქნებიან! (ამოიოხრებს.)

ოსეფა. ახლა, უმაწვილო, ღამე სიარული რაღა ჯანდაბაა!.. ემანდ არავინ დაგვხვდეს და! უჩაღებით სამსეა ქვეყანა!..

ზაქარა. რას ამბობ, კაცო? ვაი დედი-ჩემის ღმერთსა! მაგ უნრით მიდისარ ქალის მოსატაცებლათა?!

ოსეფა. რა უნრით, გიჟია ოხერი! იქნება უკანიდგან მოგვეპარონ!..

ზაქარა. რას ამბობ, მამა გიცხონდა შენცა!

ოსეფა. ჩო, რას ვამბობ? ის არა სჯობიან, რომ დღე უფრო სლაბოდნათ წავიდეთ!

გაბო. (ღიმილით.) დღე წახვიდე რა, იქ ქორწილში კი არ გეპატიჟებიან! ისეთ დროს უნდა მივიდეთ, რომ ყველას ეძინოს და ქალის წამოყვანა ვერავინ შეგვიტყოს?

ოსეფა. ჩო, ეგ სხვა არის! მაშ იარაღი უნდა წავიღოთ: რუყო, შაშკი, დამბაჩუ, ხანჯალუ!

გაბო. რასაკვირველია, იარაღი ყველას უნდა ჭქონდეს! სხვა არა იყოს რა ისეთი ძაღლები ჭყავთ, რომ ცხენიდგან კაცს გადმოაგდებენ!..

ოსეფა. ვა! რა ღონიერები ყოფილან!.. მერე იმისთანა ოთხფეხს სმალითა და თოფით უნდა ეომო?! ერთიც ვნახო, ავაცდინე და ვერ მოვარტყი, მაშინ შე უყურე როგორ ღრიალს მოჭყვებიან!... მერე მე, ეს ოხერი, ერთი შტრელაიცი რომ ვერ ვისწავლე!.. რაც უნდა დავუმიზნო, რაც უნდა დავუმიზნო, მაინც კიდევ ვერ ვარტყამ!... ის კი არა და ძაღლებისთვინ ყველამ თითო ბუერი უნდა ჩაიდოს ჯიბეში...

თომა. მაინც რაც უნდა იყოს კაცმა ოთხ-ფეხს თავი არ უნდა გაუყადრონს: ასეთი ჯულ-ძაღლები არიან, რომ ერთი იერით შაატყობენ კაცსა, მტრათ მოდის, თუ მოკეთეთა!

ზაქარა. ჩო, მე და ჩემმა ღმერთმა, მართალს ამბობს! აი გიბძანოთ...

ოსეფა. თუ ძმა სარ დაიცა, მერე გვიბძანე!..

ზაქარა. თქვენი ნებაა...

გაბო. აბა გაისარჯე, ჩემო ზაქარო, და ჩემ ნათლი-დედას დამიძახე, საქმე მაქვს!...

ზაქარა. ეხლავე გენაცვალე ქრიჭტეში! (გავა.)

ოსეფა. (გაბოს.) ეს უგელა კარგი, მაგრამ რას აპირებ, ქალს რომ წამოიყვან, ჯვარს არ დაიწერ?

გაბო. ბარემ დავიწერ, მაგრამ ვინ დამწერს?!

ოსეფა. ვა! როგორ თუ ვინ დაგწერს!.. (თომაზე.) ამათი ღვდელი. თუ ალის საქმე არ არის? სამი თუმანი რომ მივცე დღეში ხუთჯერ ვაწირვინებ!

თომა. არა, მაგას რათა ბძანებ! ჩვენი მოძღვარი ეგეთი კაცი არ არის!.. თავის შვილიც რომ იყვეს, თუ მოძღვრის მოწმობა არ ექნება არ დასწერს ჯვარსა!... ისევ თუ სხვაგან შეეცდებით სადმე...

ოსეფა. (თქრობს. უცბათ.) ვა! თომავ, რა კარგი მამაგონდა!.. ერთი ბებერი ღვდელი რომ დაგიის აქა, ბოდი იმას ვუთხრათ!.. აბა ის არის აი!.. სამ მანათათ ჯვარის-წერა კი არა და თუ გინდა საუდარსაც ვაკურთხებინებ!.. მე იმას კარგათ ვიცნობ!

თომა. შე ოჯახ-ქორო და, ის ხომ გადაუნებული ღვდელია!

ოსეფა. რა ვუყოთ, რომ გადაუნებულია, ჩვენ გადმოვაუნოთ-რა!.. ცოტა მადი კი არ ექნება იმას, თეთრი თიეთიგიეთ წვერები აქვს...

გაბო. რა ვქნა, რომელ ღვდელს ამბობთ?

თომა. აი ჩვენი გიორგის ბაბას, გადაუნებული მღვდელი რომ არის!..

ოსეფა. კაცო! რას ამოგიჩემებია გადაუნებული?! ის კი თქოს, რაც საჭირო და მეტი რა გინდა?!.. ჩვენი ტერ-აკოთვა თუ ნამდვილი ღვდელია, იმის თავის გახეთქამ, ბევრი იცის: წელიწადი თორმეტი თვეა „ამამაო ჩვენოს“ სწავლობს, ვერ დაუსწავლია!.. ჭუზურში მე უფრო იმაზედ ბევრი არ ვიცი? მე და ჩემმა ლმერთმა: (თითებზე

სთვლის.) მამაო ჩვენო, მიწყალე, მრწამსი, დირს არ ჭეშმარიტებს, უფალო ზეცათაო, ორთავ თვალის სინათლე, ვაი შენ წუთი სოფელო, ოდეს ზღვა დაშრეს, კოტორ, კოტორ ამერკალი ბაცრი ცარცა, ტინგილ, მინგილ, ჩაი ქუჩერექ...

თოამა. (სიცილით.) ერი ჭა! ეგ სადური ლოცვები მაყოლა?

ოსეფა. უკაცრაოთ, ამერია, მაგრამ მაინც იმაზე ბევრი ვიცი!..

გაბო. დვდელიც რომ ვიშოგოთ საყდარს ვერ ვიშოვით.

ოსეფა. რის საყდარი? ერთ ოთახში შავიდეთ, ლოცვები წავიკითხოთ, გათავდა საქმე!.. ვინ გკითხამს? შენთვის არ გინდა ის ქალი? ჯვარიც რომ არ დაიწერო, მოდაგ ვინ არის? ერთი ეს არის, რომ სმა უნდა დავაგდოთ, მითომ ჯვარი დაგიწერია... მერე წავიდნენ და რამტენიც უნდათ სწეწონ ის ბებერი დვდელი. მე თქვენ მოგასსენოთ, დვდლობიდგან არ გადაუყენოთ! (იცინის.)

გაბო. (ღიმილით.) რა გაქნწობა, ეგრე იყოს! (თოამას.) ჩემო ნათლი-მამავ, სომ შენც მოდიხარ?

თოამა. (თავ-გამოდებით.) რატომ არ წამოვალ რა! ღმერთმა შეარცხვინოს ჩემთან ყმაწვილი ბიჭები!.. რაც მე გამამიგლია, ჯერ თქვენ რა იცით, ყმაწვილები ხართ!.. მე, თუნ გიგუა და ფიდუა ი ესე ვიყავით ი, (თითებს მიატყუბენს.) ისე შველა (გულზე) ამასა ჭქონდეს! (სიცილით) ამისთანა ბევრი ოჭტატი გამიწყია! . (ოსეფს ეჯაჯგურებს.)

ოსეფა. (დაცინვით.) კარგია, კარგია, მამა გიცხონდა! ე მანდ ცხვირი არ დაცემინო!.. ვის ეტოდები, ვის? მე?! იცი მე ვინა ვარ?.. მამა ჩემი გურგენა არ წამიწუნდება რვა ხაათზედ, გესმით თუ არა, რვა ხაათზედ დიდი მეიდნიდგან გარეთ უბანში გამოგსულვარ!.. მარტოკა ი! გინდ დიჯერეთ, გინდა ნუ!..

გაბო. (სიცილით.) ძალიან გულადობა გაგიწევია, ჭეშმარიტათ!

ოსეფა. ძალიან გიცინე და ერთი სანჯალიანი ვინმე შამოგხვდეს იმ დროს და ატეიხაი!.. ერთხელ ვოენის ათიცრებმა ასეთი კაბეუზიტი მიყვეს, რომ რალა ვთქო.... დახურულ ბაზართან მოგდი-

ვარო მე, გასსუა მიკეტანი, სოლუა ესსაბი და ჩაჭუაშე. საღამოა, ჩემმა ამხანაგებმა გამასწრეს და მე უკან დავრჩი!... ერთიც, ვნასოთ, ოთხი კოენის ათეტრები ჩაუვლიათ ხელი-ხელსა და მოდიან, სულ მთვრალები. გადამიდგნენ წინ და ერთმანეთს ეუბნებიან: **нада, говоритъ, его пугайтъ!** მე ვებნები: **зачѣмъ лубезни, что нада? Адинъ христіанъ чалавѣкъ идомъ казони дарога, зачѣмъ не пускаишь?...** ახლა მეც კეტი ვარ, მეც შამეშინდა!... ეს ტუტუტი სალხი, გალესილი ხმები, ერთი იძრონ, მოდი შენა და ატვიჩიტი უკვე!.. ვებნები: **Господинъ пускайшь, пажалуста, мой товарищу** ოთთი დოში და ჯონჯოლუ **взалъ: онъ всо кушитъ здѣшетъ!..** ვამასსარავები, რა ანის ერთი გაიტინონ და თავი დამანებონ!.. ერთმა დაიუკირა, **не пустилъ, говоритъ, скатина!..** მე ძალიან გავკავდი! (თავის-თავს.) დაზუმდი შენ ოხერო და!... ვებნები: **зачѣмъ господинъ, скатина? рази я буйла! пустимъ, гавару, а то я знаймъ!..** ერთი ამბობს: **ахъ, ты, говоритъ, сукинъ сынъ, ты говоритъ, атвѣчаймъ?! давай, говоритъ, шашки, савсѣмаѳ парву!..** ერთი გავეგონდი, ერთი გავეგონდი, რომ სამ მინუტზე ბანოებთან ვიყავი. ამ ოხერი ათეტრებისთანა ტუდი დათრობა არა ვის სტოდნია: თუ ერთი გამარჯობა უთხარი, იმ მოკაკულ ხმალს შიგ თავში გთხლეშამს!.. ძალიან ტუტუტები არიან სოლმე!... ეი რა ამბავი გამამიგლია!

გაბო. უოჩაკ, კიდევ ადვილთ გადარჩენილხარ! (იტინის.)

გამოსვლა 4.

იგინიგვე, ქეთევანა და ზაქარია. (შემოდიან.)

ქეთევანა. (გაბოს.) რას მიბძანებ, ნათლიკან, შენ გენაცვალე?

გაბო. ეი, ჩემო ნათლი-დედაკ.... კერ დაბძანდი!

ქეთევანა. ესეც არა მიშავს რა!

გაბო. რათა! რომ დაკდეთ, უფრო კარგი იქნება!

სთვლის.) მამაო ჩვენო, მიწაჯდე, მრწამსი, ღირს არ ჭეშმარიტებს, უფალო ზეცათაო, ორთავ თვალის სინათლე, ვაი შენ წუთი სოფელო, ოდეს ზღვა დაშრეს, კოტორ, კოტორ ამერკალი ბაცრი ცარიცა, ცინგილ, მინგილ, ჩაი ქუჩერექ...

თოშა. (სიცილით.) ერი ჭა! ეგ სადაური ლოტვები მაყოლ?

ოსეფა. უკაცრავოთ, ამერია, მაგრამ მაინც იმაზე ბევრი ვიცი!..

გაბო. ღვდელიც რომ ვიშოვოთ საყდარს ვერ ვიშოვით.

ოსეფა. რის საყდარი? ერთ ოთახში შავიდეთ, ლოტვები წავიკითხოთ, გათავდა საქმე!.. ვინ გკითხავს? შენთვის არ გინდა ის ქალი? ჯვარიც რომ არ დაიწერო, მოდავე ვინ არის? ერთი ეს არის, რომ ხმა უნდა დავაგდოთ, მითომ ჯვარი დაგიწერია... მერე წავიდნენ და რამტენიც უნდათ სწეწონ ის ბებერი ღვდელი. მე თქვენ მოგასსენოთ, ღვდლობიდგან არ გადაყენოთ! (იცინის.)

გაბო. (ღიმილით.) რა გაქვს ბა, ეგრე იყოს! (თოშას.) ჩემო ნათლი-მამავ, სომ შენც მოდიხარ?

თოშა. (თავ-გამოდებით.) რატომ არ წამოვალ რა! ღმერთმა შეარცხვინოს ჩემთან ყმაწვილი ბიჭები!.. რაც მე გამამიგლია, ჯერ თქვენ რა იცით, ყმაწვილები ხართ!.. მე, თუნ გიგუა და ფიდუა ია ესე ვიუავით ია, (თითებს მიატყუპებს.) ისე შვილა (გულზე) ამასა ჭაობდეს! (სიცილით) ამისთანა ბევრი ოჭტალი გამიწყია!. (ოსეფს აკაკგურებს.)

ოსეფა. (დაცინვით.) კარგია, კარგია, მამა გიცხობდა! ე მანდ ცხვირი არ დაცემინო!.. ვის ეტოდები, ვის? მე?! იცი მე ვინა ვარ?.. მამა ჩემი გურგენა არ წამიწყნდება რვა საათზედ, გესმით თუ არა, რვა საათზედ დიდი მეიდნიდგან კარეთ უბანში გამოგსულვარ!.. მარტოკა ია! გინდ დაიკერეთ, გინდა ნუ!..

გაბო. (სიცილით.) ძალიან გულადობა გაგიწევია, ჭეშმარიტათ!

ოსეფა. ძალიან გაიცინე და ერთი სანჯალიანი ვინმე შამოგსვდეს იმ დროს და ატვიხია!.. ერთსულ ვოენის ათიცრებმა ასეთი კაძფუზიტი მიუკეს, რომ რალა ვთქო.... დასურულ ბაზართან მოვდი-

ვარო მე, გასსუა მიგიტანი, სოდუა ესსაბი და ჩაჭუაბე. სადამოა, ჩემმა ამსანაგებმა გამასწრეს და მე უკან დავრჩი!... ერთიც, ენასოთ, ოთხი კოენის ათიტრები ჩაუგლიათ ხელი-ხელსა და მოდიან, სულ მთვრალები. გადამდგნენ წინ და ერთმანეთს ეუბნებიან: **нада, говоритъ, его пугайтъ!** მე ვეუბნები: **зачѣмъ лубезни, что нада? Адинъ христіанъ чалавѣкъ идомъ казони дарога, зачѣмъ не пускаишь?...** ახლა მეც კეტი ვარ, მეც შამეშინდა!... ეს ტუტუტი სალხი, გალესილი ხმები, ერთი იძრონ, მოდი შენა და ატვიჩიტი უფაკი!.. ვეუბნები: **Господинъ пускайшь, пажалуста, мой товарищу** ოთთი დოში და ჯონჯოდუ **взалъ: онъ всо кушитъ здѣшетъ!..** ვეძახსარავები, რა ანის ერთი გაიტინონ და თავი დამანებონ!.. ერთმა დაიყვირა, **не пустилъ, говоритъ, скатина!..** მე ძალიან გავკვირდი! (თავის-თავს.) **დაჩუმდი შენ ოხერო და!...** ვეუბნები: **зачѣмъ господинъ, скатина? рази я буйла! пустимъ, гавару, а то я знаймъ!..** ერთი ამბობს: **ахъ, ты, говоритъ, сукинъ сынъ, ты говоритъ, атвѣчаймъ?! давай, говоритъ, шашки, савсѣмат парву!..** ერთი გავეგრინდი, ერთი გავეგრინდი, რომ სამ მინუტზე ბანოებთან ვიყავი. ამ ოხერი ათიტრებისთანა ტუდი დათრობა არა ვის სტოდნია: თუ ერთი გამარჯობა უთხარი, იმ მოკაკულ ხმალს შიგ თავში გთხეშამს!.. ძალიან ტუტუტები არიან სოდმე!... აი რა ამბავი გამამიგლია!

გაბო. ეოჩაღ, კიდევ ადვილათ გადარჩენილხარ! (იტინის.)

გამოსვლა 4.

იგინიგე, ქეთევანა და ზაქარა. (შემოდიან.)

ქეთევანა. (გაბოს.) **რას მიბძანებ, ნათლიკან, შენ გენაცვალე?**

გაბო. **აი, ჩემო ნათლი-დედაგ.... კერ დაბძანდი!**

ქეთევანა. **ესეც არა მიშავს რა!**

გაბო. **რათა! რომ დაკვდეთ, უფრო კარგი იქნება!**

ქეთევანა. გენაცვალე, რა დიდი საქმეა რომ ნათლიას თავს ვადგე?!

თომა. (შეღრიალებს.) დაჯე რაღა, შე ვერანო, რო გეუბნებიან, ეი!

ქეთევანა ქა! რა გაღრიალებს? (ძირს დაჯდება.)

თომა. კიდევ!...

გაბო. მოითმინეთ! (ქეთევანას.) შენ სომ იცი, ჩემო ნათლიდედავ, სადაც მივდივართ?

ქეთევანა. როგორ არა გენაცვალე, ზაქარამ მითხრა „ოქროს კარიანში“ მიდიან სალოცავითო! (ყველანი გაიცინებენ.)

ოსეფა. (ქეთევანას.) ოქროსკარიანში არა ეჩმიაწინში არ გინდა?!

ქეთევანა. (გაკვირვებით.) მაშ სადა გენაცვალეთ?

გაბო. თუ მართლა არ იცი გეტყვი: ერთი ქალი მიყვარს და იმის მოსატანებლათ მივდივართ...

ქეთევანა. (წამოსტება სიცილით.) ი, შენ კი გაიხარე!

გაბო. არა გეკერა?

ქეთევანა. მიბძანე, გენაცვალე, რაცა გნებავს, რა დროს ეგენია, ქათამი ქვაბში ჩამეხარშება!

გაბო. რა ვქნა, რაც სითქმელი მაქვს, აკი გეუბნები!

ქეთევანა. აბა რა დასაკერია, გენაცვალე!

ოსეფა. ახლა, ნათლი-დედი, კაკკაკნივით რომ სტიხარ, კაცისას ალარ გაიგონებ?

ქეთევანა. (ოსეფას.) მაშ მართალია?

ოსეფა. კაი!... იმ წმინდა მირვნის მადლმა, რომელიც შენ ოჯახში შამოტანია მეთქი!... ფიე!

თომა. (გაკვირვებით.) შენ ეი! ე მანდ ნუ ცმუკავ, თორემ თუ წამოვდექი, სულ კანჭებს შამოგანტვრევ! შე ოჯახ-დაქცეულო! ბატიოსანი სალი რო გეალაბარაკება არა გეკერა?

ქეთევანა. მაშ მართალია, ნათლიჯან? მერე ვინ არის ის ქალი? (სტის.) მაგრამ მატყუებთ, არა მჯერა, არა მჯერა!... რო დამახრჩოთ, არა მჯერა!..

გაბო. რა არა გჯერა, დალოცვილო, გაიგონე მაინც, რა უნდა გითხრა!

ოსეფა. რასა ტანტიობ, ნათლი-დედ, ახლა კაცისას ადარ გაიგონებ?..

ზაქარა. (ტაშს შემოჰკრავს.) ე რა ეოფილა, შენი ჭირიმე!..

თომა. (წამოაგლებს ჯოხს.) აი თუ არა გჯერა და ესლაგე დაგაჯერებ! (იჭერენ.) ასე გაგაჭრელო, როგორც გგელი!.. (დაჯდება.)

გაბო. (იჭერს.) რას ჩადი? ეგ როგორ შეიძლება?!.

ქეთესანა. მე მეგონა გუმრობთ მეთქი!

ოსეფა. ხუმრობა რომელია? ახარ, მამა-ცხონებულო, კაცები ხარ ვართ, ვირის თავები ხომ არა ვართ, გაიგონე და!.. დალოცვილისშვილო, ახლა ნატარიუსის ხელით დამტკიცებულ ქაღალდს ხომ არ წარმოგიდგენ, დაიჯერე რაღა!..

გაბო. გინდ დაიჯერე, გინდ არა, შენი ნება არის; მე მხოლოდ ამასა გთხოვ, ხვალ საღამოსთვის ჩემი ოთახი დასუფთავო და რამდენიმე სალიჩა გაშალო... ჩვენ ღამე მოვალთ და მაშინ შეიტყობ, რაც ამბავია.

ქეთევანა. ბატონი ბძანდები შენი ჭირიმე, ოთახსაც დაგახვედრებ და ვახშამსაც!..

თომა. ეგრე თქო, შე ოჯახ-დაქცეულო!

ოსეფა. ჭო! ვაცხონე მამა-შენი ბეტრია!... ესლა მგონი დრო, სამსარი ვჭამოთ!...

თომა. ზაქარავ, ე ტახტზე ერთი სუფრა გაშალე! (ზაქარა შლის სუფრას.)

ქეთევანა. ესლაგე უველაფერს მოგართმევთ. (გავა.)

თომა. (ოსეფას.) შე რაღას ჩადი, მა ქოშებით ხომ არ წამოხვალ, ტანთ არ ჩაიცვამ?

ოსეფა. ჩემი დუქნისაკენ არ ჩავიკლით? ერთი ყარაჩოღლულათ ჩავიცვა, რომ ვინც შამამსგდოს, ყაჩაღი ვეგონოთ!.. მაშ!

თომა. (გაბოს.) ახლა თურგუნის მირაბრახება ხომ არ იქნებ და სად უნდა დავუყენოთ?

გაბო. სოფლის დასწვრივ ტყვრის პირზე ჭალაა, იქ უნდა დავუყენოთ თურგუნი და ჩვენ რამდენიმე კაცი უნდა წავიდეთ!

ზაქარა. აბა მოგბძანდით სუფრაზე. (ყველანი დასხდებიან, ზაქარა იღებს ლიტრასა და ტაშტს, აბანიებს პირველათ გაბოს ხელებს, მერე ოსეფას, მერე თომას; ოსეფა და გაბო ხელცახოცებით იწმენდენ ხელებს, ისინი ჩოხის კალთით.)

ოსეფა. (თან ხელებს იბანს.) რაო? თურგუნი შორს უნდა დავუყენოთო? მაშ მე თურგუნში დავრჩები...

ზაქარა. გატესეთ ქრიტიანებო ე პური. (ისა და თომა პირჯვარს იწერენ და პურს სტეხენ.)

ოსეფა. მაგრამ, გაბრიელ სოლომონიჩ, ყაჩაღები ხომ არ იცის იმ ტყეში? (ილუკმება.)

გაბო. ტყე კი არა და, ჭალაა ერთი ბეწო, იქ ყაჩაღებს რა უნდათ, მგლებისა და ტურების მეტი არაფერია. (სჭამს.)

ოსეფა. (ლუკმა პირში, შეკრთალი.) რაო? ტურები?! საქმეც ეგ არის და! ყაჩაღს შავეხვეწები მაინც, არ მამკლას, აბა ტურას რა ველაპარაკო, ხომ დამგლეჯს!...

ზაქარა. (იცინის.) ვაიმე, დედავ! რა ეოფილა ეს ოჯახ აშენებული! კაცო! ტურისა როგორ გეშინიან, იარაღი იქ არ გექნება?!

ოსეფა. რას ტუტუცობ, რის იარაღი? ტურა რომ დაინახო, მაშინაც გაისერი?! მგონია ასე აგიკანკალდეს ხელები, როგორც ბნედიანს, მაშ!...

თომა. კაცო! ახლა მარტო ხომ შენ არ იქნები, სხვებიც იქნებიან.

ოსეფა. ეგ სხვა ანგარიშია! (ზაქარას ზიზღით შეუტევს.) დასსი რაღა, ბიჭო, ეგ ღვინო, რა ინდოურიგით გაშტერებულხარ?!

ზაქარა. (დასსსამს.) ღმერთო დიდებულო, ღმერთო მოწყალეო, შენი მადლი შაწიე ჩქა ბძანებელთა: ჩვენ მასპინძელ თომას ამი ტუმრებს, ნათლია გაბოს, უსტა ოსეფს და მე საწყალ ზაქარასა. შენდობა ბატონო! (სვამს.)

ოსეფა. რაო? უსტაო? შე ვირის თავო, უსტა რა, მეფურნე ვარ? ოსტატო თქო!

ზაქარა. (დასსსამს. გაბოს აძლევს.) რის ოსტატი ხარ, შვილო? ღვინოსა და არაყს მე კი ვერ გაგიდი!

ოსეფა. მერე, შე ჯოჯოგ, რო გაყიდი, ფულის ასმაც იცი? შენ ეს ოსტატობა არა გგონია?!

გაბო. (იცინის.) ღმერთმა გაცოცხლოთ, გაგიმარჯოთ! (სვამს.)

თომა. ქეთევანავ, რა იქნი, მაიტანე რამე.

ზაქარა. (გაბოს ჩამოართმევს და ოსეფს დაუსსამს.) მიირთვი ოსტატო. (აძლევს.)

ოსეფა. ეგრე აი! ეს ღმერთმა აგვისრულოს ჩვენი წინ წაგდებული საქმე, თქვენც გაგიმარჯოთ. (სვამს.)

ზაქარა. აგაშენოს ღმერთმა, ოსტატო! (დაუსსამს.) მიირთვი თომავ!

თომა. ღმერთო დიდებულო, ღმერთო მოწყალეო, შენა სწყალობდე ჩქა ბძანებულთა, ჩვენ ტუმრებთა. შენდობა ბატონებო. (ქეთევანა შემოდის.)

გამოსვლა 5.

იგინივე, ქეთევანა და გლეხები (შემოდიან.)

ზაქარა. ვინც მოვიდა, გაუმარჯოს!

ქეთევანა. (მოსარშული ქათამი შემოაქვს.) მომირთმევია, ნათლიჯან, ქათამი, ერბო-კვერცხზედ კი უკვცრაოთ! ი ვერანი დედოფალ შემოსჩვევია სიბუდრეს და იმოტეკა კვერცხებს ისე ანადგურებს,

რომ ერთი ვედარ გადავარჩინე (დაუდგამს წინ.) აი ესენიც მზათ არიან და მოვიდნენ.

გაბო. მადლობელი ვარ, ჩემო ნათლი-დედავ! პატარა ხანს დაბ-ძანდი! (გლეხებს.) თქვენც დასხედით ძმობილებო. (გლეხები დასხდ-ებიან.) აბა ოსეფ, ეს ქათამი დასწერი! (გადუდგამს.)

ოსეფა. რა დროს დაწერაა, პახოტობაა?! (ხელით გაგლეკავს და დაუწყობს.)

გაბო. ნათლი-დედ, დაბძანდი და!

ქეთევანა. ვერა ვენატვალე, არა მცალიან, ხურჯინში საგძალი უნდა ჩავალაგო!

ზაქარა. (აწვდის.) ერთი ტაქანი ღვინო მაინც დალიე, ქეთევ-ნავ, ან დაგვლოცე, ან დაგვწყევლე.

ქეთევანა. (ართმევს.) დაწყევლისაგან ღმერთმა დაგიხსნათ, რათ დაგწყევლით! ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ. ღვთის მშო-ბელ დედასა ვსთხოვ, აუსრულდეს ჩემ ნათლია გაბრიელს გულის წა-დილი. (სიცილით.) მაგრამ მაინ არა მჯერა რო....

თოდა. (შეუბღვერს.) ახა ღმერთო?..

ქეთევანა. (თოდას.) რას შემოიბღვერს ხოლმე ეს გულ-კვდრის შვილი, დასწყევლა ღმერთმა! (ჩაჯდება და დალევს.) ასე მტე-რი დაგეცალოთ (დგამს.) უიმე დამიგვიანდა (მიდის.)

ზაქარა. ერთიც, ქეთევანავ, ერთიც!

ქეთევანა. ვერა, ვერა ვენატვალე. (გავარდება.)

ზაქარა. ეს ღმერთმა გვადიქელოს ჩვენა. შვიდობით და გამარ-ჯვებით მოგვიყვანოს იოსე ქრისტემა. უეურეთ, რა ქეიფს გავსწევთ! („მეტიურს“ მღერის.)

თუ მასპინძელი არ ლხინობს, თოდავ,
ტუმარსაც მოეწყინება!... ბანი! ბანი!...

თოდა. ამას რა მამაგონებდა, ლამაზსა ვცხებდი მირონსა
დაგიჯდებოდი პირ-და-პირ დაგიშაქრამდი ღვინოსა.

ზაქარა. შენი ძმობა სიყვარული გუნებაში ჩამიგდია,
ჭორი ბევრი გავიგონე, მაგრამ ყური არ მიგდია;
თუ რომ გულით არ მიყვარდე, ჩემი რჯული დამიგდია!..

თომა. ითრინდი, შავო მერცხალო, დაჭყე არაგვის ბირსაო;
ნეტამც რა გაუჭირდება შენი დედ-მამის შვილსაო!

ზაქარა. დავლიოთ, ნუ დავითვრებით ჭკვას მოვალთ გონებასა;
ერთი სვინდისი სჯობია ასი თუმნის ქონებასა!...

თომა. ნამუსისათვის გამოვა, ულუაში და წვერია;
რაც გინდა ელაპარაკე, თუ კი კაცს არა სცხვენია!

ზაქარა. მანგლისი რომ ააშენეს წყარო ადინეს მილითა,
სასასმლეები დამართეს, თეთრათ დალესეს კირითა;
იქ რომ ერთი ქალი იყო, ხელებს იღებდა ინითა....

ქეთევანა. (შემოდის.) გენაცვალეთ ფურგუნი მოვიდა და ბიჭებიც იცდიან!

ყველანი. (წამოიშლებიან) მაშ წავიდეთ! წავიდეთ!

თომა. დედა-კაცო! ე ხორაგს მოუარე.

ზაქარა. ესეც ყველა წმინდა შეგვეწიოს. (თან შემოსძახებს წასვლისას)

წასვლა ჯობს წამავალისა, არ დაყოვნება ხანისა....ვარალო, ჭე, ჭე.
(სიმღერით გადიან.)

(ფარდა.)

მოქმედება მეოთხე.

(სცენა წარმოადგენს ბაღჩას მარიამის სასახლის წინ; სასახლე მარჯვნივ არის ბალკონი და ფანჯარა გადმოიყურებიან ბაღჩაში. სცენაზედ სის ქვეშ სდგას სტოლი, ზედ სამოვარი და ჩაის იარაღი აწყვია. სტოლთან სხედან: მარიამი და ბრძენაძე, ჩაის სმენ. ბაღჩაში დასეირნობენ მათიკო და ლიზა. საღამოა, მთვარე ამოდის.)

გამოსვლა 1.

მარიამი, ბრძენაძე, მათიკო და ლიზა.

მარიამი. ლიზავ! მოდი, შვილო, ჭურჭელი აალაგე! (ლიზას გაუქვს ჭურჭელი.)

ბრძენაძე. (დაფიქრებული.) ვერ შემიძლიან წარმოვიდგინო, რას უნდა მიეწეროს ამ ნაირი მდგომარეობა მათიკოსი!.. თითქო რაღაზედაც არის განრისხებული, თითქო ღაბარაკიც კი ეზარება და ზეცას თავს არიდებს!.. განეინავ! ნუ თუ ვერ მიუხვდით მაგის გულის წადილს!.. მიეცით სრული თავისუფლება თქვენს ასულს: იქნება მეც ვუშეოთებდე მაგას მუდრობებს, იქნება მე ვიყო საგანი მაგის მწარე დაღონებისა?! რამდენი სანია მე თქვენს ოჯახში დავდივარ, და არასოდეს მათიკო ჩემთან ასე მკაცრი არა ყოფილა, როგორც ეხლა!.. ნიშნობა მოგვიშალა, ეს, გსთქვათ ავათ-მყოფობის გამო; მაგრამ ასე ჩემთან მორიდება კი არ ვიცი რას ნიშნავს!...

მარიამი. შენ კიდევ, შვილო, ის გაწუხებს, რომ ვითომ ქორწილი მოგეშლება! მათიკო შენს ტოლობაზედ უარს არ არის!.. მსო-

ლად ხი რაზედ ხრის გაჯავრებული: მაგას ჭკონია, ვითომ გაბო სასიდიდგან დავითხოვე! ღმერთო, ხომ შენა ხარ გულთა-მსილავი, რომ ასე ადვილათ ვერ ჩავშალი გაბოზედ ჩემს ამაგს. თითონ გამომეთხოვა და მითხრა, რომ მიდის თავის სოფელში საკუთარი საქმეების გამო. იქნება, სვალაც მოვიდეს!.. ერთი სიტყვით სვალ უთუოთ ქორწილი უნდა გვქონდეს!.. დღესვე ყველას შევატყობინებ....

ბრძენაძე. ეგ ეგრე, ნენეინავ, მაგრამ ვაი თუ ამ ნაირი საქმის დაჭერით მათიკოს ვავნოთ!.. იქნება მაგას ვისთვისმე გული უცემს და თქვენ, როგორც მშობელს, სათრს არ გაგიტესამთ და წამოქცევა მე გაირგვინ ქვეშ. მე სწორე გითხრათ, ამას თავის დღეში არ მოვინდომებ!.. მე მსურს, რომ ჩემ მეუღლეს ისევე უყვარდეს, როგორც მე ის მყვარებია, და ამასთანავე თანაზიარი უნდა გასდეს ყოველ ჩემ ჭაზრებში და მოქმედებაში... ქვეყნიური ბედნიერებაც ამასა ჭქვიან!

მარიამი. არა გენატვალე, ეგ ჭაზრები სულ ტყუილად გიჩქროლებენ გულს! მათიკოს მოსწონსარ და გაუსებს კიდეც!.. თუ მაგის ნება არ იყოს და სიტყვა არ მოეცეს ჩემთვის, მე რაგორ დაგბირდებოდი მაგის მოცემას? ჩემი შვილის მტერი ხომ არა ვარ?! შენ, შვილო, რაგორც გითხარი, მოემზადე და სვალ ჯვარს დაიწერ!.. დატკბეთ დედა-შვილური სიყვარულით უკანასკნელი დღენი ჩემის ცხოვრებისა!..

ბრძენაძე. ღმერთმა ქნას და თქვენის დღეგრძელობით, მშვიდობით და უვნებელად გათავდეს ჩვენი საქმე და კვალად ავუვიღოგანდეს და ერთი-ორად ძალა მიეცეს თქვენ მშობლურ სიყვარულს!...

მარიამი. საქმე კარგათ ჩაიგლის, შენ თქვენი ნუ გაქვს!.. მათიკო! შვილო, აქ მოდი გენატვალოს დედა! რა უბედური სასიათისა ხარ, შვილო, რომ გულს ვერ დაიმშვიდებ ხოლმე, თუ ერთი გაჯავრდი?!...

მათიკო. (მივა და დაჯდება შორი-ახლოს.)

მარიამი. ილაპარაკეთ, იჭიკჭიკეთ; რა ვქნა, არათერი არ იცით ან ახალი, ან ძველი?! (სიცილით) ერთი საათის მეტს კი არ მოგ-

ცემთ ვადას! (წამოდგება.) მე კი წავალ, უფრო თავისუფლათ იდგეს-რაკებთ!... შეიდრო, მათიკო, შენი დრო იცოდე! (მიდის. სიჩუმეა.)

ბრძენაძე. (ტოკამს.) მშვენიერი სადამოა!...

მათიკო. (იქით, გულ-დაწუვეტილი.) თვალიც დაგიდგება. (იმას) დიახ!.. (სიჩუმე.)

ბრძენაძე. (ტოკამს და ჩუმათ ახვევებს.) ამისთანა ღამეში რა სასიამოვნოა ტკბილი, აუჩქარებელი, გულის დამალბობელი სიმღერა: ჭოი, მთვარეო, ცისა ბღანეტა, დღისით იმალვი, სადა სარ ნეტა?!

მათიკო. (უმადოთ.) კარგი სიმღერა არის!

ბრძენაძე. სწორეთ რომ კარგია! ამისთანა ღამეში მთელი სიდუდი და უხიდავი ბოეზია გადაეშლება კაცს თვალ-წინ! (ტოკამს.) თუ უკაცრავოთ არ ვიქნებით, კნიაზნა, გთხოვთ, დაატკბოთ ჩემი სმენა თქვენის ნეტარის სიმღერით!...

მათიკო. რა ვქნათ, რომ გულს არ ემღერება და უზომო ბნელი ჭბერავს!...

ბრძენაძე. ეგ არაფერი! შეგიძლიანთ ბნელი გაჭფანტოთ და ნათელი მოჭფინოთ თქვენს უმანკო გულს; მაშინ თქვენი სიმღერა უფრო დამატკბობელი იქნება სმენისა. ის სიმღერა იქნება გულისა— უგულობისა; ჩანგზედ ორივე დაიკვრის!

მათიკო. (ამოიოხრავს.) ჩემი ჩანგის სიმები ისე მისუსტებულები არიან, რომ ბირველ ჩამოკვრაზედვე დაწყდებიან!...

ბრძენაძე. არა მგონია!.. გთხოვთ ამ ნათელი მთვარის სათრისთვის მაინც იმღეროთ, რომელიც მუქთათ გვინათებს და მთელ თავის შუქს არა ზოგავს ჩვენი სიამოვნებისთვის!...

მათიკო. შეიძლება ეხრე იყოს!.. (ადგება.) ღამე-მშვიდობისათ! ძალი მერევა! (მიდის).

ბრძენაძე. (განკვირთვებით.) სად მიბძანდებით, ქალო? მოითმინეთ! (ადგება.) რამდენიმე სიტყვა მსურს მოგახსენოთ!..

მათიკო. მერეც იბოვით დროს!

ბრძენაძე. მერე იქნება არც კი გიახლოთ!

მათიკო. ძალიან კარგათ მოიქცევით, თუ არ მოხვალთ!...

ბრძენაძე. (შეშფოთებული.) მე.... მართალს ბძანებთ, თუ სუმრობთ?!

მათიკო. (უმალო სიცილით.) ვსუმრობ!...

ბრძენაძე. (ალელვებული.) მე მსურს, შემატყობინოთ თქვენი გადწყვეტილება: იწერთ ჩემზე ჯვარს, თუ არა?

მათიკო. (იმავე ღიმილით.) თქვენზე გიწერ ჯვარს, თუ არა!...

ბრძენაძე. დიახ! მსურს ვიცოდე, რომ ჩემს აქ სიარულს რამე საფუძველი ქონდეს!...

მათიკო. მეც მსურს ვიცოდე, თქვენ სიზმრად დაგეოლიათ, თუ მთელი თქვენი ნასწავლი გონების შემუშავებული ეს ქაზრი?... ნუ თუ თქვენმა გონებამ მარტო ეგ იდვაწა?!

ბრძენაძე. (ალშფოთებული თავისთვის.) რაგორ? მაშ მე გრძნობა მატუნებდა და ამიტომ მოტყუილებული ვარ ასე სასიერცხვინოდ!...

მათიკო. (მიუსალოგდება.) უმაწვილო! ეგ არის თქვენი სწავლა, თქვენი გამოცდილება, რაც იხატება თქვენი ხელების შლაში და მეორე სიტყვების სრულაში?! სწორე მოგახსენოთ, ეგ თქვენი ნაგლეულეკანება სამწუხაროდ დამრჩება გულში!... უმაწვილი კაცი სართ განათლებული და ეს უბრალო საქმე კი არ იცით, რომ ქალთ გათხოვება და ცოლის შერთვა შეუძლებელია!... სწორე გითხრათ მე თქვენ გიცნობდით ბატიოსან კაცად, მომწონდა თქვენი სწავლაც, ქცევაც, განათლებაც და ამ შემთხვევამ ისე შემაძულა თქვენი თავი, რომ, თითქმის, დაბარაგიც კი მიმიმიმს თქვენთან!... თქვენ ცხალთ ხედავთ და რამდენჯერმე დაბარაგითაც გაგიგონიათ ჩემგან, რომ საუბედუროთ, თუ საბედნიეროდ ჩემი გული სხვისკენ იწევს; და თქვენთან, რაგორც ასალგაზდა ნასწავლ კაცთან, მსურდა მქონიყო მეგობრული და არა მეუღლური კავშირი!... თქვენ ამას თვალით ხედავთ და ყურით ისმენთ; რატომ არ გინდათ დაუჯერთ თქვენ გრძნობას?!.. ნუ თუ თქვენა გსურთ იმისთანა მეუღლის ყოლა, რომელიც ბევრით უკან ჩამორჩება ამ წმინდა ასალს! არ გაგიყოფს შრომას, სიყვარულს, ჭირს და

ლსინს; შენი ბედნიერება არ ესარებს და შენი უბედურება არ მოკ-
გვრის წუსიდს?! ნუ თუ თქვენა გსურთ, გეკანდეთ მეუდლე, რომლის
გულიც სხვისკენ იწევდეს და თქვენ კი ცარიელი ქრმის სახელით ამ-
პარტავნობდეთ?! ნუ თუ თქვენ არა გსურთ, თქვენი ცხოვრება გან-
ტარონ სიამოვნებაში და ბედნიერებაში?!—მაშ რალათ ჭკიდებთ ხელს
იმას, რაც თქვენ მეუდრობებს აგიშეფოთებთ, ათას ნაირ სევდას მიგ-
ტემთ და მთელ სიცოცხლეს ჩაგიმწარებთ?! ნუ თუ კაცი სიამოვნებს
უნდა ერიდოს ამ წუთიერ ცხოვრებაში?! მე კი არა მგონია და?...—
ეს არის ჩემი უკანასკნელი პასუხი....

ბრძენაძე. (აქამდის თავ-ჩაღუნული იდგა.) მე ვერაფერი ვერ შე-
მიძლიან გიპასუხოთ, რადგანაც მართლა წინ-დაუსდავათ, მოუფიქ-
რებლათ და სხვის რჩევით საქმე დავიწერე!.. მაგრამ მე მაინც არ შე-
მიძლიან დავმალო ჩემი აღტაცება შესახებ თქვენის სიმართლისა და
გულ-გამოტეხისა!... თქვენა ხართ პატიოსანი ასული ოჯახისა!... ამის
შემდეგ თქვენი პატიოსნება ბევრით აღემატება ჩემს გულში თქვენს
გარეგანს სიმშვენიერეს!.. მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, რომ ჩვე-
ნი ქართველი ქალისაგან მესმის ეს მტკიცე ჭეშმარიტება და ზნეო-
ბითი სწავლა!.. ვიმორეებ, საშინლად მომწონს და მოხარული ვარ
თქვენი გულ-მართალი დაპარაკისა!... (ხელს აძლევს.) იქნება მეც ბედ-
ნიერი ვყოფილვიყავი, მაგრამ არა უშავს რა, თქვენ იყავით ბედნია-
რი, მე ამას წრფელის გულით ვისურვებ!.. ამიერიდგან მრცხდეთ მე
პირველ თქვენს მეგობრათ!.. თქვენა ხართ განსორციელებული პატიოს-
ნება!... (ხელზედ ჭოტნის.)

მათიკო. მე იმედი მაქვს, რომ ეს გამოტეხილი დაპარაკი არ
დაამდაბლებს ჩვენში მეგობრობას!

ბრძენაძე. აკი მოგასსენეთ, დღეის შემდეგ ერთი სუთად გა-
ფასებთ, რაც აქამდის იყავით!..

ლიზა. (შემოდის.) ქალო! დედამ შემოთვალა, ძიძის დრაკა!

მათიკო. ესლავე, ესლავე!

ბრძენაძე. (ხელს აძლევს.) მშვიდობით ბძანდებოდეთ, ჩემო მე-

გობარო! ღმერთმა თქვენი სურვილი შეგისრულოთ!... არ დაივიწყოთ, რომ სადმე ბოჯიევგტან ბრძენაძე თქვენი თავ-დადებული მეგობარია!.. იქნება კიდევ როდისმე შესვდეთ ერთმანეთს!.. მშვიდობით! ესლა მე მივდივარ, გამოვიტირო ჩემი შეცდომა და ძვირ-თასი დანაკარგი!! (მიდის ჩქარა მარცხნივ.)

მათიკო. მშვიდობით! ლიზავ! გაიცილე! (ლიზა გაიცილებს. დადის, მერე შუაზედ გაჩერდება.) იქნება მართლა ვუყვარდი ამ ყმაწვილს? ესლა ხომ ის ცოდო არის! ვსთქვათ, მე არ ვუყვარვარ გაბოს, რომლისთვისაც ტანტალი მეკიდება, ეს ხომ სულ ერთი იქნებოდ!.. ოჰ, ღმერთო! რა ძნელი მდგომარეობაა ადამიანისა!... მაგრამ მე რომ მაგას ცოლობას ვერ გავუწევდი, უფრო საცოდავი არ იქნებოდა?! ისევ ისა სჯობიან, ესლავე გულიდგან ამოიღოს ჩემი სიყვარული! (დადის, ფიქრობს.) გაბო რომ არ მოვიდეს, რა მეშველება!! საით წავიდე? ვის მივმართო? დედაზედ და მთელ ნათესაობაზედ სულ-აღებულმა როგორღა უნდა ვუყურო იმათ პირში!! ვინ იცის, ვინ შესვდა გაბოს და რა ურჩიეს! მეგობრებმა როგორ შეუცვალეს გული, დაშლევინეს წამოსვლა თავის მათიკოსთან, იმ მათიკოსთან, რომელსაც სამი დღეა ნაწილი პირში არ ჩაუშვია, ძილი დამეთხალი აქვს და მოულოდნელად გაჭყურებს იმის გზას!..

ლიზა. (შემოდის.) იჰ, გენაცვალეთ, რა ბეცი რამ არის ეს ცხონებული შვილი: ქართინიკით მიაბლატუნებს თვესებს, კინაღამ თოხნეში ჩავარდა!.. რაო? რით გაათავეთ საქმე? დასწყევლოს ღმერთმა, ბეგრის იასაულიკით კი მოგვეჭრება ხოლმე დიდა საღამოს და!

მათიკო. (ამოიოხრებს.) ალარ მოვა ამას იქით!...

ლიზა. მადლობა ღმერთსა, ამტელმა კარების გაღებ-მოხურვამ იღვაი წაიღო!... ქალო! რატომ ეგრე თავ-პირი ჩამოგტირის?!

მათიკო. სასიხარულო რა მაქვს, ჩემო ლიზავ! აი ხომ ხედავ, დროც გადავიდა და გაბო არსადა არა სჩანს! სჩანს მე იმან მოატყუილა და გამოამჭრა ყელი!..

ლიზა. ისეთ უტანაურს მოჭყვები ხოლმე, რომ ადამიანს გულს

შემოჭერი! ჯერ რა მეტი დრო გასულა; რასაკვირველია მოვა; მაგაში განა ეჭვი გაქვს? დიდანდელი ტირიდისა არ იყოს, წინ და წინვე რაზედ იუძლურებ და იტანჯავ თავს?!

მათიკო. ღირსი ვარ, ღირსი, ჩემო ლიზავ, უფრო უარესი სატანჯველისა, რომელმაც მშობელი დედა ჩალად არ ჩავაგდე, რომელიც წმინდა კავშირს დედა-შვილობისას ვარღვევ, ბედნიერება ავიტანე თავიდგან, რომელსაც დედა მიმზადებდა, დაუკითხავად საქმეს ვიჭერ და იმის მშობლურს ამაგს, მთელს იმის ჩემზედ ზრუნვას და ღვაწლს ვსტვლი ერთი კაცის სიყვარულზედ, ისიც ნათესავისა! (ტირიდის ხმით.) ოჰ, ღმერთო! უარესი ტანჯვის ღირსი ვარ მე მშობლის თვალის გამტესი და ნათესაობის დამრღვევი! განა მე კიდევ უნდა ვისეირო ქვეყანაზედ?!.

ლიზა. ქალო! ერთი მითხარი, ეს რა საღაბარაკოა, რაზედ ისეთქამ გულს? მაგის დრო გაქვს?!. სიდგან მოხდა, რომ მარტო შენ შეგიძლიან სიყვარული და სხვას არა?! გაბოს რაღა ნაკლებთ უყვარხარ, მაგრამ „შინ გარიგებული საქმე გარეთ არ გამოდგებაო“ ხომ გაგიგონია? იქნება რა შეეძოსვა იმ ყმაწვილს; ჯერ ხომ მეტი დრო არ გასულა!... მესამე დღეც დღეს არის. თვალ-ყური უნდა ვადევნოთ!

მათიკო. რა ვქნა, რომ არ მოვიდეს?! როგორ უნდა მოვისვენო!... ღმერთო!

ლიზა. ეგ ადრე გეფიქრა, კარგი იქნებოდა, ესლა გვიანდა არის! მაჩვენე ე წიგნი, როგორ სწერია? ამაღამ არ უნდა მოვიდნეს?

მათიკო. ჭო, გენაცვალე! ხომ ჩაალაგე ჩემი ტანისამოსი? ნიგოეულობა ყველათერი ჩალაგებული მაქვს! აი გენაცვა, გაბო იწერება, რომ დღეს ათის ნასვერიდამ აქ გვიყარაულეს, ვიდრე გაქცევის დროს ვიპოვით!.. აბა გენაცვალე, ლიზაჯან, თვალ-ყური გამჭრიასათ გეჭირის! თუ ესლა შეგვიტყო ვინმე, დავიღუბებით!...

ლიზა. თქერი არ არის, მე ფსიზლათა ვარ! მაგრამ ერთი ეს მითხარი, ბარგს ვინ წამოგიღებს?

მათიკო. გაბოს კაცები ე�deb! შენ თვალი ადეგნე, ზურაბიანთ ბალისკენ ჩამოიყვანის, ასე მწერს!.. შენთვის რაც დაბირებული ვიყვი, ჩემო ლიზიკო, ბალიშ ქვეშ არის გამოკრული!... ლიზა, გენაცვალოს შენი მათიკო, მომწერე ხოლმე დედას მშვიდობა, ბევრ მგზავრს ნახავ იქითკენ!... შენ გტოვებ დედას ნუგეშად; გებრალებოდეს ჩემი მშობელი!... (გულ-ამოჯდარი.) ოჰ, დედავ! მშობელო! სავუკუნოთ უნდა დაგტოვოს შენი ტკბილი ქუქუთი გამოზრდილმა მათიკომ!.. ვეღარ ვიხილავ შენს ტკბილ, მშობლურ ალერსს!... ვეღარ გადავეხვევი შენს მშობლურს მკერდს, რომელზედაც დიდის ფუფუნებით ვარ გამოზრდილი!.. ჩაგიფუჭდა მშობელო ამაგი!.. რა მწუხარება და ნაღველი უნდა გამოიარო ჩემი გულისთვის!... უნდა ჩაგამწარო ამ სიბერის დროს სიცოცხლე!.. (ტირის.) რათა მზრდიდი ასე ფუფუნებით? რატომ შესამთ არ შემრგო შენი ტკბილი რძე?! რატომ დაბადების თანავე არ მოსპე ჩემი სიცოცხლე, რომ შენთვის ეს მწუხარება არ მომეყენებინა!! ოჰ, საწყალო მშობელო! (სელის გაბერობით.) მრავალ მოწყალე ღმერთსა ვსთხოვ იყოს შენი ნუგეში!... (ტირის.)

ლიზა. (თვალებს იწმენდს.) კარგია, ქალო, გენაცვალე! დედამ არ შეგამჩნიოს ნამტირალი თვალები, თორემ მთელ ღამეს არ მოგშორდება! წუსელის მე რომ არ მეოქო, მათიკო მსიარულათ არის მეოქი, ძილს არ აბირებდა! ხომ იცი იმის ამბავი? თუ გინდა გულის წადილი აგისრულდეს, ამაღამ მსიარულათ იყავი, დედაშენი მაშინვე დაიძინებს!... ხომ იცი ჩვენთვის რამდენი დირს ამაღამდელი ღამე?... შესვიდე თუ არა ოთახში, შენებურათ შემოსძახე.

მათიკო. რაღა სიმღერისა მცხელა გენაცვალე!

ლიზა. როგორ თუ არა გცხელა?! შენგან მოსვენება არა გვაქვს, თავ-გატეხილი თითარივით რომ ტრიალებ ხოლმე და ესღა ადარ შეგიძლიან? აი დედა შენი მოდის და ვინძალო კარგათ დასვდე!..

მარიამი. (კულისიდგან.) მათიკო, შვილო? ლიზა! რა იქნით ქა?

ლიზა. (შეუტევს მათიკოს.) აქეთკენ მოდის, რას ჩამოგიშვია

ეგ ცხვირ-პირი ოსური გუდასავით? თვალები გაახილე, ეოჩაღით იუკვი!

მარიამი. (კულისიდგან.) მათიკო! ლიზა!

მათიკო. აქა ვართ, დედა!

ლიზა. (მიდის მარიამისკენ.) აქა ვართ, ქალ-ბატონო!

მარიამი. (შემოდის.) ალარ გედროგებათ, შვილო? სვალ ადრე უნდა ადგეთ. ქილის დროა. ხვალ ჩვენი სახლი სტუმრებით სავსე იქნება.

ლიზა. (მათიკოზედ.) აკი მეც ვეუბნები, მაგრამ ჯიუტი რომ არის!

მარიამი. (მათიკოს თვალებში შესცქერის.) რათ გიტირნია, შვილო?!

ლიზა. (მათიკოს ანიშნებს, რომ იმას გადაბრალოს.)

მათიკო. (სიცილით.) სასალი რომ გაუწყდეს ლიზას!

ლიზა. (თავს მოიკატუნებს.) არა, კნეინავ, ღმერთს გეფიცები, ჩემი ბრალი სულაც არ არის! ამ ქალმა მოინდომა, დამალობა ვითამაშოთო. მე დამალული ვიყავი; თურმე მე ვეგონე, გამოექანა და ალიანდრის ბოჭკას კერატივით დაეტაკა! აბა ჩემი რა ბრალია. (მათიკო იცინის.)

მარიამი. (სიცილით.) ქალებს დამისვდეთ, დამალობას თამაშობენ! შენ მაინც რატომ არა გცხვენიან, ბატარძალო?... წამოდით, კარგია, გენაცვალეთ, დაიძინეთ, ხვალ ადრე უნდა ადგეთ!..

მათიკო. მე ყველაზედ ადრე ავდგები, დედაჯან! (იქით ამოიოხრებს.) კაიმე!

მარიამი. ჭო, გენაცვალე! წავიდეთ.

მათიკო. წავიდეთ. (ჩუმათ ლიზას.) გენაცვალე, თვალი გეჭირეს! (მიდიან.)

ლიზა. შეუტევს.) კარგია, გამშორდი, მე ვიცი! (ზუზუნებს.) როგორ ავუბით თვალები ამ უბედურის დღისას, კაი ჩვენი ბრალიცა!..

სვლისთვის ამოტეხა ნამზადისი ოხრათა რჩება, ნეტავი მე მაინც გადამწერონ ვიზედმე ჯვარი!

მათიკოს ხმა. ლიზავ! მოდი, ვიმღეროთ!

ლიზა. მოვდივარ! (მიდის. ტოტას ხანს სიჩუმე; მოისმის სიმღერა.)

შენ მოგელი, მომთრინავო ჩემდამი!
ძვირად გვიღირს, შენც ხომ იცი, ეს წამი!
ნუღარ მტანჯავ, მომაშორე გულს შხამი;
მო, გამოჩნდი, გელოდები დღე სამი!..

წამოგვეები, გზას გაუდგეთ, ვითრინოთ,
ულოველ ტანჯვას გმირად დავხვდეთ, ვითმინოთ;
წყევა მშობლის ნაღვლით მოვისმინოთ;
სან ვიტიროთ, სან, დროს ვბოვებთ, ვილხინოთ!

(ამ დროს შემოდის გაბო ნაბადში გასვეული და უკან მოსდევენ ორი გლეხი კეტებით. სცენაზედ გაჩერდებიან და სიმღერას ეურს უგდებენ. გამოვა ლიზა თეთხიდის ნაბიჯით და შეეფეთება გაბოს. ლიზა: „უმე!“ გაბო დაჩუმებს და მუნჯურათ ელაპარაკება. ლიზა საჩქაროდ გამოიტანს ორ-სელის ეუთს მისცემს გლეხს. შემდეგ მეორე გლეხის შემწეობით გამოიტანს სკივრს, გაბო აჭიდებს და გლეხებს გაისტუმრებს.)

სევდით ვიმღერ, თვანჯარასთან მჯდომარე;
არვინ მისმენს, ყველას სძინავს ჩემ გარე;
ნუგეშად მყავს ერთი მსმენელი მთვარე!...
დრო მოდი და ერთი გამასარე!...

გაბო. ლიზიკო! აბა ჩქარა მათიკოს დამიძახე! (ლიზა გაიქცევა.) საკვირველია, ამ მშვენიერ მთვარიან ღამეში ასე ტკბილათ რამ დაამინა ეს სალხი! მთელი სოფელი ამოვიარე და ძაღლმაც კი არ დამეე-

ფა!.. რასაკვირველია, ესლა ფიქრი ადარ არის. ერთ სასთუმალი მგონია, ოცი ვერსი გავარბენინო!...

გამოსვლა 2.

იგივე, მათიკო. და ლიზა (შემოდიან.)

მათიკო. (შემოვა შალში შეხვეული, გაქანება და გაბოს მოესვევა:) გაბოკვან, გენაცვალე, შენა სარ?

გაბო. მე ვარ გენაცვალე! აბა, დრო ადარ არის... წავიდეთ! მშვიდობით, ლიზავ! (სელს ჩამოართმევს.)

მათიკო. (გადაესვევა.) მშვიდობით, ჩემო დაუვიწყარო ლიზიკო! თუ ვიცოცხლე, მე შენ თავს არ დავანებებ! (გაბოსთან ნაბადში ეაესვევა და მიდიან.)

ლიზა. ღმერთმა მშვიდობის მგზავრობა მოგცეთ! (გაატიელებს. სიჩუმე ნასვევარ მინუტს.)

მარიამი. (კულისაში.) ლიზავ!.. მათიკო!... სად დაიკარგენით?! (შემოდის.) ლიზა!... მათიკო!.. აბა ვაგლახმე, რა ქნილან!! მათიკო! შვილო! ლიზავ!

ლიზა. (კულისიდგან სმას მოსცემს.) გიახლები ქალ-ბატონო! (შემოვა სელში გრანფინკა უჭირავს წელითა.)

მარიამი. (შეშფოთებული.) შვილო! მათიკო რა იქნა?

ლიზა. (თვალებს იფშვნეტს.) მათიკო, ქალ-ბატონო, თავის ოთახში გახლავთ. ესლა გამოიღვიძა და მითხრა, წყაროზედ ჩაირბინე ბალჩაში, ცივი წყალი მინდაო და აი მიმაქვს! (რაც შეუძლიან ამოქნარებს და თვალებს იფშვნეტს.)

მარიამი. (გაკვირებული.) რას ამბობ, გოგო?! ესლა თანკარში შეგიხედე, სანთელი კი ანთია, მაგრამ მათიკო იქ არ არის!.. წადი, მოანახე, რასა დგეხარ?!

(ამ დროს კულისებში ადიაქოთია და ღრიალი ისმის: „ვინა

სართ, ქალი მოიტაცეს რაზბონიკებმა .უშველეთ!...“ მარიამი შეჰკივლებს: „ვაიმე შვილო,“ და დაეცემა. ლიზა დაიწყებს წივილ-კივილს; მარიამს კაბის ღილებს უხსნის და წყალს ასხამს. სცენაზედ გამოირბენენ რამდენიმე გლეხი კეტებით და თოფებით. ჯერ სცენაზედ დარბიან, შემდეგ გაცვივდებიან. ზოგი ბერანგის ამარა, ზოგი უფეხსაცმელო, ზოგი თავ-შიშველა; ბოლოს გამოირბენს თოხიკე ამოლებული ხმით, წინდებში, შარვალი გაფარფატებული, ასალუსი შეუკვრელი და თავ-შიშველა, თან მოიძახის: „მამა-ჩემი იორამ არ წამიწყნდება, სულ გავყლეტავ!...“ ასტუდება ღრიალი და თოფების სროლა... „არიქა უშველეთ, მანდეთ დაეშვნენ!“)

(ფარდა ჩქარა ეშვება.)

მოქმედება მესუთე.

(მოქმედება 5-ის წლის შემდეგ.)

(სცენა წარმოადგენს ძალიან ღარიბს ოთახს ქალაქში. მარჯვნივ სდგას კარადა ლოგინით დაფენილი; მარცხნივ უბრალო სტოლი და რავდენიმე უბრალო სკამი. ლოგინზედ წამოწოლილია ავათ-მყოფი მათიკო და ფესთით უზის ლიზა.)

კამოსვლა 1.

მათიკო და ლიზა.

მათიკო. (მაწუწულის სმით.) ანა ლიზიკო! ამ დამწვარ დღესაც მოგესწარით?! მაგრამ რაღა დროსია ოხვრა და ტირილი; ალბათ ეს იყო ჩემი ბედი!... როდემდის უნდა ვიტანჯო ესე! როდის მოელება ბოლო ჩემ მწარე სიცოცხლეს!... (სულის გაბუერობით.) ზეციერო მამაო! შენა გთხოვ, მომანიჭო საფლავში დაძინება; მგონია, რომ ცოცხალ სამარეში ყოფნა სჯობდეს, ვიდრე ამ ტანჯვაში: ჭიას მაინც გავასარებ, რომელსაც სხვა საჭმელი არა აქვს!..

ლიზა. რას ამბობ, გენაცვალე, მაგას? ძალთ რათ იგლეგ თავს? წინათვე რათ იშფოთებ გულს?.. დროებას ვუყუროთ, იქნება ბედმა ჩვენც გაგვიღიმოს!.. იქნება დედა შეგირიგდეს, მაშინ იმავე ცხოვრებაში ჩავარდები, რომელშიაც იყავი!

მათიკო. (მწარე სიცილით.) ჰმ! დედა შამირიგდება!! რათ უნდა შამირიგდეს დედა, განა ღირსი არა ვარ, რომ ასე ვიტანჯო?! ღირსი

ვარ, ლირსი, ჩემო ლიზიკო, უფრო უარესი ტანჯვისა, და მე ამისთვის არ ვუფლური განგებას, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო!... მხოლოდ ერთიღა მრჩება მე სორციელად ტანჯულს, რომ სიკვდილი ვისტრო, ეგება ჩემ სულს მაინც მიეცეს შვება!...

ლიზა. მათიკოჯან, გესაცვალე, რათ იწყალავ გულს მაგ შესაზარი ლაპარაკით?!.. ეგრე როგორ უნდა დაეცე სულით?!.. გამაგრება სასაწყლეში და სიღარიბეში უნდა! მაშ ვინც ღარიბები არიან, სულ ძალით უნდა იკლავდენ თავებს?! ოთხი წელიწადია ღარიბათ ვსცხოვრობთ, რა ვქნათ ასლა, ზოგი მთელ თავის სიცოცხლეს ატარებს სიღარიბეში! ვინც მწარე არა სჭამია, ტკბილის გეძო არ იცოდა! ალმდის მედიდურათ ვსცხოვრებდით, ასლა ვიოთ ამ ცხოვრებაში: იქნება საბოლოოთ უკეთესობა მოგველის!...

მათიკო. კიდეც ეგ მიწუხებს გულს, ჩემო ლიზავ, რომ უკეთესობას ჩვენ ველარ ვისიდავთ: ჩვენ დაკეცით სულითაც და სორციითაც, სულ ამაო გახდა ჩვენი ცხოვრება!.. ესლა ველარც სამდიდრე მიშველის, ველარ გამიმოელებს გულს, რომელსაც მწარე ნადველი გადაეგარებია და უწყალოდ სტანჯავს!.. რა კი ხე გახმება, ჩემო ლიზავ, რამდენიც გინდა შრომა გასწიე და წყალი უსხი, იმას ველარ მოასურიელებ, ამიტომ რომ იმას შერჩენია გულში ჭია, რომელიც ხანგრძლივად ხრავს და ბოლოს ამ მამცურად მდგომარე ხეს, რომელიც ამწარტავნობით ქარისგან თავს არა ჭარიდა, არ ეზოებოდა ჭეჭ-ქუქუნიდს და მედიდურად გაეშალა თავის მშვენიერი შტოები; მის მშვენიერი ყვავილები თვის გარეშე ყოველ სურიელს უტკბობდნენ ყნოსვას, და იქნება ედემის ნაყოფის მოძტანიც იყო,—მაგრამ ამ მშვენიერს ხეს თითქმის ოვალ უხილი ჭია წამოჭეტვს და საბოლოოთ მისტეს დანატრებას!.. აი, ჩემო ლიზავ, ჩვენი ცხოვრება!?.. რაზედ დასჩემდა გაბოს ლოთობა? ნუ თუ ამის მიზეზი ჩვენი სიღარიბე არ არის?! ასამ გვეონდა რამე, არაფერს არ იკლებდა და სიღარიბისკენ თავს არ ისრიდა. ერთს წელიწადს ჩვენი ქონება გავაყალეთ! მერე სცხოვრებელი რომ ვერა ვიპოვეთ რა, მიეყო გაბომ სმას ხელი და ესრეთ ჭირზედ ჭირი დაემატა!... დაიღუპა კაცი!...

გამოსვლა 2.

იგინივე და გაბო.

გაბო. (შემოდის დალეული, დალვრემილის სახით.) რა უბედურება არის, ღმერთმანი, მოგვცილი სხედხართ და არავერს არ აკეთებთ! ხომ სედავთ ცხოვრება როგორ გაგვიჭირდა?! ბატონობას უნდა დაანებოთ თავი! (სტოლთან დაჯდება.)

მათიკო. რა ვქნა გენაცვალე, რომ არ შემიძლიან, რა გავაკეთო? ვის მივმართო, საით წავიდე ასე უძლური?! ტოტა მაინც რომ შემეძლოს, საქმეს ვიშოვიდი, საკერავს კიდევ ავიღებდი, მოჯამაგირეთაც კი დავსდგებოდი ვისთანმე, რომ შენთვის ხარჯი შემესუმბუქებისა; მაგრამ რა ვქნა, რომ ასე დავგუტდი და ლოგინად დავვეტი!...

გაბო. მე რაღა ვქნა? რით უნდა გაცხოვროთ? საით ჯანდაბას უნდა გადვიკარგო? ნახევარი კეტი აღარა ვარ, საით რას მოგიტანთ? სინეყნე აღარ გამოგადგება, რასა წევხარ? კარგი ხელები გაქვთ, კარგი თვესები; ძალთ რათ იუძლურებთ თავს?! ერთი თქვენი გაკეთებულიც რამე დამანახვეთ, სულ მე სად გაგიკამოთ!..

ლიზა. (ადგება, გაბოსთან მივა.) აბა რას ამბობ, გაბო? ქალს, სამი დღეა, ნაწილი ბირში არ ჩაუშვია, როგორ უნდა ისაქმოს?! მე კიდევ ჯანი გამვარდეს, კარგათ მაინცა ვარ; მაგრამ ამან რა ქნას, რომ სწორეთ ვერც კი შეუძლიან სისუსტისგან დაბარაკი!.. ?მოიგონებდეს, რომ ღმერთია მართალ-მსაჯული, აბა ამ ავათ-მყოფს როგორ საქმობ?!..

გაბო. (შეუბღვერს.) დაჩუმდი, შე ასპიტო! გიცნობთ მე ყველა ქალებს, დიდი გველები ბრძანდებით!.. ჩემი სანატრელი ესლა მსოფლიოდ ის არის, რომ ერთ დღეს მოისპობოდეს მოელი მდედრობითი სქესი, აგება გაჭირება ცხოვრებაში ასცილდეს ყოველ-კაცს!... (თავს ჩაჭიდებს.) ოჰ, ღმერთო, რა დღეში ჩამაგდე!..

ლიზა. ან შენ რათ იხეოქვე გულს, ან ამ საცოდავ ქალს, რო-

მელიც დღე-გრძელი არ არის, და კაცი ყოველს წამს უნდა მოელოდეს ამის ამ სოფლიდგან განშორებას. უკანასკნელი დღენი მაინც დუტკბე უწინდელის სიყვარულით! რაღა შენი გულის სეთქა ეჭირვებ!... სასმელი არა აქვს, საჭამელი არა აქვს, სიცივით ვისოცებით, აბა გენაცვალე, რაში არის გასამტყუნარი?! აბა რა საქმის გაკეთება შეუძლიან? ვის მიადგეს კარზედ? ვინ რას მისცემს?

გაბო. მე ვიღას მივმართო? ძალა მე ადარა მაქვს, ღონე მე არა მაქვს, ხელები დამიდამბლავდნენ, ფეხები ძლივს მატარებენ, ამდენი ბორბოტისგან თავში ნასვენარი ჭკვა ადარა მაქვს! განა მე კი არა შეიანი? მე კი არა მწყურიან? არა მტივა?... განა მე კი არ მინდა კარგით ჩაცმული დავიარებოდე, მაგრამ საიდან? ვინ რას მომტანს?!

ლიზა. ვინ რა უნდა მოგცეს? ქვეყანა შრომით სცხოვრებს: დანებე სმას თავი, იმუშავე, შედი საქმასაურში და შენ თავსაც აცხოვრებ და შენ ცოლსაც! ისე როგორ უნდა დაიმტირო თავი, რომ შენი ცოლი ბრაჩკობდეს ან მგერვალობდეს, თუმცა, ღმერთია მოწამე, რომ ის ამაზედ უარს არ იტყვის, ოღონდ შეეძლოს!.. ქალი უკანასკნელს დღეში არის და კიდევ იმას ცდილობს, რომ შენ არ შეგაწუხოს: სასმელს არა გთხოვს და საჭმელს; განა ავათ-მყოფი რომ არის, იმას კი არა შიან?!.. შენ კი ტკბილი სიტყვის მაგივრათ უყვირი და ღმის სული ძალათ ამოართო!! რატომ ცოტაც არის არ გასხოვს თქვენი სიყვარული?! რამ შეგიცვალა ეგრე გული? ნუ თუ შენ ესლა ესე უნდა ეწყრობოდე მათიკოს, რომლის გულშიაც ჯერ კიდევ სათლად არის და არ დაშრეტილა შენი პირველი სიყვარული!!.. ამოდენა მეგობრებში ერთს როგორ ვერა სთხოვ, რომ ექიმი მოიყვანონ, აგება არა კვდება, უპატრონოთ რათა ჭკლამ?...

გაბო. (მწარე ღიმილით.) ეჰ! არა უშავს რა! ბევრს მაგისთანეებს მოინელებს, ეგ მეტი სინეყნისგან მოსდის!.. მე მაგას ეური უნდა ვუგდო? ზედ უნდა შევსდგა? ექიმი მოვეგვარო?! არა, ისევ ისა სჯობიან, ჩემი ცხოვრება ლოთობაში გავაგუჭო! მაგას თავის ცხარე მოარშიყენი და საყვარლებიც მოუვლიან!.. ოოო! თქვე ბეველებო, თქვენ შესაწყნარებელი ხართ?! .

ლიზა. ღმერთმა გკითხოს მაგ ცილის წამებისათვის! ცოდვა არ არის, შენ მათიკოზად ეგონი სთქვა?!.. აგრე როგორ უნდა გადუდგე სინიდისს!.. ამსანაგები რომ ერთ-გულად მსურს გიჭერენ და თუ-ლებს გაძლევენ, კიდეც ის გალაპარაკებს მათიკოზად ამყებს!.. შენს სელში ებრალებათ ეს სატოდავი ქალი, რომლის ტანჯვასაც საზღვარი არა აქვს, და მსოლოთ იმის გულისთვის გაძლევენ შემწეობას; შენ კი ასე აგსვეია თვალები, რომ ეველა შენი კეთილის მოთვი შენი ცოლის არშიეი და საყვარლები გგონია!..

გაბო. (წამოდგება.) როგორ, შენ უნასუსო, შენც მაგის მსარე გიჭირავს და ეჭორაგები?! კიდევაც შენი საქმეა, რომ მაჭანკლობა დაიწყე ჩემს სახლში. მე თქვენ გაჩვენებთ! აბა თუ ბატიოსანი ქალია, ბირში მელაპარაკოს! (მიდის მათიკოსკენ.)

ლიზა. (წინ გადუდგება, ტირილით.) რა გინდა, ყმაწვილო, მა-გისგან? საკმაო არ არის, რა დღეშიაც არის!! ძალათ სომ გერ ამხა-დი სულ?!

გაბო. (მიდის.) არა, მე მსურს, ბირ-და-ბირ მიყურონ!

ლიზა. (აყენებს.) მოითმინე ყმაწვილო, ძალავს ნაკეთინა, ნუ გა-ლვიძებ მაინც! (იქით.) ღმერთმა გკითხოს მათიკოს ტანჯვა!

გაბო. (მრისხანეთ.) ოჰ! თქვენი.... (გადის.)

გამოსვლა 3.

ლიზა და მათიკო.

ლიზა. (ჯერ გაბოს გაიყოლებს თვალს, მერე მოუბრუნდება მა-თიკოსკენ.) ოჰ! შე სატოდავო და საბრალო მათიკო! როგორ გამო-ზრდილი რა მდგომარეობაში სარ!! აგრე უბედურათ უნდა წაიგვიდეს შენნი დღენი! აგრე უნდა იტანჯო, ვიდრე ღმერთი მიიბარებს შენს უმანკო სულს! (თავზედ დასტქერის.) თვიქრათაც გერ მოგვიდოდა, შე სატოდავო, თუ ამ დღეში ჩავარდებოდი!.. სავსე ოჯახის და საკ-რებული ქონების მპყრობელს უნდა გტანჯვდეს შიმშილი და წყურვი-

ლი!... (წამოიგვა აქეთ.) მე ის მიკვირს, როგორ გულ-გაქვავებული უნდა იყოს ადამიანი, რომელსაც ესმოდეს თავის ნაშობი შვილის ასეთი მდგომარეობა, იმ შვილის, რომელზედაც იმას მზე და მთვარე ამოსდიოდა და თითქმის ლოცულობდა, და არავერი შემწეობა არ მისცეს!... სწორეთ სუთკერ მიმიწერია წიგნი ამის დედისთვის და ბასუხი არ გიცი!...

მათიკო. (იღვიძებს, მიწურულის სმით.) ლიზა! ლი-ზა!

ლიზა. (მივა ასლოს.) რა გინდა, გენაცვალე?

მათიკო. ერთი წყალი ჩამაყლაპე.

ლიზა. (ლიზა სტაქნით მიაწვდის.) აჭა, გენაცვალე, დალიე.

მათიკო. (შესვრეტს რამდენიმე ყოყბს.) ოჭ! (მისცემს სტაქანს.) ლიზაკან, მოდი, ჩემთან დაჯექი. (ლიზა დაჯდება.) მადლობა ღმერთსა, რომ უკანასკნელ დღეს ჩემი უბედური ცხოვრებისა, გვერდით მყევსარ ერთი სულის მეგობარი (შეისვენებს.) აი, ლიზავ, ჩემი ყმაწვილ-ქალობა, ჩემი აღტაცება, ჩემი სურვილი! სედამ, რა დღეში ვარ?! არ მეგონა, თუ ასე მალე მომესწრაებოდა სიცოცხლე! ღონე ცოტა კიდევ მაქვს, სულ-თვესს მოძრაობა კიდევ შეუძლიანთ, თვალი კიდევ მიბრის, გონებაც ჯერ კიდევ მუშაობს,—მაგრამ უნდა კი მოვკვდე!.. ჰოი, გამჩენო, რა არის ყმაწვილური უმეცრება!!

ლიზა. (ტირილით.) რას ამბობ, გენაცვალე? სიკვდილისაგან ღმერთმა დაგიფაროს, რა გჭირს სამგისო?!.. დღეს ფიცხელაძე ექიმს მოიყვანს, გუშინ რომ დაგვბირდა, ფულიც მომცა, რაც მოინდომოს უყიდო!... ღმერთი მოწყალეა—მორჩები!

მათიკო. მოკრჩები, ლიზავ, ამ ორ დღეში სრულიად განვთავისუფლდები!... (უკანასკნელი შეწუსების სმით.) ჩემ ბატარა გიგოსთან უნდა წავიდე, უდედოთ ვერ გასწმენს ჩემი ნებიერი შვილი!..

ლიზა. (ტრემლით.) კარგია, გენაცვალე, მაგ დაბარაკს თავი დანებე.

მათიკო. არა, მე მინდა გელაბარაკო, სანამ გონება კიდევ მომდევს! მალე ისიც დამეკარგება, და მაშინ ვერაფერს გეტყვი!.. (სიცხე-

ში ეურევა.) დედა!... გიგო!... შენი ჭირიმე დედა, ჩემო!... ახლოს არ მეკარება, მერიდება!... (ტირილით.) მშობელო! მოხედე შენს დაქ-ვაარ მათიკოს!... უკანასკნელი დღენი დაუტკბე მშობლურის ალერ-სით!.. დედა! ნუ მიატოვებ შენთან შემტოდე შვილს, მოდი სიუკუნოთ გამოეთხოვე და გულ-სელი დაუკრიეე მომაკვდავ მათიკოს (შეშფოთებული.) არ მოდის!.. ბერი მიმარიდა!.... ღირსი არა სარო! მშობ-ლის წყევა მოქმედებს შენზედაო!... (წამოვარდება ლოგინიდან და უცნაურის ხმით შეჰკივლებს.) მაპატიე, დედა!... მოუტევე შენს მათი-კოს ეს შეტოდება!...

ლიზა. (ისევ დაწვენს.) ვის ელაპარაკები, გესაცვალე?! ნუ შფოთავ! (იქით.) ოჰ! დმერთო!...

მათიკო. (გონს მოვა.) ლიზა! შენ ისევ აქა ხარ? ტოტა ჩამე-ძინა! სიცხე თან-და-თან მიმატებს, თავი მიხურს, მაგრამ, მგონია, ჯერ კიდევ კარგათ ვლაპარაკობ!... ლიზაჯან! მისწერე დედას, რომ იმასთან ბერ-შავათ გამოსული მათიკო ბერ-შავათ სტოვებს სიცოც-ხლეს!.. უთხარი, რომ იმისმა წყევამ ჩამაგდო ამ დღეში და ძალიან კარგათაც მოგიყვა მშობლის თვიტის გამტეხს!... (შეისვენებს. ამოიოხ-რებს.) ოხ, გამჩენო!... გაბოს მოუარე, ლიზაჯან! უთხარი, ჩემ შემ-დგომ ნულარ შეირთავს ცოლს: მოგვა არ შეუძლიან; თავის-თავს გაუფთხილდეს და ათასში ერთხელ მოიგონებდეს ხოლმე იმისთვის თავ-განწირულს მათიკოს!... უთხარი, რომ მე მივეშურვი ჩემ ბატარა გიგოსთან!... (ლაპარაკს ეურევა. შიშის ხმით.) ესე რათ დაბნელდა? ეს რა დამაწვა გულზედ!... რათ მასრჩობს!.. გამაცალეთ!... ლიზავ, მიშველე! (ლიზა ხელს დაუჭერს.) მიშველე!... მიშ....ვე....ლ!... (ჩაძ-ინება.)

ლიზა. ვი შენს ბედს, შე საცოდავო! (ჩაფიქრდება. ისმის კა-რების ბრახუნი.) ვინა ხართ? მობძანდით! (მიდის კარებისკენ.)

გამოსვლა 4.

იგინიგე, და ბრძენაძე.

ბრძენაძე. (შემოდის.) უკაცრავად კი არ გასხლდეთ და ამ სახლში მომასწავლეს გაბო თავსედაშვილი! აქ ხომ არა სდგას?

ლიზა. როგორ არა გენაცვა, აქა სდგას!

ბრძენაძე. (დაცქერდება ლიზას.)

ლიზა. მობძანდით, გენაცვალე, დაბძანდით!

ბრძენაძე. (უყურებს.) რა ვქნა, შენ ლიზა არა ხარ?

ლიზა. (ამოიოხრებს.) ლიზა გახლავარ....

ბრძენაძე. (მივა ახლოს.) მერე რა დაგმართნია, რამ გაგხადა ეგრე?! სრულებით ვეღარ გიცანი!.. მათიკო სადღა არის? ხომ კარგათ არის?

ლიზა. მობძანდით, გენაცვალე, აი მათიკოც! თქვენი მტერი იყოს ამ დღეში, რა დღეშიაც ეგ არის!...

ბრძენაძე. (მივა წინ.) როგორ? ავათ ხომ არ არის?

ლიზა. უკანასკნელ დღეშია!...

ბრძენაძე. იქნება მართლა?! (შეწუხებული.) ოჰ! საბრალო ქალი! (მათიკოს დასცქერის.)

ლიზა. (სკამს უთავაზებს.) დაბძანდი, გენაცვალე, მათიკოს ცოტა ჩაქინა, მალე გამოიღვიძებს.

ბრძენაძე. (დაჯდება კრაოტთან ახლოს.) მერე რამ ჩაგაგდოთ ამ უბედურს დღეში?! (აქეთ-იქით იყურება.) ღმერთო! ამ ბნელს და ნესტიან ოთახში ბირუტუკებსაც არ ედგომილებათ, არამც თუ ხალხთ!.. (ლიზას.) მაინც რისგან არის ავათ?

ლიზა. რისგან უნდა იყოს გენაცვალე! სმა არა აქვს, ჭამა და ჩაცმა-დასურვა!... ამ სიცივეებმაც ხომ ისე შეგვაწუხა, რომ ოთხი წლის ბავშვი სულიდგან გამოგვეცალა...

ბრძენაძე. (გაკვირვებულ.) რა ვქნა, მე ვერაფერი გამიგია: ცბო ცოცხალია თუ მკვდარი?!

ლიზა. იმისთანა სიცოცხლე თქვენ მტერს მისცეს ღმერთმა!..

ბრძენაძე. როგორ? სამსახურში არსად არის?

ლიზა. რა სამსახურში გენაცვა: დაიწყო ლოთობა, ზედ გადაგო მთელი თავის ქონება; ცოლის ფეხქვეშ კი ადარ დარჩენია სასჯელი და ეს სიცოდავეც ღამის ამოიჭამოს!.. ეი ჩვენი ცხოვრება!..

ბრძენაძე. ღმერთო! ეს რა მესმის!! ეს რა უბედურობა მოსულიათ!... რა შობაფიქრებინებდა! თუ გახსოვს, ლიზავ, მათიკოს წამოსვლის შემდეგ ორი კვირა-და ვიუკვი სოფელში და მერე გრანიცაზე წავედი. ეს მეხუთე წელიწადია, რაც იქა ვარ. ერთი კვირაა, რაც გრანიციდან ჩამოვედი. სოფელში სამი დღე ვიუკვი; ვისაც ვკითხე მათიკოს ამბავი--არავერი ვიცითო! ვსთქვი, მოდი ქალაქში ჩავალ და ვნახავ ჩემ ძველ მეგობარს მეთქი. ჩამოვედი, უცბათ შემხვდა კოლეგიცხელაძე. მითხრა, მე კი არა მცალიან და სახლი აქა და აქ არისო; მე სალამოზედ შემოვიარეო. გამოვსწიე აქეთკენ სიხარულით და ეი მათიკოს რა დღეში ვხედავ!... მაინც ამ მდგომარეობაში რამ ჩაგიგდოთ? როგორ არა გაქვთ რა? მათიკოს დედა ამბობდა, ჩემმა ქალმა ორი ათასი თუმნის ნივთეულობა წაიღოვო და რა ვიცი...

ლიზა. განა არა ჭირდათ, შენ გენაცვალე, მაგრამ უბარაქოთ რომ გაჩერო გაბოძ. მე რომ ბირველად ამათთან ჩამოვედი, სწორეთ მეფური ცხოვრება ჭირდათ. მაშინ ჯერ ისევ სოფელში ცხოვრობდნენ ..

ბრძენაძე. მათიკოს დედამ გამოგზავნა, თუ შენ თავათ ჩამოხვედი?

ლიზა. რა ჩამოვედი: მოსვენება ადარა მქონდა ამის დედისგან, დღე-ღამეს მაძწარებდა, ავდექი და ჩვენებურ ურმებს გამოვეკეი, ღამე გამოვიპარე.... იმას მოგახსენებდით, მაშინ ამაო მედიდური ცხოვრება ჭირდათ!... მაგრამ საუბედუროთ გაბოძ ქალაქში სიარული დაიწყო და თითო ჩასეულზედ, ვინ იცის, რამდენ თეულს ხარჯავდა. წა-

ლაწად-ნასვევრში მთელი თავის ქონება შეჭამა, მამულიც გაყიდა, ავდექით და ჩამოგვდით ქალაქს. მას აქეთია აქა ვსცხოვრობთ ვაი-ვაგლახით. მიყოლ სმას სული და ერთი დღე თვიზელი არ გვინახავს!... რამდენი ეცადნენ იმის მეგობრები, სწორე გზაზედ დაეყენებინათ, მაგრამ არ იქნა და არ, ვერ მოაშლევინეს ლოთობა! ამ საცოდავსაც ხომ სიცოცხლეს ამწარებდა, ვინ მოსთვლის, რა ცილები არ დასწამა; ესეც ვერაფერს ეუბნებოდა, იავადა, იავადა და აი ესლა რა მდგომარეობაში არის!

ბრძენაძე. (მათიკოს.) ოჯ, შე საწყალო, საწყალო!... (ლიზას.) რაზედა იხეთქავდა გულს: დანებებდა მაგ ბოროტს თავს და წავიდოდა თავის დედასთან!

ლიზა. ცოტას ვეუბნებოდი, მაგრამ მათიკო სულ ამას ამბობდა, რომ ღირსი ვარ ამ ტანჯვისაო და დედას ვერ მივმართავო!

ბრძენაძე. ახლა რა გაცხოვრებთ, ერთი მითხარი?

მათიკო. (ამოიოხრებს.) ლიზა! წყალი!

ლიზა. (მიაწვდის სტაქანს.) აბა მათიკოჯან, ჩვენ სტუმარს ვერა სცნობ?

ბრძენაძე. როგორა ხარ, მათიკო? ხომ უოჩაღათა ხარ?

მათიკო. (წყალს დალევს.) ხომ არავინ უოთვიდა, ლიზა? ეს ვინ არის! (სისარულით.) ოჯ, ჩემო მეგობარო, საიდამ მოსულხარ? (ხელს აძლევს.) უთუოთ იმიტომ მოსულხარ, რომ ამ უკანასკნელ ყამს მაბატიო ოგელი ჩემი შეცოდება!

ბრძენაძე. მე შენ უცოდველათა გთვლი, მათიკო! მოგვედი შენთან სანახავათ, როგორც შენთან მეგობრათ შეთვიცებული!... ხუთი წელიწადია, არ მინახვიხარ!... როგორა ხარ, მითხარი? რა გტკივა?

მათიკო. მე? კარგათა ვარ! ცოტა გაგვიცვდი! მალე უველა გაივლის!... სხვა შენ როგორღა გიკითხო? როგორ ატარებდი გრანიცაზე დროს? არ მომიგონებდი ხოლმე? ხომ არ მწყენლიდი ჩვენი მეგობრათ გაყრის შემდეგ?..

ბრძენაძე. მე პატიოსანი სალხს თავის დღეში არა ვსწყენია; ლოცვით კი უოველთვის ვლოცულობ....

მათიკო. სხვა ჩვენკენ რა ამბავია? საწყალი დედა როგორ არის?

ბრძენაძე. დედა კარგათ არის, მოგიკითხა.....

მათიკო. (ამოიოხრებს.) დედამ მომიკითხა! მე? არა მგონია!... მაგრამ ნეტავი მოგეუკვნა, რომ ერთი კიდევ დამენახა ჩემი მშობელი! დედა! მაშ ეს არის ველარ უნდა ვნახო!

ბრძენაძე. რას ამბობ, ქალო? ეგ რა საღაპარაკოა! რა გიშლის საამაგისოო?!

მათიკო. არა, ჯერ კი კარგათ ვარ, მაგრამ მაინც გახსოვდეთ, რომ ჩემ გიგოსთან დამმარხოთ და საფლავის ქვაზედ დაწეროთ: „სიყვარულის მსხვერპლი.“

ბრძენაძე. აბა რა სასიამოვნოა, რომ მაგეებს ლაპარაკობთ!... მე თავს დავდებ და თქვენ კი გიშველით რამეს!...

მათიკო. მე შენი უოველთვის მადრიელი ვარ, ჩემო მეგობარო! მხოლოდ ეს არის საამწუხაროო, რომ ვერ შეძლიან შენი პატივისცემა; რა ვქნა, რომ არაფერი მაქვს! ნიშნა ნუ მოგიგებ!..

ბრძენაძე. რა გინდათ, მითხარით? ნეტავი აქამდისაც ბასოვსულიყავი, რომ როგორც თქვენს მეგობარს, რამე შემწეობა მოეცა თქვენთვის: (ოკულს იდებს.) აი, ლიზავ, შვიდი თუმანია. სარჯეთ, რაც გინდა, ოღონ საჭიროებამ მოითხოვოს! მეტი არ მაქვს. დღესვე შეკუთვლი, შინიდგან ფული ზომაშეკლოს...

ლიზა. (არ ართმევს.)

ბრძენაძე. გამომართვი, ქალო!

მათიკო. გამოართვი, ლიზავ, არა უშავს რა. მეგობარია: ძმა ძმისთვისა—ამ დღისთვისაო! (ბრძენაძეს.) მაგრამ არ გეშინიან, რომ დაგეკარგება და ვერ გადაგისდი?

ბრძენაძე. მე უაბეული მაქვს—დამეკარგოს!

მათიკო. ბევრი სარჯი რომ მოგივა: როგორც ერთგული მეგობარი, ვიცი, კუბოსაც კარგს მიუდი....

ბრძენაძე. (ადგება.) თუ არ გესიამოვნები, მითხარი, წავიდე; თუ არა და რა სალაპარაკოა, რასაც ლაპარაკობთ?!

მათიკო. (ღიმილით.) დაჯექ, დაიქ, მეგობარო, ნუ სჯავრობ! მეგობარი იმისთვის მინდა, რომ გულის ბასუხი დაუზიარო! იცი, როგორ მესიამოვნა, ამ უკანასკნელ დღეში შენ რომ დაგინახე, როგორ არ უნდა შემოგჩივლო, რომ ასე უცბათ შემოგლდნენ ჩემი შავი დღენი!.. ჩემს ადგილს შენ შეგებრალება არამც თუ შენი მიწა-წყლის შვილი, ერთათ შეზრდილი, მეგობარი, ყველა—ვინც უნდა იყოს, ვისი შვილიც უნდა იყოს, რა რჯულიც უნდა იყოს, ოღონდ კი ჭირდეს სასე ადამიანისა!..

გამოსვლა 5.

იგინიეი და გაბო (მთვრალი.)

გაბო. (შემოდის. დაცინვით.) ავათ-მყოფს ვასლავარ!... კარგ ქეიფში სარ!.. კარგია ჯიდეგ მოგაგნო შენმა არშიყმა!... იქეიფეთ, იქეიფეთ!...

ლიზა. გაბო! გაბო!...

მათიკო. სომ ყველაფერით მოგაძულე თავი, ძალე მოგშორდები, ნუ გეშინიან! შენ შეირთავ უკეთეს ცოლს!... აბა მე რაღათ გინდივარ უღლური!...

გაბო. სმა ჩაიწყვიტე, შე უნამუსო! (სტოლთან დაჯდება.)

მათიკო. ესლა კი ღირსი ვარ სიკვდილისა! მაპატიე, გაბო, ჩემი შეცოდება!

ბრძენაძე. (გაბოს გაკაკვრებული.) ო! შე უსვინიდისო! უსვინიდისო!...

გაბო. (ბრძენაძეს.)... და ოქვენ, უმაწვილო, მოარშიყეე, გთხოვთ, ფეხი ადარ შემოსდგათ ჩემს სახლში. ეს სახლი ბატიოსანი ოჯახია და არა ის, სადაც თქვენისთანა ბატიოსანი სალხი დაბძანდება...

მათიკო. გაბო! ღვთის გულისათვის!...

გაბო. (მათიკოს.) სმა.... (ბრძენაძეს.) უმაწვილო, გთხოვ, ესლავ აქედგან მიბრძანდეთ. (სტოლზე ორივე ხელით დაებჯინება. სიმთვრალით თვალებს ძლივს ახელს.)

ბრძენაძე. (აგება აღელვებული.) ოჰ! შე უბედურო, შენა! რასა ბეეხარ? რის სახე გაქვს? რას ლაბარაკობ? მე ესლა ისე გამხეტებული მაქვს გული, რომ სწორეთ შესაჭმელათ არ დაგინდობ!... ცილს როგორა სწამებ, შე უსვინდისო, ამ სატოდავ ქალს, რომელმაც შენი გულისთვის თავი გასწირა, ითიოქმის სინიდისზედ ხელი აიღო, აიცილა მედიდური ცხოვრება, დაივიწყა მშობლის ამაგი და წამოგყვა შენ!.. ნუ თუ ამ მდგომარეობას არ მოელოდა?! ამ სისაწყლეს და სიგლახაკეს, რომელშიაც ასე უწყალოდ იტანჯვის!... მოელოდა!.. მოელოდა!.. მაგრამ შენი გულისთვის, შენი სიყვარულისთვის არ დაერიდა ამ უზომო ტანჯვას!!.. თუმცა თითონ დაღუბა თავის-თავი, მაგრამ მაინც არ აუკედრის თავს, რადგანაც თავის მტარვალს თვალით უყურებს!... და შენ რომ კანიზრასდე კიდეც, როგორ უნდა გამოსთქვა ამ შენ უბედურ მანაზედ ცილის-წამება?! მაგრამ რა გელაბარაკო! შენა გაქვს დაკარგული ყოველი გრძნობა!.. ტყუილად გაქვს სახე ადამიანისა, შენ ბირუტყვზედ დაბლა სდგეხარ!... შენ ეს იცოდე, ვერ გაიგონებ შენ დღეში მეგობრულ სიტყვას, ვერ მიუსლოვდები შენ წმინდა მეგობრის წრეს: ყველასგან იქნები განდეგნილი, ყველასგან იქნება თითით სახვენებელი და დაწყევლილი; თითონ იმასაც კი შესახვენებს განგება, რომელიც მშიერს, მწყურვალს, უსაცმელოს, ლუკმას მოგაწოდებს!... შენა ხარ ამისი ღირსი და იყავი კიდეც! (გადის ხმარა. მათიკო და ლიზა თვალს გაადევნებენ.)

გაბო. (მაღლა აიყედავს. დაბნეულათ.) ეჰ!... ეს რა ამბავია? რაზედ მღანძღავენ?... (სელ მიიშვერს) ამათ გულისთვის?!.. იქნება, მართლა ვაშვებდე რამეს, რომ მეგობრებიც კი გადამეკიდონ. ეზას ადარ მაძლევენ, რომ გავიარო; ტკბილ სიტყვას ადარ მეუბნებიან, მეგობრულის თვალით ადარ მიყურებენ!.. რას ნიშნავს ეს?... ეჰ? (ერთბაშათ წამოდგება განრისხებული.) არა!... არა!... მე მეგობრები

ადარა მეკვეს, ესლა ყველა ჩემი მტერია!... ყველასა სურს, ისარგებლოს ჩემი სისუსტით, ჩემი უძლურობით და მით შეარცხვინოს ჩემი ოჯახი! ყველას სურს, ძალე მომესპოს სიცოცხლე, რომ აგება თავისუფალი მისვლა-მოსვლა ქონდესთ ამ ჩემ დამლუშველთან! (მათიკოზედ ხელს მიიშვერს.) მიგისვლით, ქალ-ბატონო, თქვენი გულის წყისლს!.. (მწარეთ ხაციონებს.) ეჰ! ესლა კი ვიცი!.. მაგრამ თქვენ ჩემ სიცოცხლეს ვერ მოსპობთ, ვიდრე არ მოისპობა ყველა ჩემი მტრის სიცოცხლე!.. იმედი ნუ გაქვთ ტყუილათ!.. (ტირილის ხმით.) ოჰ! თქვე ქაჯებო! ადამიანის სახით მატყუებთ მე, თავებს უმანკოთ მაჩვენებთ, მისწენელის ხმით გინდათ თავი შემაბრალოთ; მაგრამ ამითი კი ფეს-ქვეშ სიფლავს მითხრით, წურბელასავით სისხლსა მწოვთ და გინდათ თქვენი ბოროტი ზრახვა შასრულოთ!... (ტირილით.) რა გინდათ ჩემგან? რატომ არ გებრალებით ამ დღეში? რათ გინდათ ჩემი სიკვდილი? რა დამიშავებია? რა გინდათ, რომ მეც ძალიანით ვიცოცხალო ქვეყანაზედ, წუთი სოფელს ვუყურო, თუ არ ვისიამოვნებ, ვიტანჯო მაინც!.. ოჰ! თქვე შეუბრალებელნო! ღმერთმა სამაგიეროდ გადგისადოთ ჩემი ტანჯვისთვის!... (თვალების წმენდით გადის.)

მათიკო. (უკანასკნელათ წამოიწევს.) ლიზა! ლიზა! გაბოს დაუძახე!... ერთი კიდევ შევხედო სასეზედ!.. ეჰ? არ მოდის? მაშ შენ მოდი ასლოს (ლიზა მიავ.) მოდი, ჩემო ლიზავ! შენც ჩემთან ბევრი იტანჯე, ღმერთი არ დაგაკარგვეს მაგ ერთგულობისათვის!.. (უკანასკნელ ძალას დააცანს თავს) მაკვიდობით გენაცვალე! (გადაესვევა.) მიშველე, მშობელო! (ლიზა ტირის.) დედა!... გაბო!... მიშველეთ. გიგოჯან!... მიშ....დე....გა....მი.... (სმა მიუსუსტდება, მიესვენება, დამთქნარებს და სულს მისცემს.)

ლიზა. (დაიკივლებს.) ვინა სართ, გენაცვალეთ, ქრისტიანები, მიშველეთ!... (გაკვრდება მარჯვნივ კარებში და ყვირის.) გაბოს დაუძახეთ, მათიკო გარდაიცვალა!...

გამოსვლა 6.

ფიცხელაძე და ექიმი (შემოდიან.)

ფიცხელაძე. არავინ არის, რა ქნიდან? როგორ გაუშვიათ მარტო ეს ავათ-მყოფი ქალი!?... აი, ბატონო ექიმო, ავათ-მყოფი! დაგვდეთ ვალი და იხმარეთ ყოველი თქვენი ღონის-ძიება! (მიგა მათიკოსთან.) მგონია, ჩაუძინია!...

ექიმი. თქვენ ეს მითხარით, სად უფრო გრძნობს ტკივილს?

ფიცხელაძე. სიცხე აქვს გამოუნელებელი და თავსაც იტკივებს!..

ექიმი. აბა მაშ ვნახოთ, მაჯას გავუშინჯავ! (უშინჯავს მაჯას.)

ფიცხელაძე. როგორც შეატყობთ, ესლავე წამალი მიუწერეთ და როცა გამოიღვიძებს, მაშინ კარგათ გაშინჯეთ!

ექიმი. (უცბათ მობრუნდება და ფიცხელაძეს განცვიფრებით უყურებს.) ქალი.... თქვენი ნათესავი არის რამე?...

ფიცხელაძე. (შეკრთალი.) არაფერი! მეგობრის ცოლია! რა ამბავია?

ექიმი. ალარ არის!...

ფიცხელაძე. როგორ?

ექიმი. ტვინის ანთებას გადუტანია!...

ფიცხელაძე. (საზარელათ.) ოოო! უბედური!... (გაშტერებული დგას.)

გამოსვლა 7.

იგინივე და ლიზა.

ლიზა. (შემორბის ტირილით და ფიცხ. ეხვევა.) განაცვალეთ, გვიშველეთ რამე ჩვენ უბედურებს!...

ფიცხელაძე. რადის მოუვიდა ეს უბედურება?

ლიზა. ორი მინუტი იქნება!

ექიმი. ჯერ ისევ თბილია.

ლიზა. (ექიმს.) იქნება, როგორმე მოგვბრუნოთ, გვიშველეთ რამე!...

ფიცხელაძე. (ექიმს.) ნუ დაზოგავთ უკანასკნელ ღონისძიებას, ღვთის გულისათვის!

ექიმი. რა ვქნათ, რომ ძალიან გვიან არის! ადრეფერი ეშველება, თორემ ჩემ შემწეობას არ დავზოგავ! ყოველი ღონისძიება მობრუნებისა ამაო!..

გამოსვლა 8.

იგინიგე, ბრძენაძე, მერე გაბო.

ბრძენაძე. (შემოდის.) ოჰ! ექიმიც მოგიყვანიათ, კარგია! ლიზა...

ლიზა. (ბრძენაძეს ტირილით.) გებრალებოდეთ თქვენი მეგობარი მათიკო!...

ბრძენაძე. (შემკრთალი.) რა ამბავია?

ლიზა. დაგვტოვა სამუდამოთ...

ბრძენაძე. რაგორ? რას ამბობ?

ფიცხელაძე. (ბრძენაძეს.) ვერ უყურებ, გაბომ რა ქნა? რაგორ მოუსწრია სიცოცხლე ამ საცოდავს!...

ბრძენაძე. (მივა და მათიკოს დასტქერის.) ე...ე...ე! მათიკო ადრე არის ცოცხალი!... (კრიტს დაეუფლება და დასტქერის.)

ექიმი. დიდი ვსწუსვარ, რომ ცოტა ადრე არ შემატყობინეთ, რომ მეც ცოტა ადრე შრომა გამეწია თქვენი მეგობრის გულისთვის. (თავს დაუკრავს და გადის.)

ფიცხელაძე. (ლიზას.) სად არის ის უბედური ამის მკვლელი?

ლიზა. ესლა გავიდა სასლიდგან, მეზობელი გამოგუყენე!...

გაბო. (შემოდის. არეულის ლაპარაკით.) რაო? მათიკო მოკვდაო? ვინ მითხრა? მათიკოს რა მოჰკლავს!... (მივა ასლოს და დასტქერის.)

სძინავს!... სახე დამშვიდებული აქვს!... (დაცქერდება.) ეს? როგორაო? მოკვდაო?! არა, სძინავს! ტუჩები მითხრეს!... მთიგო არ მოკვდება!... (ერთბაშათ ცქერის დროს გაიკანკალებს.) ეს! არა სუნთქავს!.. მაშ მართალია!... მთიგო მოკვდა... (სულს უშერს). სული ცივი აქვს, ალარც გული უცემს!... (შელრიალებს გონზე მოსული.) მთიგოჯან, გენაცვალე, სმა გამე! ნუ მომარიდე შენი მშვენიერი სახე! ერთი კიდევ გამაგონე შენი სმა... გენაცვალე, მთიგოჯან!... (სულზედ ეკონის.) შეიბრალე შენი საცოდავი გაბო!.. (სულზე დაემხობა.)

ფიცხელაძე. (აუენებს.) კარგია, გეყოფა! ესლა გვიანდა არის ალერსი!

გაბო. (გრიოტთან დგას.) ეს რა მოამივიდა?! ეს რა უბედურათ ჩაიარა ჩემმა ცხოვრებამ! უკანასკნელი ნუგეშიც მომესპო, რალა კარ ესლა?!... მე კარ შენი მკვლელი, შე საცოდავო! ვვათ-მოოფობას არ გიჯერებდი!... შემწეობა ვერსაით მოგეცი, ეური ვერ გიგდე და ჩაგამწარე სიცოცხლე!... (ალელვებული.) ღმერთმა გკითხოო, ვინც ამ უბედურის მკვლელი გამსადეთ!... ენა!... ადამიანის ენა რას არ შეიძლებს!!.. რა ციხეს ვსწამებდი მე მოამკვდავ მთიგოს!!.. ნუ თუ მე ესენი შემერგება და არ გადამსდება, როგორც ავაზაკს, კაცის მკვლელს?!. (ბრძენაძეს და ფიცხელაძეს.) მეგობრებო! გთხოვთ, მე სულითა და ხორცით უძღურს მაპატიოთ ყოველი დანაშაული, თუმცა ეს საპატიებელი არ არის!... შეგცოდეთ, როგორც ცოდვილმა კაცმა და გთხოვთ, შემინდოთ!... (მთიგოსკენ.) რალა მრჩება მე უბედურს ამ ქვეყანაზე?! ჩემი სელით მოკლული წინ მიდგეს და ზედ შეუწყენარებლად დავცქერი!! როგორლა უნდა ვისეირო შემდეგ ამისა, რომელმაც თავი ისე შემომაკლა, რომ კრინტიც არ დაუძრავს ჩემს ველურ მოქმედებაზედ!... არა, მე ამის შემდეგ ღირსი ალარა ვარ სიცოცხლისა!.. ვალარ უნდა მოვისვენო, დაწყევლილივით უნდა ვიარო, მეგობარს ასეზედ ველარ უნდა შევხედო და ჩემი დაბადების დღეს ვიწყევლიდე!.. მე ვარ კაცის-მკვლელი და განდგენილი უნდა ვიყო ყოველი საზოგადოებისგან!... (შეწუხებული.) შეგცოდე, მთიგო, და მომიტევე, ეს

ერის ჩემი უკანასკნელი თხოვნა!... შეიწირე ჩემი თავი, და ამაზედ უმეტესი მსხვერპლის მოტანა არ შემიქმიან!... (უცბათ დაიკრავს დანას გულში, დაიბარბაცებს: ბრძენ. და ფიცს. იჭერენ.) მიმიყვანეთ მათიკოსთან! (მიიყვანენ; მათიკოს ხელს დაუჭერს, კრატოტიან დაჩოქილია და ხელზედ თავს დასდებს.) მათიკო! მა....თი....კო!... მა... თი.... (დაეცემა ბოლზედ, ღიზა ქვითქვითებს; ბრძენაძე შუბლზედ ხელს იტაცებს, ფიცხელაძეს მკვდრისკენ მარჯვენა ხელი გაშვერილი აქვს; გაშტერებული დგანან.)

(ფარდა ნელა ეშვება.)

(დასასრული.)

10 აპრილს 1880 წ.

ჩაილდ-ჰაროლდი

რომანი ოთხს ნაწილად.

ლორდ

ბაირონისა.

გადმოთარგმნილი

ი. ბაქრაძისაგან.

ჩაილდ-ჰაროლდი.

გალობა პირველი.

I

ოს მუზავ! ძველად ელადაშია
ეგონათ იყავ ციდამ მოსული;
მაგრამ შენ ბოეტთ ოცნებაშია
მსოდოდ იყავი დაბადებული.
შენ ისე სშირად ყურს გიჭედავდნენ
მათთა მოშლილთა ჩანგთა სიმები,
რომ ესლა მე შენს მუდრობებსა
ადარ დავარდვევ, არ შევესები.
თუმცა დელფიის ნაშთს-ნანგრევებსა,
შენსა ტაძარსა, შენს წყარო-წყლებსა
ძველად ვწვევივარ; აწ უმიზეზოთ
არ გავადვიძებ ცხრა მძინარ მუზებს;
დაე იმათა ტკბილად ეძინოთ,
მე კი ერთს ამბავს ვეტყვი მკითხველებს.

II

ერთი უმაწვილი კაცი სცხოვრობდა
ნისლით მოცულსა ალბიონშია,
ქეიფობდა და ბედოვლათობდა,

„ცუდი სასელი ჭქონდა სალსშია.“
სათნო საქმეებს ის დასტინოდა,
ღამეებს ლხინში გასატარებდა
და ცხოვრებაში რაც შესვდებოდა
ყველას უგულოთ განიარინებდა.
უქმად, უსაქმოდ და უდარდველად
სცხოვრებდა იგი ქვეიფის შვილი;
ლხინში დღე-ღამის გასატარებლად
და ტრფობისათვის იყო შექმნილი.
და ამოგნებას მაშინ ჭეოვებდა,
რომ გეგლუტთ შორის დროს ატარებდა.

III

ჩაილდ-ჭაროლდსა მას უწოდებდნენ.
მე არ მწადიან აქ საუბარი—
მის წინა-ბარნი რას აკეთებდნენ,—
ეს ლაბარაკის ღირსიც არ არი.
მხოლოდ მას ვიტყვი: იყო განთქმული
მის წინა-ბარი ალბიონშია
და მათ სასელი წმინდად დაცული
დარჩა ჭაროლდსა სამკვიდროშია.
მაგრამ მტირედი ცოდვაც შეიძლებს
ჩირქი მოაცხოს სასელს დიდებულს
და ამ ჩირქს ვერვინ ვერარ ჩამორეცხს
სასელსა წამსდარს და შეგინებულს:
ვერც გერალდიის ბრძანისა ბჭობა,
ვერცა მოქმელისა ტკბილი გალობა.

IV

ჭაროლდი სიურმით უჩვეი ზრუნვას
განცხრომის ტბაში დასცურაობდა.

მზის სხივზედ ბუზიც ესრეთ ბრუნავს.
იმას ბედისა არ ეშინოდა.
და რა უეკარდა უქმად ცხოვრება
დღე და ღამ ლხინში იყო გართული,
მაგრამ ეწვია უბედურება
და აუმღვრია სული და გული:
ვერ ნორჩი იყო ის გაუშლელი,
მაგრამ მოსწყინდა წუთი სოფელი;
იგი შეიქმნა სულით მჭმუნვარე,
მთლად მოელრუბლა ტანი და ხირი;
მას აქეთია სამშობლო მსარე
შესქაგდა ჭარროლდს, ვითარცა ჭირი.

V

რომ ცოდვის ტბაში იგი სცურავდა
მას სვინიდისი არ ამსიტლებდა,
ბევრი ქალისთვის იგი ოხრავდა,
მაგრამ კი მხოლოდ ერთი უეკარდა.
ეჭა! იმ ერთის მოხოვებასა
ის თავის დღეში ვერ შეიძლებდა
და ქალწულებრივს მის ბუნებასა
ვერას დროს სელსა ვერ შეასებდა.
ვერც ივიწყებდა იგი მას ქალსა
და სხვა ქალსაცა ვერ იეკარებდა,
ვერც ქონებასა მისსა მრავალსა
გასაფლანგავად სელთ ვერ იგდებდა.
ესრედ ის ქალი ტურფა და წრფელი
გადურჩა ჭარროლდს წაუბილწველი.

VI

რა რომ მოიკლა თვის სურვილები
იგი ქვეყანებს ალარა სდევდა;

სან ეგრეოდა თვალში ცრემლები,
მაგრამ ცრემლთ იგი უმალვე სძლეგდა.
ზრასვიდა იგი სულით მჯმუნვარე,
თვის სურვილს აღარ მალავდა ხალხში,
ამბობდა: დაგთმობ სამშობლო მსარე,
რომ გარდვიხვეწო სხვა ქვეყანაში.
უნდოდა მშთოთარს ზღვას გასდგომოდა,
რომ ეგებ ჯმუნვა გულ გადაეუროდა,
კმაყოფილებით აივსებოდა,
რომ გასართობად თუნდ ჭირს შეეუროდა.
თვით ჯოჯოხეთშიც კი ჩავიდოდა
ოღონდ მას სევდა მოშორებოდა.

VII

მან დაუტოვა მამა-ვაჟური
ციხე-დარბაზი დაძველებული,
შენობა იყო თუმცა უგემური,
მაგრამ მკვიდრად კი აშენებული.
იყო ერთს დროსა აქ მონასტერი,
ამაო სოფელს მოშორებული,
იქ ბერთა ვერას აკლებდა მტერი
და აწ კი არის მეგინებული:
სადაც უწინა ცრუ-მორწმუნებას
მკვიდრთა ეჭანდა ფესვი გადგმული,
იქ ესლა ქალთა მსიარულებას
დღე და ღამ აღარ აქვს დასასრული.
ოვითონ ბერებიც კი იფიქრებდნენ,
რომ დრონი მათნი კვალად დაბრუნდნენ.

VIII

არა ერთსელა ტოლთა კრებულში
ჩაროლდი იჯდა ბირმშუქად ბნელად,
თითქოს წარსულნი ტრფობანი გულში
მას აეშალნენ გულის სწველად.
მაგრამ მის სულის მღელვარებასა
არავინ თითქმის ეურს არ უგდებდა
და იგიც თავის ბნელსა ფიქრებსა
სრულიად არვის ატყობინებდა.
ეჭვით აღვსებულს ჩაროლდის გულსა
კაცთ-მეგობრობა აღარა სწამდა
და თავის გულში დაბადებულსა
ზრახვას არვის წინ აღარა სთქვამდა,
თუ გინდ რომ კიდეც კაეშნით გული
ჭონოდა დამწვარ და დადაგული.

IX

ის მარტო იყო. ხშირად მართავდა
სადილს და ვახშამს,—იწვევდა სტუმრებს;
მაგრამ ის მათში მხოლოდ სედავდა
სელთა მლოკავებს და ბირ-მოთნეებს.
ვიშ! თვითონ იგიც კეკლუც საყვარლებს
უყვარდათ, რადგან ჩოლანგავდა ფულებს,
და რა წამსაცა ის შეიცვალა
ერთიც იმავ წამს მიიმალა.
ვით ბეპელები, ეს ქმნილებანი
ოქროლთვის შუქსა მიესევიან
და სადაც მამონს დაუქნავს გზანი
იგინიც იქით გაფრინდებიან.

. . . . . .

. . . . . .

X

ჩაროლდსა დედა ძრიელ უყვარდა,
მისი დათმობა ენანებოდა;
ერთი დაც ჩუკვდა, იგიც უყვარდა
და არც ის ნახა, როს მიდიოდა.
მეგობრებშიაც არავის ესმოვს,
რომ „მშვიდობითო!“ ვისთვისმე ეთქოს.
არა იმისთვის, რომ ჩაროლდს გული
ქონოდეს სრულად გაცივებული,—
არა; მან იცის ის მსუსარება,
ვისაც ულვივის გულს ტრფიალება,
თუ რა ძნელია შორს გამგზავრება,
როს ობლად გრჩება ძვირ-თვს ქმნილება.
სიყვარ ტკივილსა ვერ გაუუჩენს
და მსოლოდ გულსა დაამაბუნებს.

XI

ჩაილდ-ჩაროლდმა ესრედ გულ-გრილად
დასტოვა თავის სახლი და კარი;
დასტოვა ტურფა ქალნიცა მრავალად,
რომლებთანაც დრო ატარა მტკბარი.
თუმც მათ ღიღინი მათი თვალები
და თოვლივითა თეთრი ხელები
შეშლიდნენ თვითონ ანახორეტსა
და აღუგზებდნენ ტეტხლს დაუშრეტსა.
რა წასვლა სწადდა სხვა ქვეყანაში
აღარა სდევდა იგი ქეიფებს,

იმას მგზავრობა სწყურდა ზღვაში,
რომ მისდგომოდა სტამბოლის კედლებს,
რომ ეკვატორზე გადასულიყო
და ინდოეთისკენ წასულიყო [1]).

XII

რომ გემი წასვლას ემზადებოდა,
ჩელქი ნიავი მოსისინებდა,
რომელსაც მარტო ის უსარდა,
რომ ჩარდალს ზღვაში შეაქანებდა.
სამშობლო თვალთგან მას მიეფარა,
აღარაფერი არ ირჩეოდა
და მან კინაღამ არ აღვიარა,
რომ სამშობ ლო ენანებოდა.
მაგრამ თვის სულის ეს მღელვარება
ჩარდალმა არვის შეამჩნევინა,
ოვალი ტანჯვა და მწუხარება
ვაჟ-კაცურათა მან მოითმინა.
მის გარშემო კი ბევრნი კენესოდნენ
და ქარს საუკეთურს ეუბნებოდნენ.

XIII

მაგრამ, როდესაც მზე ჩასულნა
ჩარდალმა სელში აიღო ჩანგი,
მაზედ დამღერა ჭირი და ლხენა,
შორს განისმოდა სხვა-და-სხვა ანგი.
რომ ესმოდნენ ჩანგს მის თიოები
მსწრაფლად იწყობდნენ ყელრას სიმები.
ეუბნებოდა ზღვისა ღელვა ბანს,
გამოსალმების სიმღერასა მას.

გათეთრინდა გემი ვით თეთრთა შესხმული
გაცურიშალნენ მის იალქნები;
სიბნელით იქმნა არე მოცული
და დაიმალნენ ზღვის ნაპირები.
ზღვა მრისხანებით სჩქეფდა, ღმუოდა
და ჭარროლდიცა ამას მღეროდა:

1.

მშვიდობით! ლაჟვარდ სიფრცეში ჭვრეტა
  სახე სამშობლოს ნაპირებისა,
ზვირთი-ზვირთზედ სტეკნა, ასკდების
  მესმის ბუიანი ტალღ-ნამგალისა.
დასაფლეთით მზე მიეჩქარების,
  მეც იმას მივსდევ სულით მგზმუნვარე!
დაესხენ გქონდეს შენ მოსვენება!
  მშვიდობით ჩემო სამშობლო მსარე!

2.

წარფლენ საათნი და გათენდება,
  მზე დიდებულად ადმობრწყინდება.
ცა და ზღვა თვალწინ კვლავ გადმეშლება
  და სამშობლო კი არ გამოჩნდება.
დაობლებულს ჩემს სასლის კედლებზედ
  ბალახი იწყებს ადმოცენებას
და ჩემი ძაღლიც სასლის კარებზედ
  გამფლელ-გამომფლელს დაუწყებს ყეფას.

3.

შენ ჩემო ბაკო 2) მოგდის ტირილი.
  რაზედ სარ ეგრე შეწუხებული?

ნუ თუ გაშინებს ზღვაში სიკვდილი?
ანუ ზღვის ქარი გაშმაგებული?
გემი გვაქვს ახლად გაკეთებული,
რომელიც ზღვაზედ ისე მიჰფრინავს,
რომ თვით მიმინოც ფრენიც ქებული
მას გამოდგომას ვერ გაუბედავს.

4.

„ამ ზღვამ რაც გინდა ბევრი იღმუოს
არ მეშინიან მის ზვირთებისა,
მაგრამ ნუ გიკვირს ბატონო ჩაიდდ,
რომა მდის ტრემელი მწუხარებისა. 3)
მაძა და დედა იქ სახლში დამრჩნენ,
რომლებიცა მე ძრიელ მიყვარდნენ;
დამრჩით ბატრონად ქვეყნად შენ ერთი
და ზეცაშია მაღალი ღმერთი.

5.

„რომ მიკითხავდა მე მამა ლოცვას
არ ეტყობოდა მას მწუხარება;
დედა კი სინამ მისულს არ მნახავს
ტრემლები თვალზედ არ შეაშრება.“
კმარა, ბატარავ! ახლა კი მიგხვდი,
რომ არ ყოფილა ტრემლთ ღვრა სირცხვილი
და მეც მაღლის ხმით ტირილს მოვრთავდი,
რომ შენსავითა ვიყო გულ-ჩვილი.

6.

ჩემო მსახურო, 4) მოდი ჩემთანა!
შენ როგორღაცა გაყვითლებულხარ!

ნუ თუ გაშინებს თვრანტუზი მტერი?
ან თუ ქარისგან შეშინებულხარ?
„ჩემო ბატონო, შენა გგონია,
რომ სიკვდილისა მე მეშინია—
არა; ჯალაბი რომ მაგონდება
ეს ტუდი ფერი მისთვის მედება.

7.

„შენ წინა-ბართა დარბაზის ახლოს
ჩემი შვილები დავტოვე ობლად,
ახლა რომ იმათ მამა იკითხონ
აბა რას ეტყვის დედა ბასუსად?“
კმარა მსახურო, შენ ხარ მართალი,
საქებარია შენი ტირილი.
მაგრამ როდესაც მე ვშორდებოდი
სამშობლო მხარეს—სულ ვიტიროდი.

8.

ოს რასა ვბოვებთ ქალთა ტრემლებში?
განა ჩვენ ქალნი დოდინს დაგვიწყებს?
მის ტურფა თვალებს სხვა კაცის ხელი
მოსწმენდავს გუშინ მოსულსა ტრემლებს!
არას მოგელი მომავალს დროში,
წარსული არის ამოება.
უფრო ის მტანჯავს, რომ სამშობლოში
მე არაფერი არ მენანება.

9.

კვალად ობლად ვარ დატოვებული
ამ ალელვებულს ზღვის ზვირთებ შუა,

მე ვისთვის უნდა მტკიოდეს გული,
ჩემთვის რომ იგი არვის სტკივა?
ნუ თუ ჩემს ძალსა... იგიც ერთ-ორს დღეს,
რა გელარ მნახავს, ღმუილს დაიწყებს,
და შემდეგ უკან თუ მისულს მნახავს
ის ჩემი ძალი მეკე დამგლეჯავს.

10.

გემო! მაქანე ზღვისა ზვირთებზედ!
დაე ჩვენს ქვეშა ზღვამ იჩქრიალოს!
წარმიდე, სატ გსურს, გინდ ცის კიდეზედ,
ოდონდ გამრიდე ჩემსა სამშობლოს.
სალამს ვაძლევ მე ცისფერსა ცასა
და ვეთხოვები დიდისა ხნობით,
მივესალმები უდაბნოს მთასა....
ჩემო სამშობლოვ! ღამე-მშვიდობით!...

XIV

სუთი დღე არის გემი მიეთრინავს
ბისკაის უბეს უსლოვდება;
ქარისგან ზღვაცა შეოთავს და გრგვინავს
და მთლად შთანთქმასა გემს ემუქრება.
აგერ გამოჩნდნენ ზღვის ნაპირები.
ოხ ცინტრა! აგერ შენი კლდეები!
აგერა ტალო! გამალებული
მორბის და მოაქვს წყალი ზღვისათვის,
აგერ გემიცა გზის მჩვენებელი
ნუგეშ მცემელი ზღვაში მსვლელთათვის.
და იგი მსარე ნაუოფიერი
გამოჩნდა ნათლით გაბრწყინვებული,

მინდორში ყანებს მკის მოელი ერი,
კარგის მოსავლით გასარებული.

XV

ოს, ღმერთო! ზეცას არ უძუნწია
ამ ადგილების შესამკობელად;
რა სიდი აქ არ გაუჩენია
კაცთა თვალისა გასაძღომელად!
მსოლოდ ეს მსარე ტურფად მკობილი
კაცის სელითა არის წამსდარი.
როცა ბერუნი ღრუბლით მოსილი
გაიძრობს სმალს, რომ დასცეს თავ-ზარი
ყველას ვინც ბედს არ ემორჩილება,
მაშინ მაღლიდამ ის მკაცრად საკვავს
მას, ვინც სალსისა მტანჯველად ხდება. —
და გალლცის, რა თავს დასკვილს ისილავს
უსილავ მტრისგან, ისე შეკრთება,
რომ ამ ქვეყანას მსწრაფულ განშორდება.

XVI

ოს! რა კარგია ერთის დანასვით
ლისაბონისა მდებარება,
როდესაც იგი მთლად თავის სიკრცით
წმინდა წყალშია ჩაისტება.
ქვალად მგოსანი ისე ფიქრობდა,
რომ ამ წყალს ძირი ოქროსი ჭქონდა.
აწ იმ წყალზედ რბიან გემები
ალბიონიდამ წამოსულები,
რათა სამხრეთის ისნან დიდება
მოსისხლე მტერთა გალლებისაგან;

მაგრამ ლუზიტნელს არ აქვს გაგება,
ვერ არჩევს მომსრეს თავის მტრისაგან
და იმათ დასჯას ღმერთის ეკედრება,
რომელთაც ისსნეს იმის დიდება.

XVII

მაგრამ როდესაც კარგად გაშინჯავთ
ამ ქალაქისა მდებარეობას—
უსუფთაობა მისი შეგზარავთ:
ტალახში ნახავთ ყველა შესობას.
და მოგზაურმა კიდეც რომ შესძლოს
ქალაქი თავით-ბოლომდინ განვლოს
სულ ყველგან ნახავთ მხოლოდ სიმყრალეს
უსუფთაობას და სისაძაგლეს.
თვითონ მცხოვრებნიც ბირ-უბანლები
ძველ ტანთ-საცმელით იარებიან;
ბინძურს ცხოვრებას მიჩვეულები
ჭუჭყიანს კონკებს არ გადაჰყრიან,
თუ გინდ რომ კიდეც ეგვიპტის ჭირი
